

ტომი 43

გამომცემლობა პალიტრა L
თბილისი 2019

ავტორი

ზურაბ აბაშიძე

რედაქტორი	ლადო იოსებაძე
კორექტორები:	სვეტა კვარაცხელია მარეხ ღარიბაშვილი
დიზაინერი	ლიკა გოგავა
ტექნიკური რედაქტორი	ზურაბ აბაშიძე
პროექტის მენეჯერი	თეონა ბუაჩიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	რეზო თხილიშვილი

© გამომცემლობა პალიტრა L, 2019
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
E-mail: book@palitra.ge; ტელ.: 238-38-71
www.palitra.ge

ISBN 978-9941-24-189-5 (ყველა ტომისთვის)
ISBN 978-9941-29-900-1 (ტომი XLIII)

ჟურნალ „ისტორიანის“ ბიბლიოთეკა

ფრანკლინ ჰუზველტი

პროლოგი

აყვავება და დაქცევა

ამერიკის შეერთებული შტატები უდიდესი მიღწევების, პროგრესის, ადამიანის კეთილდღეობის უტყუარ მაგალითებთან ასოცირდება. ამასთან, ჩვენს წარმოდგენაში ის ლამის მუდამ სუპერსახელმწიფოდ ევლინებოდა მსოფლიოს და იშვიათად თუ დაფიქრდება ვინმე, რომ მის ამ სტატუსს ძალზე ხანმოკლე ისტორია აქვს, რომელსაც წინ უძღოდა ხანგრძლივი და უმწვავესი კრიზისი — „დიდი დეპრესია".

აყვავება შეერთებულ შტატებში გასული საუკუნის 20-იან წლებში დაწყებულა. ამ დროს იმატა ეკონომიკურმა ზრდის ტემპმა, შენდებოდა ფაბრიკა-ქარხნები, ცათამბჯენები, გზები, ავტოსტრადებს 26 მილიონი ავტომობილი სერავდა: მხოლოდ 1929 წელს კომპანია „ფორდმა" 5 მილიონი მანქანა გამოუშვა... სწორედ ეს წელი

ქვეყნის ისტორიაში საუკეთესო ეკონომიკის წლად იქნა აღიარებული. სწორედ ეს — 1929 წელი იქცა შემდგომ „დიდ დეპრესიად" შერაცხილი მსოფლიო კრიზისის პირველ წლად, რომელმაც თითქმის 10 წელს გასტანა.

25 ოქტომბერს (ე.წ. შავ პარასკევს), აშშ-ის ეკონომიკაში მანამდე ფარულად მიმდინარე უარყოფითმა ტენდენციებმა საფონდო ბირჟაზე ნამდვილი კოლაფსი გამოიწვია, რასაც მყისვე არაერთი კომპანიის გაკოტრება და ზოგი ბიზნესმენის თვითმკვლელობაც მოჰყვა. კრიზისმა ეკონომიკის ყველა სფერო მოიცვა, ეროვნული შემოსავალი განახევრდა. უმაღლეს წერტილს მან 1932 წლისთვის მიაღწია, როდესაც უმუშევრობა მანამდე არნახულ 25%-იან ნიშნულამდე გაიზარდა, რაც ნიშნავდა, რომ სამსახურიდან 17 მილიონი (ანუ ყოველი მესამე შრომისუნარიანი) ადამიანი დაითხოვეს.

პრობლემებთან გასამკლავებლად მთავრობის მიერ მიღებული ცალკეული ზომები ამაო აღმოჩნდა. პრეზიდენტი ჰერბერტ ჰუვერი ქვეყანაში ლამის ყველაზე საძულველ კაცად იქცა. დამშეული სოფლის მოსახლეობის მიერ დიდი ქალაქების სიახლოვეს შექმნილი კარვებისა და მუყაოს ყუთების დასახლებებს „ჰუვერვილები" (ჰუვერის სოფლები) შეარქვეს. მაგრამ პრეზიდენტი გულს იმით იმშვიდებდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, თავისუფალი ბაზარი ყველაფერს დაარეგულირებდა, ხოლო ეკო-

ნომიკაში სახელმწიფოს ჩარევა დაუშვებელი შეცდომა იქნებოდა...

ბუნებრივია, რომ ამ წლის შემოდგომაზე ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში მისი გამარჯვება წარმოუდგენელი იყო. „რესპუბლიკელი“ ჰერბერტ ჰუვერი „დემოკრატმა“ ფრანკლინ რუზველტმა შეცვალა. ძნელი სათქმელია, ადამიანური თვალსაზრისით, მათ შორის ვინ უფრო მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ რუზველტს, რომელსაც პირადი კრიზისი სწორედ ამერიკის ეკონომიკის აყვავების ხანაში (20-იანი წლების დასაწყისში) გადაეტანა და საკუთარ თავთან უდიდესი ბრძოლაც მოგებული ჰქონდა, ქვეყნის გადარჩენის წადილი არ აკლდა და ამის პოტენციალიც აღმოაჩნდა.

უფრო მეტიც — სწორედ ფრანკლინ დელანო რუზველტის მმართველობის ხანაში ჩამოყალიბდა ამერიკის შეერთებული შტატები ჭეშმარიტად სუპერსახელმწიფოდ, როგორადაც დღეს გვევლინება.

თავი I

დიდი გზა ღრმა „ორმოდან" ამოსვლით დაიწყო

იმდროინდელი კანონმდებლობის შესაბამისად, საპრეზიდენტო არჩევნებში ნოემბერში გამარჯვებული კანდიდატი უფლებამოსილების აღსრულებას არა მომდევნო წლის იანვარში (როგორც დღესაა), არამედ მარტში იწყებდა. ამდენად, ფრანკლინ რუზველტმა ხალხის მიერ მოძულებული ჰერბერტ ჰუვერი ოფიციალურად მხოლოდ 3 თვის შემდეგ შეცვალა. არადა, დაქცეული ქვეყნის საშველად თითოეულ დღეს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. რუზველტსა და მის გუნდს (რომელსაც შემდგომ „გონებრივი ცენტრი" შეარქვეს) ეს კარგად ჰქონდათ გააზრებული და ინაუგურაციამდე დარჩენილი დროც უქმად არ დაუკარგავთ.

მდგომარეობა, მართლაც, ყოველ დღეს, ლამის ყოველ საათს განსაზღვრული ნაბიჯების გადადგმას მოითხოვდა. 1933 წლის 4 მარტს, ცივ, ღრუბლიან დღეს, კაპიტოლიუმთან შეკრებილ 100 ათასამდე ამერიკელს ახალარჩეულმა პრეზიდენტმა ასეთი სიტყვებით მიმართა: „დადგა დრო, ვთქვათ სიმართლე. ჩვენ არ შეგვშვენის მდგომარეობის პირუთვნელი შეფასებისგან თავის არიდება, როცა ვლაპარაკობთ მდგომარეობაზე, რო-

მელშიც ჩვენი ქვეყანა აღმოჩნდა...“ — და შემდეგ წარმოთქვა ფრაზა, რომელიც დღემდე მის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ გამონათქვამად რჩება: „ერთადერთი, რისიც უნდა გვეშინოდეს, ეს თვით შიშია — აუხსნელი, უსახური, გაუმართლებელი საშინელების გრძნობა, მომაკვდინებელი ყოველგვარი ძალისხმევისთვის, რომელიც საჭიროა უკუსვლიდან იერიშზე გადასასვლელად“.

მეორე დღეს, კვირას, მან თავისი პირველი იერიში განახორციელა — დაქცეული საბანკო სისტემის გადასარჩენად მიიღო „საბანკო არდადეგების“ გამოცხადების გადაწყვეტილება, ქვეყნის მასშტაბით ყველა ბანკის 4 დღით დახურვის თაობაზე. უკვე 9 მარტს კონგრესის მიერ მიღებული „ბანკებისთვის საგანგებო დახმარების შესახებ“ კანონით, პრეზიდენტს მიენიჭა უფლებამოსილება, მიეღო აუცილებელი ზომები ბანკების გახსნისა და რეორგანიზაციის მიზნით. სასწრაფოდ დაიბეჭდა 2 მილიარდი დოლარის კუპიურები, რომლებიც 10 მარტის დილისთვის 12 ქალაქის ფედერალურ ბანკში დაიგზავნა, რათა მოქალაქეებს გაყინული ანაბრებიდან ფულის გამოტანა შესძლებოდათ. თუ გავითვალისწინებთ, რომ სულ ამერიკის მასშტაბით, სხვადასხვა გაქანების 14 207, მათ შორის 4 897 ფედერალური ბანკი არსებობდა, იოლი წარმოსადგენი იქნება, თუ რაოდენ რთული იქნებოდა გაღატაკებული ხალხის დარწმუნება, რომ უნდა მოეთმინა, სანამ მიღებული ზომები დადებით შედეგს მოიტანდა ყველასთვის.

რუზველტმა ადამიანებთან ურთიერთობის უპრეცედენტო ხერხს მიმართა: 12 მარტს თეთრ სახლში წამყვანი რადიოკომპანიები მიიწვია და თანამემამულეებთან შინაურული საუბარი გააბა, რომელსაც 60 მილიონი კაცი უგდებდა ყურს. „საუბრები ბუხართან“ — ეს სახელი დაიმკვიდრა ფრანკლინ რუზველტის რადიომიმართვამ, რომელსაც ის 12 წლის განმავლობაში ყველა მნიშვნელოვანი მოვლენისა თუ გარდამტეხი პერიოდის ასახსნელად იყენებდა და ოთხგზის პრეზიდენტობის დროს, საერთო ჯამში, 31 დაუგროვდა.

პირველი საუბარი ინაუგურაციიდან 8 დღეში — 12 მარტს შედგა.

„ჩემო მეგობრებო, — ასე დაიწყო მან თავისი პირველი „საუბარი ბუხართან“, — მოგმართავთ შეერთებული შტატების მოქალაქეებს, რათა ცოტა რამ ბანკების შესახებ გითხრათ... მინდა მოგიყვეთ იმაზე, თუ რა გაკეთდა ბოლო დღეების განმავლობაში, ასევე — რა ნაბიჯებს გადავდგამთ შემდგომ... თქვენ ძალზე მედგრად და მოთმინებით იტანდით „საბანკო არდადეგებით“ გამოწვეულ ყველა გასაჭირსა და უხერხულობას. და მე დანამდვილებით ვიცი, როცა შეიტყობთ იმის შესახებ, თუ რას ვაკეთებდით ჩვენ აქ, ვაშინგტონში, კვლავაც ამომიდგებით მხარში — ისევე, როგორც მთელი წინა კვირის განმავლობაში, როცა მტკიცე სოლიდარობას მიწევდით“.

ამ სიტყვებს მოსდევდა მოკლე განმარტება — როგორ სარგებლობდნენ ბანკები მეანაბრეთა მიერ შეტანილი სახსრებით, რამ გამოიწვია ამერიკული საბანკო სისტემის კოლაფსი, რატომ შეიძლებოდა, ბანკებს თავისი კლიენტებისთვის გასაცემი ფულის საკმარისი რაოდენობა არ ჰქონოდათ და რატომ ვერ მოემსახურებოდა მოქალაქეებს უახლოეს პერიოდში ბანკების დიდი ნაწილი. მან იოლად გასაგები ენით აუხსნა რიგით მოქალაქეებს, რა გრაფიკითა და თანამიმდევრობით ამუშავდებოდა საშუალო და მცირე ბანკები და როგორ დაეხმარებოდა მთავრობა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ საფინანსო დაწესებულებებს გადარჩენაში, რათა მათი მომხმარებლები არ დაზარალებულიყვნენ.

„ვერ დაგპირდებით, — დასძინა ბოლოს სახელმწიფოს მეთაურმა, — რომ უკლებლივ ყველა ბანკი გაიხსნება, ან იმას, რომ არც ერთი ადამიანი არ დაზარალდება, მაგრამ ეს ზარალი მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. აი, იმ შემთხვევაში კი, კვლავაც დინებას რომ გავყოლოდით, ზარალი გაცილებით დიდი იქნებოდა და გაცილებით მეტ ადამიანს შეეხებოდა. შემიძლია იმასაც დაგპირდეთ, რომ უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილი ბანკების ნაწილსაც გადავარჩენთ. არა მარტო გადახდისუნარიან ბანკებს გავხსნით, არამედ, რეორგანიზაციის მეშვეობით, სხვების გადახდისუნარიანობასაც გავზრდით...

საფინანსო სისტემის ჩვენეული გარდაქმნისთვის უმნიშვნელოვანესია ისეთი რამ, რაც ფულსა და ოქროს ფასეულობასაც აღემატება, — ადამიანთა ნდობა. ნდობა და სიმტკიცე — აი, რა არის აუცილებელი ჩვენი გეგმის წარმატებით შესასრულებლად. თქვენ უნდა შეინარჩუნოთ რწმენა, მეგობრებო, არ აჰყვეთ ჭორებსა და ეჭვებს და არ მიეცეთ პანიკას. მოდი, გავერთიანდეთ და დავამარცხოთ შიში. ჩვენ შემუშავებული გვაქვს საფინანსო სისტემის აღდგენა-განახლების მექანიზმი. ახლა მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული მისი მხარდაჭერა და ამუშავება. ეს თქვენი საზრუნავია, ჩემო მეგობრებო, თქვენი ისევე, როგორც ჩემი. ერთ მუშტად შეკრულნი უეჭველად მივაღწევთ წარმატებას“.

ბევრს ეგონა, რომ „საბანკო არდადეგების“ შემდეგ ყველა მეანაბრე, ვისაც საკუთარი დანაზოგის გამოტანის შესაძლებლობა მიეცემოდა, ამით დაუყოვნებლივ ისარგებლებდა, მაგრამ ეს პირქუში პროგნოზი არ გამართლდა. უფრო მეტიც: ადამიანებმა იმდენად ირწმუნეს სახელმწიფოს მეთაურის დაპირება, რომ გამოტანის ნაცვლად, ბანკებში ფულის შეტანასაც კი მიჰყვეს ხელი.

რუზველტმა პირველი გამარჯვება იზეიმა, თუმცა, სრულიად არ ეზეიმებოდა: წინ ურთულესი ამოცანები ელოდა, რომელიც ვეებერთელა მთად აღმართულიყო და სასწრაფო გადაჭრას მოითხოვდა ქვეყნის გადასარჩენად.

თავი II

ჰოლანდიელი ამერიკელი – ფესვები და ბავშვობა

უნიკალური პოლიტიკური ფიგურის ასევე უნიკალურ სახელმწიფო მოღვაწეობაზე თხრობას სანამ გავაგრძელებთ, მისი ბავშვობისა და ყრმობის შესახებ მოკლედ მაინც მოგითხრობთ.

ამერიკის შეერთებული შტატების მომავალი პრეზიდენტი ფრანკლინ დელანო რუზველტი, რომელიც მთელმა მსოფლიომ გაიცნო როგორც „დიდი სამეულის" (უინსტონ ჩერჩილთან და იოსებ სტალინთან ერთად) წევრი სახელმწიფო მოღვაწე, ჰოლანდიური ფესვების მქონე ამერიკელი იმიგრანტის, ჯეიმს რუზველტის ოჯახში 1882 წლის 30 იანვარს ნიუ-იორკის შტატის ქალაქ ჰაიდ-პარკში დაიბადა.

დღევანდელი ნიუ-იორკისა და მისი შემოგარენის ტერიტორიაზე ჩასული პირველი ევროპელები სწორედ ჰოლანდიელები იყვნენ, რომლებმაც მანჰეტენის კუნძულზე 1624 წელს მომცრო კოლონია — ნიუ-ნიდერლანდსი (ანუ ახალი ნიდერლანდები) დააარსეს, ხოლო მის ცენტრალურ ადგილს, სადაც რუზველტები ცხოვრობდნენ, მაშინ ნიუ-ამსტერდამი (ახალი ამსტერდამი) ერქვა. ქალაქისა და კოლონიის დარად, მომავალი პრე-

ზიდენტის გვარსაც განუცდია ცვლილება: ჰოლანდიელი კლაეს მარტენზენ ვან როზენველტის შთამომავლების გვარი, მოგვიანებით, ინგლისურ ყაიდაზე, რუზველტად გარდაიქმნა.

ნიუ-ამსტერდამში კლაეს როზენველტი ჰოლანდიური კოლონიის დაარსებიდან 10 წლის შემდეგ დასახლებულა, ხოლო თითქმის 25 წლის შემდეგ, 1658 წელს ქალაქს ნიუ-იორკი ეწოდა. XX საუკუნის დასაწყისში აშშ-ის 32-ე პრეზიდენტი ცდილობდა დაედგინა ცნობები თავისი უფრო შორეული წინაპრების შესახებ, მაგრამ ამაოდ. შესაძლოა, ამ ძიებაში მეტი წარმატებისთვის მიეღწია, რომ არა მამამისის სახლში 1866 წელს გაჩენილი ხანძარი, რომელმაც ყველა საგვარეულო დოკუმენტი შთანთქა.

ფრანკლინის მამა, ჯეიმს რუზველტი ნაადრევად დაქვრივდა და უკვე მოწიფულ ასაკში მეორე ოჯახი შექმნა, წარმოშობით არისტოკრატიული ფრანგული ოჯახის შვილთან, მასზე გაცილებით უმცროს, 26 წლის სარა დელანოსთან (საწყისში — დე ლა ნუა) ერთად, რომელიც მთელ ოლქში ულამაზეს ქალიშვილად ითვლებოდა და საკუთარი სანაცნობო წრის წარმომადგენლებთან ურთიერთობის დროსაც ქედმაღლობით გამოირჩეოდა. ამასთან, ძალზე შეძლებული ოჯახის შვილი იყო (მხოლოდ მისი მზითევის ღირებულება, თურმე, ერთ მილიონ დოლარს შეადგენდა) და ყველა საფუძველი ჰქონდა, ასაკითა და საზოგადოებრივი მდგომარეობით უფრო

შესაფერის კაცს გაჰყოლოდა ცოლად, მაგრამ, გარშემო მყოფთა გასაოცრად, ჯეიმს რუზველტის შეთავაზებას დათანხმდა.

როცა ფრანკლინი დაიბადა, მამამისი 53 წლის იყო, დედა კი მისი უფროსი ძმის, ჯეიმსის პირველი შვილის ტოლი გახლდათ. დედაც და მამაც განსაკუთრებულ მზრუნველობასა და სითბოს იჩენდნენ ფრენკის მიმართ, თუმცა, ამასთანავე, არც მამა აკლებდა მომავალი მამაკაცისთვის აღსაზრდელად აუცილებელ მომთხოვნელობას და არც დედა — სითბოსა და მეურვეობას, რომელიც, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, ათწლეულების შემდეგაც ჭარბად გამოუვლენია უკვე სახელოვანი შვილის მიმართ.

წყვილი, მცირეწლოვან შვილთან ერთად, ევროპაში დასასვენებლად ყოველ წელს მიემგზავრებოდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი გულის უკმარისობა იყო, რომელიც ჯეიმს რუზველტს ახალგაზრდობიდანვე აწუხებდა: მას ბრმად სჯეროდა ფრანგული და გერმანული მინერალური წყაროების სამკურნალო ძალისა და ამიტომაც სისტემატურად სტუმრობდა იქაურ კურორტებს. ამ მოგზაურობების წყალობით, ფრანკლინი პატარაობიდანვე გაეცნო ინგლისს, ჰოლანდიას, იტალიასა და შვეიცარიას.

ბედნიერი ბავშვობა რამდენადმე დაჩრდილა მამის მძიმე ავადმყოფობამ — ჯეიმსს ტვინში სისხლი ჩაექცა, როცა ფრანკლინი 10 წლის იყო, და მას შემდეგ, სიკვდილამდე აღარც გამოკეთებულა. ოჯახის მატერიალური

მდგომარეობა არ შეცვლილა, რადგან ბიზნესში დაბანდებულ კაპიტალს კვლავაც მოჰქონდა შემოსავალი, მაგრამ მამის ამბავმა ბუნებრივი დაღი დააჩნია ბიჭის ყოველდღიურ ცხოვრებას, რომელსაც, იქიდან მოყოლებული, მუდამ თან სდევდა მამისადმი თანაგრძნობისა და დედისადმი თანადგომის განცდა. გულისხმიერება, რომელსაც ფრანკლინს ბავშვობიდან უნერგავდნენ, ფრენკისთვის ბუნებრივი გახდა და შემდგომ, მთელი ცხოვრების განმავლობაში, არაერთხელ გამომჟღავნებულა, როგორც საახლობლო წრის, ასევე — უკვე სახელმწიფო მოღვაწის რანგში ყოფნისას — ქვეყნის ფართო მასების მიმართაც.

ჰაიდ-პარკის მამულში რუზველტებს მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდათ და ფრენკიც პატარაობიდანვე დაეწაფა კითხვას. ზღაპრებსა და ლეგენდებს მალე მაინ რიდის, რადიარდ კიპლინგის, მარკ ტვენის წიგნები მოჰყვა, ათი წლის ასაკიდან კი უკვე „მოზრდილ“ ლიტერატურას ეცნობოდა და განსაკუთრებით, საზღვაო-სათავგადასავლო წიგნები იტაცებდა. რუზველტმა ასევე ბავშვობიდან მიჰყო ხელი კოლექციონირებას — საფოსტო მარკების შეგროვებას, რაც მთელი სიცოცხლე გაჰყვა და მისთვის არა მარტო ჰობი, არამედ ხშირად მძიმე სახელმწიფოებრივი საზრუნავისგან ხანმოკლე განმუხტვის საშუალებაც გახლდათ. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ საბოლოოდ მის კოლექციაში თავმოყრილი მარკების რაოდენობამ 1 მლნ 250 ათასამდე ერთეულს მიაღწია.

14 წლის ფრენკი ვაჟების პრესტიჟულ სკოლაში — პატარა ქალაქ გროტონის (მასაჩუსეტსის შტატი) კოლეჯში მიაბარეს. სასწავლებელი „ენციკლოპედიური“ საგნების კომპლექსს მოიცავდა — მათემატიკით დაწყებული, ესთეტიკით დასრულებული, — თუმცა აქცენტი მაინც ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე კეთდებოდა და უმეტესად, მომავალი იურისტის, ფილოსოფოსისა და ისტორიკოსის კარიერას უყრიდა საფუძველს. კოლეჯს სათავეში ედგა ნიჭიერი პედაგოგი და გამორჩეული პიროვნება — ენდიკოტ პიბოდი, რომლის ღვაწლსაც მის პიროვნებად ჩამოყალიბებაში ფრანკლინ რუზველტი სიცოცხლის ბოლომდე არ ივიწყებდა.

ეპისკოპოსური ეკლესიის მღვდელმსახურმა პიბოდიმ ეს სკოლა 1884 წელს დააარსა და 56 წლის განმავლობაში უძღვებოდა. თუმცა, მის მოსწავლეთა რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდებოდა და ბოლოს ათასებს აღწევდა. პედაგოგი მოწაფეებს პირადად ულოცავდა დაბადების დღეს. მოგვიანებით ფრანკლინ რუზველტმა მას თავის ქორწილში ხელისმომკიდის მისიის შესრულება სთხოვა, ხოლო 1936 წელს, საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე გამარჯვების შემდეგ მიღებული მისი მილოცვის პასუხად მისწერა: „ჩემთვის მისალოცი ბარათი რომ არ გამოგეგზავნათ, თავს ძალზე გაწბილებულად ვიგრძნობდი! მინდა იცოდეთ, რომ სკოლის დამთავრების წლიდან მოყოლებული, უკლებლივ ყველა თქვენს ბარათს რუდუნებით ვინახავ“.

თავი III

სტუდენტობა და ჟურნალისტობა

„საუკუნის მოღვაწე" საუკუნეების მიჯნაზე — 1900 წელს — გახდა პრესტიჟული ჰარვარდის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის (ანუ, ჩვენებურად, იურიდიული ფაკულტეტის) სტუდენტი. ერთ-ერთი უძველესი ამერიკული უნივერსიტეტი ბოსტონის შუაგულში — კემბრიჯად წოდებულ რაიონში მდებარეობს, რომელსაც ზოგჯერ ავტონომიურ ქალაქადაც მოიხსენიებენ (იქვე მდებარეობს არანაკლებ სახელოვანი მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი) და ამის გამო ხშირად ბრიტანულ კემბრიჯში ერევათ...

ახალგაზრდა რუზველტმა ოთხწლიანი სასწავლო პროგრამა სამ წელიწადში აითვისა, რაც არცთუ ისე იოლი იყო, მით უმეტეს, თუკი გავითვალისწინებთ მაპროფილებელი საგნების გარდა მის მიერ შერჩეულ დისციპლინებს: ინგლისურ, ფრანგულ, ძველრომაულ ლიტერატურას, აშშ-ის ისტორიას, კონკრეტულ ეკონომიკას, კონსტიტუციური მმართველობის საფუძვლებს, ელემენტარულ გეოლოგიას და, ბოლოს, ორატორულ ხელოვნებას (კურსს უფრო მოკრძალებული სახელი — „საჯარო გამოსვლები" ერქვა) და საგანს, რომლის სა-

ხელიც ასე იყო განსაზღვრული: „ინგლისურ ენაზე წერილების წერა“.

უნივერსიტეტშივე მიჰყო ხელი ფრენკმა ჟურნალისტიკას — სასწავლებლის გაზეთ „ჰარვარდ კრიმსონში“ ჯერ რეპორტიორად მუშაობდა, მოგვიანებით კი მისი რედაქტორიც გახდა. თუმცა, როგორც ამბობდნენ, ჟურნალისტური ალღოთი დიდად არ გამოირჩეოდა და ვერც პუბლიცისტის ნიჭი გამოუვლენია, ძალზე იტაცებდა რეპორტაჟების წერა, განსაკუთრებით, ცნობილ ადამიანებთან ინტერვიუს ჩაწერა და უზომოდ ახარებდა გაზეთის ფურცლებზე საკუთარი სახელის ამოკითხვა, რასაც საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ადგილის დაკავებისკენ მის სწრაფვას მიაწერენ.

ბედმა განსაკუთრებით 1901 წელს გაუღიმა: იღბლიანი შემთხვევისა და ამასთანავე, ნათესაური კავშირების წყალობით, ისეთი მასალის მომზადება მოახერხა, რომელმაც რედაქციის მუდმივი თანამშრომლის სტატუსი მოუტანა. საქმე ისაა, რომ ბოსტონში ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტი თეოდორ რუზველტი (მისთვის ჯერ კიდევ უცნობი ნათესავი) ჩავიდა, რომელიც ხანმოკლე ვიზიტის დროს ჰარვარდის უნივერსიტეტში სტუმრობასაც აპირებდა. ჟურნალისტებთან საუბრისას ნათქვამი ეს ამბავი ფრენკმა სირბილ-სირბილით მიიტანა რედაქციაში. გაზეთმა სასწრაფოდ გამოაქვეყნა „სენსაციური“ ცნობა

ნომერში, რომელიც მეორე დილით გამოვიდა, რის შედეგადაც, ვიცე-პრეზიდენტის მისვლის მომენტისთვის უნივერსიტეტში ტევა არ იყო. მომხდარმა უზომოდ გაზარდა გაზეთის პრესტიჟი, ხოლო რუზველტს წინსვლის შანსი მიეცა და რედაქციაში ჯერ მდივნის თანამდებობა დაიკავა, ნახევარ წელიწადში გამომშვებ (ანუ პასუხისმგებელ) რედაქტორად დაინიშნა, ხოლო სწავლის დასრულების შემდეგ, „ჰარვარდ კრიმსონის" მთავარი რედაქტორის სავარძელში გადაინაცვლა, რის გამოც მთელი წელი ჰარვარდში დარჩა.

მანამდე, ჯერ კიდევ ახალგასტუდენტებული ფრანკლინი მამით დაობლდა. მომავალი პრეზიდენტი დაახლოებით 600-ათასდოლარიანი ქონების მემკვიდრე იყო, თუმცა, ცხადია, ოჯახის უფროსი ჯერჯერობით დედამისი იყო, რომელიც დაქვრივების შემდეგ, შვილთან უფრო ახლოს ყოფნის სურვილით, ჰაიდ-პარკიდან ბოსტონში გადაბარგდა.

თავი IV

„ბიძია ტედი" მოწინააღმდეგე ბანაკიდან

პოლიტიკურ კარიერაზე ფიქრი ფრენკმა სტუდენტობის წლებშივე დაიწყო. ოჯახური ტრადიციის მიხედვით, ის დემოკრატიული პარტიის მხარდამჭერი იყო. თეოდორ რუზველტი, რომელიც ფრანკლინს შორეულ ნათესავად ეკუთვნოდა და ოჯახში „ბიძია ტედიდ" მოიხსენიებდნენ, რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი გახლდათ. მიუხედავად ამისა, სწორედ თეოდორმა მოახდინა მასზე განსაკუთრებული გავლენა და მისაბაძ მაგალითადაც იქცა.

თეოდორ რუზველტმა პირველად იმით გაითქვა სახელი, რომ XIX საუკუნის დამლევს კუბაში გაჩაღებულ ე.წ. ესპანურ-ამერიკულ ომში მონაწილეობისთვის მოხალისეთა საცხენოსნო პოლკი ჩამოაყალიბა. ხანმოკლე კონფლიქტი იმით დასრულდა, რომ ესპანეთმა ფარ-ხმალი დაყარა და კუბა ამერიკის კონტროლქვეშ გადავიდა. შინ დაბრუნებულმა რუზველტმა ნიუ-იორკის გუბერნატორის სავარძლისთვის არჩევნებში გაიმარჯვა და პოლიტიკურ სარბიელზე აღმასვლა დაიწყო. ორი წლის შემდეგ, მეორე საპრეზიდენტო არჩევნებში ჩაბმულმა უილიამ მაკკინლიმ მასთან ერთად ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად ბრძოლა შესთავაზა.

მაკკინლის მეორე ვადით პრეზიდენტად მოღვაწეობა არ დასცალდა: 1901 წელს მასზე თავდასხმა მოხდა და მუცელში ტყვიით დაჭრილი, პერიტონიტით გარდაიცვალა. 42 წლის თეოდორ რუზველტი აშშ-ის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტი გახდა (ეს რეკორდი ექვსი ათეული წლის შემდეგ ჯონ კენედიმ მოხსნა, რომელიც აშშ-ის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა არჩეული პრეზიდენტი გახლდათ და ამ „ტიტულს" დღემდე ინარჩუნებს).

პოლიტიკურ კარიერაზე მოფიქრალ ახალგაზრდა კაცზე სახელოვანი ნათესავის გავლენა სავსებით ბუნებრივია, თუკი გავითვალისწინებთ არა მარტო მის სწრაფ წინსვლას, არამედ, უპირველესად, მის სახელ-დიდებას: თეოდორ რუზველტი ქვეყნის პოლიტიკურ სპექტრში ე.წ. პროგრესისტების ბანაკს მიეკუთვნებოდა, ბევრი რეფორმის გატარება მოახერხა და აშშ-ის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ პრეზიდენტად დარჩა. ის ამერიკელთათვის საამაყო იმიტომაც გახდა, რომ 1906 წელს მშვიდობის დარგში ნობელის პრემია მიენიჭა — ასე დაფასდა მისი წვლილი რუსეთსა და იაპონიას შორის ომის შეწყვეტის საქმეში, რის შედეგადაც 1905 წლის ქალაქ პორტსმუტში (ნიუ-ჰემპშირის შტატი) ორ ქვეყანას შორის სამშვიდობო ხელშეკრულება გაფორმდა.

...ფრანკლინს სამუდამოდ აღებეჭდა მეხსიერებაში ის დღე, როცა პირველად წარუდგინეს ნათესავს. თეთრი

სახლის მობინადრეს არ დავიწყებია ბოსტონში გამართული შეხვედრა, რომელზეც ფრენკის ძალისხმევით, უნივერსიტეტში უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი... ხანმოკლე გასაუბრების დროს ყმაწვილმა გაბედა და ჰკითხა სახელმწიფოს მეთაურს, რამდენად მოსწონდა თავისი სამუშაო? პრეზიდენტმა გულღიად გაუღიმა და ბუნდოვანი პასუხი გასცა: „საქმე ძალზე მარტივადაა, ლამისაა, მხოლოდ ნაყოფის მოწყვეტა გიწევს“. ამ პასუხისგან ფრენკმა დაასკვნა, რომ პრეზიდენტს თავისი „სამუშაო“ მოსწონდა და ღირდა სახელოვანი ნათესავი მისაბაძ მაგალითად ჰყოლოდა...

თავი V

შეყვარებული ელინორ რუზველტი

ბიძია ტედის ძმისშვილი ელინორი ან, შინაურულად, ნელ რუზველტი, პირველი შეხვედრიდან სულ ცოტა ხანში ფრენკის ყურადღების არეში მოექცა. გოგონას, მისგან განსხვავებით, გაცილებით მძიმე ბავშვობა ჰქონდა გამოვლილი: ჯერ იყო და, მომხიბლავმა და ქარაფშუტა დედამ პატარაობიდანვე გაუჩინა კომპლექსი, რომ შეუხედავი იყო, მერე მოულოდნელად დიფტერიით დასნეულდა და 8 წლის ელინორი ობლად დატოვა; ამის შემდეგ, ბავშვი სასმლის მოყვარული და ათასგვარ ავანტიურაში გახვეული მამის უსაქციელობას უცქერდა და 10 წლისა, ალკოჰოლური მოწამვლის შედეგად მისი გარდაცვალების მომსწრეც გახდა. ნელი მომხდარით იმდენად დაზაფრული იყო, რომ ბებიამ დაკრძალვაზე არ გაუშვა, ამდენად, გოგონას მკვდარი მამა არ უნახავს...

ელინორი და ფრაკლინი დროდადრო ხვდებოდნენ სანათესაო წრეში, საუბრისას ინტერესების თანხვედრა აღმოაჩნდათ და ერთმანეთის მიმართ განსაკუთრებული გრძნობაც გაუღვივდათ. ფრენკის მსგავსად, ნელსაც აინტერესებდა სოციალური და პოლიტიკური პრობლემები, ოღონდ ქალიშვილი ყველაფერს გაცილებით ემოციურად აღიქვამდა. წყვილი ხან ნიუ-იორკში, ხან ვაშინ-

გტონში ხვდებოდა ერთმანეთს, სპექტაკლებსა და კონცერტებს ესწრებოდა, 1903 წლის 1-ელ იანვარს კი თეთრ სახლში საახალწლო წვეულებაზე დასწრების პატივიც ერგო წილად.

ცოტა ხანში ელინორი რუზველტთა ჰაიდ-პარკის მამულის ხშირი სტუმარი გახდა, თუმცა ფრენკის დედა ფიქრობდა, რომ ეს ქალიშვილი მისი ვაჟის ხანმოკლე გატაცება იქნებოდა. როგორც ცოტა ხანში გაირკვა, სარა დელანო-რუზველტს ამჯერად ალღომ უმტყუნა. ჯერ კიდევ უნივერსიტეტის დამთავრებამდე ფრენკმა ნელს ხელი სთხოვა. ქალიშვილი სიხარულით დათანხმდა. 21 წლის ფრანკლინ რუზველტი და 19 წლის ელინორ რუზველტი დაინიშნნენ. მათი ქორწინება კი 2 წლის შემდეგ, 1905 წლის მარტში გაიმართა და, თუმცა შვილის დაოჯახება სარას ნაადრევად მიაჩნდა, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ელინორი ფრანკლინისთვის შესაფერისი მეუღლე იქნებოდა. შესაძლოა, ამ დამოკიდებულებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ სარძლო ქვეყნის პრეზიდენტის ძმისშვილი იყო, რომელსაც ბიძია ტედიმ პატივი დასდო, მამის ნაცვლად, საკურთხევლამდე მიაცილა და საქორწილო წვეულებაზეც დარჩა, დამშვიდობებისას კი, მოარული ხმებით, უთქვამს: „კარგია, რომ გვარი ოჯახში დარჩება!“

აქვე დავძენთ, რომ ცერემონიას ფრანკლინის სკოლის დირექტორი, ღირსი მამა ენდიკოტ პიბოდი ხელმძღ-

ვანელობდა, ხოლო საზოგადოებრივ წესრიგს მანჰეტენზე მდებარე სახლის გარშემო 75 პოლიციელი იცავდა.

მალე ახალშეუღლებულები საქორწინო მოგზაურობაში ევროპაში გაემგზავრნენ და ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და გერმანიის შემოვლას სამი თვე მოანდომეს. ამასობაში სარა მათთვის სახლს ამზადებდა, რომელიც მანჰეტენზე თავისი საცხოვრებლის სიახლოვეს შეიძინა.

სიყვარულისა და პატივისცემის მიუხედავად, ფრანკლინი მალე მიხვდა, რომ სექსუალური ტემპერამენტით ცოლი ნაკლებად შეეფერებოდა, თანაც, პურიტანულ ტრადიციებზე აღზრდილ ქალიშვილს ინტიმური კავშირი მხოლოდ გვარის გასაგრძელებლად საჭირო ცოლქმრულ მოვალეობად მიაჩნდა... მიუხედავად ამისა, პირველ ხანებში რუზველტებს მტკიცე ოჯახი ჰქონდათ, სადაც ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო სუფევდა. სარას პრეტენზიული ხასიათის მიუხედავად, ელინორს დედამთილთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა და „დედასაც“ ეძახდა.

მოვლენებს წინ გავუსწრებთ და აღვნიშნავთ, რომ 1906-დან 1916 წლამდე პერიოდში ელინორმა ქალიშვილი ანა და ხუთი ვაჟიშვილი აჩუქა ფრანკლინს; უფროსი ბიჭის, ჯეიმსის შემდეგ დაბადებულ ფრანკლინს გულის თანდაყოლილი მძიმე დაავადება ჰქონდა და 7 თვისა გარდაიცვალა. ელინორმა მძიმედ განიცადა შვილის და-

ღუპვა და თავსაც იდანაშაულებდა, რადგან ფიქრობდა, რომ სათანადოდ ვერ მოუარა, მაგრამ ცდებოდა: თანდაყოლილი გულის მანკის წინაშე მედიცინა იმხანად სრულიად უძლური იყო.

ფრანკლინის შემდეგ ოჯახს კიდევ 3 შვილი — ელიოტი, ფრანკლინი (მამის პატივსაცემად და გარდაცვლილი ძმის მოსაგონებლად) და, ბოლოს, ჯონი შეემატნენ.

პირველი შვილის დაბადების წელს ფრანკლინ რუზველტმა საადვოკატო საქმიანობისთვის საჭირო გამოცდები ჩააბარა და მალე ნიუ-იორკში ერთ-ერთი უმსხვილესი იურიდიული ფირმის თანამშრომელი გახდა. ქალაქის საფინანსო ცენტრში — უოლ-სტრიტზე მდებარე ოფისში მოხვედრილ მომავალ პოლიტიკოსს ბიზნესის სამყაროს მსხვილ „მოთამაშეებთან“ ურთიერთობების შესაძლებლობა მიეცა. პოლიტიკურ ამბიციასაც უკვე ღრმად გაედგა ფესვები მის გონებაში და გარშემო მყოფებსაც არ უმალავდა ამას: როგორც მისი იმდროინდელი კოლეგა-თანამშრომელი შემდგომ იხსენებდა, უკვე 1907 წელს ფრენკმა ადგილობრივი მართვის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის განზრახვა გაუზიარა და არც ის დაუმალავს, რომ პერსპექტივაში, სახელოვანი ნათესავის დარად, ქვეყნის პრეზიდენტობისთვის ბრძოლაზეც არ იტყოდა უარს, თან, თეოდორ რუზველტის პოლიტიკური „კიბის“ საფეხურებიც ჩამოთვალა: შტატის ასამბლეის დეპუტატი, სამხედრო-საზღვაო მინისტრის

მოადგილე, ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი... „ვინც ნიუ-იორკის შტატის მართვის სადავეებს შესჭიდებია, — თურმე დასძინა ბოლოს, — მას პრეზიდენტად არჩევის კარგი შანსი აქვს".

საინტერესოა, რომ ფრანკლინმა მართლაც, თითქმის ზედმიწევნით გაიმეორა „ბიძია ტედის" გზა: შტატის დეპუტატადაც აირჩიეს, სამხედრო-საზღვაო მინისტრის მოადგილედაც იმუშავა, ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორიც გახდა და... პრეზიდენტობის ვადითა და შედეგებით ხომ არა მარტო მას, არამედ ყველა ამერიკელ პრეზიდენტს აჯობა.

თავი VI

კარიერის დასაწყისი და პირველი წარმატებები

1909 წელს რესპუბლიკურმა პარტიამ მოქმედ პრეზიდენტ თეოდორ რუზველტს სხვა კანდიდატი არჩია. ერთი მხრივ, ფრანკლინმა დიდი „ზურგი“ დაკარგა, მაგრამ, მეორე მხრივ, როგორც დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელს, „რესპუბლიკელებისთვის“ მეტოქეობა უნდა გაეწია. მომდევნო წელს პარტიის ბოსებმა 28 წლის რუზველტს ნიუ-იორკის შტატის სენატის არჩევნებში მონაწილეობა შესთავაზეს.

საინტერესოა, რომ ის ახალგაზრდობიდანვე კამპანიაში სიახლეების შემომტანი გახდა. ამომრჩევლებთან კონტაქტის გასაიოლებლად, ფრენკმა წითელი კაბრიოლეტი შეიძინა და რეგიონის ქალაქებსა და სოფლებში ხალხს ამ „მოძრავი ტრიბუნიდან“ მიმართავდა, რაც პოლიტიკურ ცხოვრებაში სრულიად უჩვეულო იყო. აღსანიშნავია, რომ მანქანა იაფფასიანი გახლდათ, რაც კანდიდატის მოკრძალებული ხასიათისა და უბრალო ადამიანებთან სიახლოვის მიმანიშნებელი უნდა ყოფილიყო.

ფრანკლინ რუზველტმა თავისი პირველი არჩევნები მოიგო, თანაც, „რესპუბლიკელთა“ გამოცდილ კანდიდატს, ცნობილ იურისტსა და კარგ ორატორს სძლია

და შტატის სენატორი გახდა. მშრომელი ადამიანის ქომაგის სახელის პირველად მოხვეჭის შანსიც მალე მიეცა საშინელი ტრაგედიის გამო, რომელიც ნიუ-იორკის სამკერვალო ფაბრიკაში დატრიალდა: ვიღაცის მიერ დაუდევრად დაგდებული სიგარეტის ნამწვავისგან გაჩენილმა ხანძარმა სულ რაღაც 20 წუთში იქ დასაქმებული 600 ახალგაზრდა მკერავიდან 146-ის სიცოცხლე შეიწირა. სწორედ ფრანკლინ რუზველტი აღმოჩნდა პირველი, ვინც დაჟინებით მოითხოვა საფუძვლიანი, მიუკერძოებელი გამოძიების ჩატარება დამნაშავეთა გამოსავლენად და წამოაყენა წინადადება, კომისიის შემადგენლობაში საზოგადოებრივი აქტივისტი და ჯერ კიდევ სტუდენტი გოგო, ფრენსის პერკინსი შეეყვანათ, რომელიც კოლუმბიის უნივერსიტეტში სწავლასთან ერთად, მომხმარებელთა ნაციონალურ ლიგაში საქმიანობდა. მისი წინადადება გავიდა, საგამოძიებო კომისიამ საკუთარი მისია შეასრულა, ხოლო ფრენსისისა და ფრანკლინის მეგობრობა და საქმიანი ურთიერთობა მთელი ცხოვრება გაგრძელდა. პრეზიდენტ რუზველტის გადაწყვეტილებით, ფრენსის პერკინსი აშშ-ის ისტორიაში პირველი მინისტრი ქალი გახდა — სახელმწიფოს მეთაურმა მას შრომის უწყების პორტფელი ჩააბარა.

ნიუ-იორკის სენატორის მოვალეობის შესრულების დაწყებიდან სულ ცოტა ხანში რუზველტმა საარჩევნო

სისტემაში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზის გამოსწორების ინიციატივით გაითქვა სახელი. საქმე ის არის, რომ მაშინ აშშ-ის კონსტიტუციაში არ იყო გაწერილი სახელმწიფოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში არჩევის წესი, ამიტომაც ზოგ შტატში მის წევრებს საყოველთაო არჩევნებში ირჩევდნენ, ზოგი კი ირიბი არჩევნებით კმაყოფილდებოდა, ანუ ქვეყნის სენატორებს ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოები ასახელებდნენ.

1911 წელს რუზველტმა კოლეგების სამსჯელოდ აშშ-ის კონსტიტუციაში შესწორების საკითხი გამოიტანა. ხანმოკლე დებატების შემდეგ სენატმა მისი რეზოლუციის პროექტს მხარი დაუჭირა. კონსტიტუციის მე-17 შესწორებას ქვეყნის კონგრესიც დაეთანხმა, რასაც შემდგომ, კანონმდებლობის თანახმად, შტატების მიერ მისი რატიფიცირება უნდა მოჰყოლოდა. პროცესი ორი წელი გაგრძელდა, მაგრამ საბოლოოდ, გადაწყვეტილებით დაგვირგვინდა და ეს შესწორება კონსტიტუციაში 1913 წლის აპრილში შევიდა.

ამ დროს რუზველტი უკვე შტატის სენატში მეორე ვადით იყო არჩეული და, ისევე, როგორც პირველ ორწლეულში, აქტიურ საქმიანობას ეწეოდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში, რომლებსაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ახალგაზრდობაშიც და შემდგომაც, უკვე თეთრ სახლში მოღვაწეობის დროს.

მეორე საარჩევნო კამპანიის დროს ფრანკლინმა შემდგომში თავისი ერთ-ერთი ყველაზე ერთგული თანაშემწე — ჟურნალისტი ლუის ჰოუვი გაიცნო, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მის გამარჯვებაში. სწორედ ჰოუვმა აიტაცა რუზველტის კიდევ ერთი საარჩევნო სიახლე — პირადი წერილების გაგზავნა ამომრჩევლებისთვის, რომელიც მისი პრეზიდენტობის დროინდელი „ბუხართან საუბრების" წინამორბედ აქციად შეიძლება ჩაითვალოს.

თუმცა ამ წერილებში ძირითადი ქარგა საერთო და უცვლელი რჩებოდა, ლამის თითოეულში ერთი-ორი ისეთი ფრაზა იყო შეტანილი, რომელიც თითქოს პირადად ადრესატს შეეხებოდა, ამასთან, მანქანაზე დაბეჭდილ ამ წერილებში ტექსტის ნაწილი ხელით იყო ჩამატებული. რაც მთავარია, ბარათებში შეტანილი იყო კითხვა — ამომრჩევლის აზრით, რა კანონები უნდა მიეღო შტატის სენატს მისი ცხოვრების გასაუმჯობესებლად? — ხოლო ფერმერებისთვის განკუთვნილ ბარათებში ავტორი მათთვის მტკივნეულ საკითხს — გადამყიდველთა საქმიანობას ეხებოდა და არწმუნებდა, რომ მისი არჩევის შემთხვევაში, სენატში შეიტანდა კანონპროექტს, რომელიც მათ მიერ უსაშველოდ მაღალი ფასებით ხორცისა და რძის პროდუქტების გაყიდვას აღკვეთდა. საბოლოო ჯამში, დაუღალავმა ჰოუვმა ფრანკლინ რუზველტის პირადი ხელმოწერით დამშვენებული 11 ათასამდე წე-

რილი შეადგინა, რომლებიც უმეტესად ფერმერებსა და ხელოსნებს დაეგზავნა. იოლი წარმოსადგენია, რომ ამ ადამიანთა უმეტესობას რუზველტის მხარდასაჭერად დამატებითი მოწოდებები აღარც დასჭირდებოდა...

რუზველტმაც წინასაარჩევნო დაპირება შეასრულა: მისი სენატორობის მეორე ვადის ყველაზე დიდ მიღწევად სწორედ ბითუმად მოვაჭრეთა საწინააღმდეგოდ შეტანილი კანონპროექტი იქცა, რომელიც მათ ფერმერებისგან პროდუქციის შესყიდვისას შეზღუდვებს უწესებდა. კანონპროექტი დიდი გაჭირვებით იქნა მიღებული, რადგან ბევრს მიაჩნდა, რომ ის თავისუფალი მეწარმეობის სფეროში სახელმწიფოს გაუმართლებელი ჩარევის მაგალითი იქნებოდა, მაგრამ ბოლოს ახალგაზრდა სენატორმა მაინც იზეიმა გამარჯვება. ამ წარმატებიდან ცოტა ხნის შემდეგ კი რუზველტმა შტატის სენატორის სავარძლიდან მინისტრის მოადგილის სავარძელში გადაინაცვლა.

თავი VII

საქმიანობა სამხედრო-საზღვაო სამინისტროში

1912 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე ფრანკლინმა ჟურნალისტი და გამომცემელი, კანდიდატ ვუდრო უილსონის პრესმდივანი, იოზეფუს დენიელსი გაიცნო. მას პირველი შეხვედრისთანავე თვალში მოუვიდა ახალგაზრდა პოლიტიკოსი, რომელიც ასევე უილსონს უჭერდა მხარს, და როცა მისმა ბოსმა პარტიაშიც გაიმარჯვა და შემდეგ „რესპუბლიკელების" კანდიდატსაც სძლია, გადაწყვიტა, ფრანკლინისთვის პასუხსაგები პოსტი შეეთავაზებინა. დენიელსის ინიციატივა პრეზიდენტმაც გაიზიარა, რომელსაც რუზველტის წარმატებების შესახებ ასევე სმენოდა, ამდენად, სამხედრო-საზღვაო მინისტრად დანიშნულმა დენიელსმა ფრანკლინს მინისტრის მოადგილის სავარძელი შესთავაზა.

აუცილებელია, ორიოდე სიტყვა ითქვას ვუდრო უილსონის პრეზიდენტობის დროს განხორციელებულ მნიშვნელოვან გარდაქმნებზე, რომლებმაც დიდი ბიძგი მისცა ქვეყნის განვითარებას. წინასაარჩევნო კამპანიის ლოზუნგად მან „ახალი თავისუფლება" აირჩია, რომლის არსი ტრესტების ლიკვიდაცია და კლასიკური კონკურენტული კაპიტალიზმის დაბრუნება იყო.

უილსონის ორი საპრეზიდენტო ვადის განმავლობაში შეერთებულმა შტატებმა მოდერნიზაციის ეპოქა-

ში შეაბიჯა, რაც, უპირველესად, ახალი საგადასახადო პოლიტიკის შემოღებაში გამოიხატებოდა: პრეზიდენტის ინიციატივით, შემცირდა გადასახადი იმპორტზე და, აშშ-ის ისტორიაში პირველად, დაწესდა საშემოსავლო გადასახადი. დღეს მსოფლიოში წამყვან საფინანსო ინსტიტუტად ცნობილი ფედერალური სარეზერვო სისტემა (ანუ აშშ-ის ცენტრალური ბანკი), როგორც ყოვლისმომცველი საბანკო სისტემის რეორგანიზაციის ნაწილი, სწორედ ამ პრეზიდენტის ინიციატივით ჩამოყალიბდა. ამ რეორგანიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი ბიძგი უთუოდ 1907 წლის კრიზისული მოვლენები იყო, რომლის დროსაც არაერთი კერძო ბანკი დაიხურა და ბევრი მეანაბრე პირში ჩალაგამოვლებული დატოვა.

ფსს-ის შესაქმნელად პრეზიდენტმა ქვეყნის მოწინავე ფინანსიტები მიიწვია. მათი გარჯის შედეგად დაიწერა კანონი, რომელიც 1913 წლის დამლევს გამოიცა და 12 ფედერალური სარეზერვო ბანკის გახსნას ითვალისწინებდა და რომელთა კაპიტალი ეროვნული ბანკების, შტატების ბანკებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების შენატანებით უნდა ჩამოყალიბებულიყო. სწორედ ამ თორმეტი ბანკის გახსნით დაიწყო ფრანკლინ რუზველტმა 20 წლის შემდეგ, უკვე ნახსენები „საბანკო არდადეგებით“ ქვეყნის საფინანსო სისტემის გაჯანსაღება, რომელსაც „დიდმა დეპრესიამ“ და ხელისუფლების უგერგილო პოლიტიკამ დამანგრეველი დარტყმა მიაყენა. არადა, ფედერალური

სარეზერვო სისტემა იმდენად საფუძვლიანად მოფიქრებული და მწყობრი მექანიზმია, რომ იმ ერთი შავბნელი გამონაკლისის გარდა, დღემდე შეუფერხებლად მუშაობს.

უილსონის სხვა რეფორმებიც ფედერალური ხელისუფლების გაძლიერებას ისახავდა მიზნად. საშინაო პოლიტიკის სფეროში მისი ადმინისტრაციის რეფორმისტული საქმიანობა რამდენადმე შენელდა პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, თუმცა ამ პერიოდში უილსონის ძალისხმევა საერთაშორისო ასპარეზზე აშშ-ის როლის გაზრდისკენ იყო მიმართული. 1917 წლის აპრილში შეერთებული შტატები მსოფლიო ომში ჩაება, მომდევნო წელს ამერიკული ჯარი ევროპაში ჩავიდა. თუმცა პრეზიდენტის მიზანი „სამართლიანი მსოფლიო წესრიგის" დამყარება, ახალდაარსებული საერთაშორისო ორგანიზაციის — ერთა ლიგის კონტროლით ევროპაში ეროვნული სახელმწიფოების ფორმირება იყო, ამავე დროს, აშშ-ის როლის გაფართოების პრეტენზიასაც მოიცავდა. ომის შემდგომ პარიზში სამშვიდობო კონფერენციაზე შეკრებილმა ევროპელმა ლიდერებმა ეს პრეტენზიები უარყვეს. ამან ამერიკელთა უკმაყოფილება გამოიწვია, აშშ-მა ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულების რატიფიცირებაზე უარი თქვა და უილსონის თაოსნობით ჩამოყალიბებულ ერთა ლიგაშიც არ გაწევრდა.

რუზველტი ძალზე ამაყობდა, რომ მინდობილი სამთავრობო პოზიციის წყალობით, სრულიად ახალგაზრდა სამოქალაქო პირი, განკარგულებებს აძლევდა თმაშე-

ვერცხლილ ადმირალებს და დიდი პატივით იყო გარემოცული ამა თუ იმ სამხედრო ხომალდის ვიზიტისას. დროთა განმავლობაში ის უფრო და უფრო მეტ ძალაუფლებას იძენდა სამინისტროში, რომელსაც დარგისთვის ერთობ უცხო მინისტრი თავკაცობდა და ხშირად დენიელსის ნაცვლადაც იღებდა გადაწყვეტილებას ან, დარგის სხვადასხვა საკითხის გადასაჭრელად, მის ნაცვლად პრეზიდენტთან შეხვედრაც უწევდა. სამინისტროდან სწორედ მას დაეკისრა უპრეცედენტოდ მასშტაბური ობიექტის — პანამის არხის მშენებლობის მეურვეობა, რომელიც ნაწილობრივ 1913 წელს დასრულდა, თუმცა საბოლოოდ არხი 1920 წელს ამუშავდა.

ფრანკლინ რუზველტი, თავდაპირველად უშუალო შეფთან შეთანხმებით, შემდგომ კი დამოუკიდებლად, წყვეტდა საეჭვო კონტრაქტებს, რომლებიც ჯერ კიდევ სამინისტროში მათ მისვლამდე დაგროვდა, და ცოტა ხანში პოლიტიკურ და ბიზნესწრეებში იმ კაცის სახელი დაიმკვიდრა, რომელსაც საფინანსო-სავაჭრო საკითხებში იოლად ვერ გააცურებდი.

მსოფლიო ომის პირველსავე წლებიდან რუზველტი მასში აშშ-ის ჩაბმის მომხრე იყო, თუნდაც არაპირდაპირ — ვთქვათ, დიდი ბრიტანეთისა და მისი მოკავშირეებისთვის დახმარების სახით; ასევე საჭიროდ თვლიდა მეზობელ მექსიკაში მიმდინარე მოვლენებში ჩარევას, რათა ქვეყანას თავი აერიდებინა სამხრეთ შტატებში რევოლუციური მღელვარების გაღვივების საფრთხისთვის.

ამ დროს, სხვადასხვა წრეში ფრანკლინ რუზველტი უკვე დემოკრატიული პარტიის ამომავალ ვარსკვლავად მიაჩნდათ. მოხშირდა მის შესახებ საგაზეთო მასალის ან მისი ინტერვიუს ბეჭდვა. ყველა, უფროსობით დაწყებული, ხელქვეითებით დასრულებული, ან ვისაც ფრანკლინთან პირადი ურთიერთობა ან თუნდაც ხანმოკლე შეხება ჰქონდა, მასზე დადებითად ლაპარაკობდა. გაზეთი „ნიუ-იორკ ტრიბიუნი“ 1918 წლის აპრილში წერდა: „სამთავრობო დაწესებულებებში დასაქმებული ქალიშვილები აღტაცებით შეჰყურებენ მას, როცა გვერდით ჩაუვლის ხოლმე... მისი მოგრძო სახე თავდაჯერებულობის გამომხატველი ნაკვთებით იპყრობს ყურადღებას. შუბლზე ძლივს შესამჩნევი ჭორფლი აყრია, ცისფერ თვალებს მსუბუქი ჩრდილი ამშვენებს. მოკუმულ წვრილ ბაგეებს უეცრად ღია და ლაღი ღიმილი მოეფინება ხოლმე. სასიამოვნო ხმის ტემბრით გამოირჩევა“.

პოლიტიკურ წრეებში მისი პოპულარობის აშკარა დადასტურება კი სამხედრო მინისტრად მისი დანიშვნის შესახებ გავრცელებული ხმები გახლდათ, როცა 1916 წელს მთავრობაში ეს ვაკანსია გაჩნდა. გავლენიანი გამოცემა „უოლ-სტრიტ ჯორნალის“ ფურცლებზე წერილიც დაიბეჭდა, რომლის ავტორიც პირდაპირ მოითხოვდა მინისტრ დენიელსის „მისი ცოცხალი მოადგილით“ შეცვლას. მაგრამ პრეზიდენტმა მაინც ნაადრევად მიიჩნია ახალგაზრდა და ნაკლებად გამოცდილი კაცისთვის ამ საპასუხისმგებლო პოსტის შეთავაზება.

ფრანკლინ რუზველტის პოპულარობის ზრდას მისი უამრავი ინიციატივა უწყობდა ხელს. მაგალითად, 1917 წელს მან წამოაყენა ორი წინადადება: შედარებით მომცრო ხომალდების აგება გერმანულ წყალქვეშა ნავებთან საბრძოლველად და ჩრდილოეთის ზღვაში სანაღმე სარტყლის მოწყობა. ორივე წინადადება მიღებულ იქნა, თუმცა მეორის რეალიზაცია მხოლოდ ომის დასრულებისთვის და ისიც ნაწილობრივ მოხერხდა: გეგმის მიხედვით, ნახევარ მილიარდამდე დოლარის ღირებულების პროექტზე სულ 80 მილიონი დაიხარჯა და შედეგად, ჩრდილოეთის ზღვაში 80 ათასი ნაღმი განთავსდა.

1918 წლის ზაფხულში ახალ სამხედრო ხომალდ „დაიერით“ რუზველტი გაჰყვა გემების ფლოტილიას, რომელსაც 20 ათასი სამხედრო მოსამსახურე მიჰყავდა ევროპაში საომრად. ამ საქმიანი მივლინების დროს მან დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი მოიარა, ადიოდა სამხედრო ხომალდებზე, ურთიერთობდა მეთაურებთან და ბიზნესწრეების წარმომადგენლებთან, რომლებიც ამერიკულ ფლოტს საბრძოლო მასალითა თუ ინვენტარით ამარაგებდნენ, ეცნობოდა ევროპელ კოლეგებს. მათ შორის იყო სერ უინსტონ ჩერჩილიც — იმ დროს დიდი ბრიტანეთის შეიარაღების მინისტრი, ფრანკლინზე 8 წლით უფროსი პოლიტიკოსი, რომელსაც უკვე ჟურნალისტური, სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწეობის საკმაო გამოცდილება უმაგრებდა ზურგს. მათი პირველი შეხ-

ვედრა რუზველტს კარგად დაამახსოვრდა, რაც არ ითქმის ჩერჩილზე, რომელსაც მასზე ახალგაზრდა კოლეგის გაცნობის ფაქტი მალე დავიწყებოდა და 15 წლის შემდეგ დაწყებული მათი მტკიცე მოკავშირეობის დროს, რუზველტის მოგონებასთან დაკავშირებით, თავად დასამატებელი არაფერი ჰქონდა...

გარდა იმისა, რომ საფრანგეთისა და ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრებს — ჟორჟ კლემანსოსა და დევიდ ლოიდ-ჯორჯს შეხვდა, დიდი ბრიტანეტის მეფეს, ჯორჯ V-საც წარუდგინეს. ამ მოგზაურობისას რუზველტი ფრონტზე მოხვედრასაც ლამობდა. სწორედ მაშინ დაიწყო ანტანტის ბლოკის ჯარების ფართომასშტაბიანი ოპერაცია გერმანელების წინააღმდეგ მთელ ფრონტზე, ლა-მანშიდან შვეიცარიის საზღვრამდე. რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ მან მაინც მოახერხა წინა ხაზზე გასვლა და ფრანგულ-ამერიკული საჯარისო დანაყოფების იერიშში მონაწილეობა. როგორც თვითმხილველები ჰყვებოდნენ, ამერიკელი ჩინოსანი მედგრად შეხვდა მოწინააღმდეგის მასირებულ ცეცხლს, ჯარისკაცებთან ერთად წყლით სავსე სანგრებზე გადადიოდა, სინანულის მზერას აყოლებდა ამერიკელი მეომრების სახელდახელოდ მოწყობილ საფლავებს და, ბოლოს, ზარბაზნიდან გასროლის შესაძლებლობაც მიეცა. წლების შემდეგ რუზველტი ხშირად იხსენებდა ამ მომენტს და მოკრძალებით ამბობდა: არ ვიცი, რამდენი ადამიანი მოვკალი, თუკი საერთოდ მოვკალი ვინმეო...

თავი VIII

ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი

ომის შემდგომ ფრანკლინ რუზველტმა საქვეყნო პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსასვლელად აქტიური ნაბიჯების გადადგმას მიჰყო ხელი. პირველი დიდი განაცხადი 1919 წლის მაისში, დემოკრატიული პარტიის ნაციონალური კომიტეტის სხდომაზე გამოსვლით გააკეთა. ამ ერთგვარად საპროგრამო სიტყვაში მან განაცხადა, რომ რესპუბლიკური პარტია საბოლოოდ გათავისუფლდა თავისი ლიბერალური ფრთისგან და სწორედ „დემოკრატები“ დარჩნენ ლიბერალურ-პროგრესისტული ფასეულობების მიმდევრებად, ამიტომ სწორედ ისინი გამოხატავდნენ ხალხის ინტერესებს.

არადა, ის კარგად ხედავდა, რომ დემოკრატიულ პარტიას მომდევნო წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების მინიმალური შანსი ჰქონდა, პირველ რიგში, ვუდრო უილსონის რეიტინგის მკვეთრი დაქვეითების გამო. ამასთან, ჯერ კიდევ ომის დროს მან ძალზე ავტორიტეტული კაცი, რამდენიმე სამთო-მომპოვებელი და სანავთობო კომპანიის მესაკუთრე ჰერბერტ ჰუვერი გაიცნო. ამ პიროვნებამ რუზველტის ყურადღება პირველად იმით მიიპყრო, რომ ომის დასაწყისში, გერმანიის ოკუპაციისგან დაზარალებული ბელგიის მოსახლეობის

დასახმარებლად საქველმოქმედო ორგანიზაცია ჩამოაყალიბა. შემდგომ, უკვე 1918 წელს, იმავე მოდელით ჰუვერმა დააფუძნა დახმარების ამერიკული ადმინისტრაცია (American Relief Administration — ARA), რომელიც უკვე სხვა ევროპელ ხალხებსაც უწევდა შემწეობას. ამ ორგანიზაციის საქმიანობამ იმხელა მასშტაბი შეიძინა, რომ მის დამფუძნებელს, ორივე მეომარი მხარის თანხმობით, თავისი ორგანიზაციის საქმეების მოსაგვარებლად ფრონტის ხაზის რამდენჯერმე გადაკვეთის უფლებაც მისცეს.

ფრანკლინ რუზველტი ძალზე აფასებდა ჰუვერს და დემოკრატიული პარტიის გასაძლიერებლად მისი ავტორიტეტის გამოყენებას ცდილობდა. ჰუვერი რესპუბლიკური პარტიის წევრი არ ყოფილა, თუმცა მისი მომხრე იყო. რუზველტმა სცადა, დაეყოლიებინა უილსონი, თავისი კანდიდატურა დემოკრატიული პარტიიდან წამოეყენებინა, მაგრამ ეს მცდელობა ამაო აღმოჩნდა. რამდენიმე წლის შემდეგ კი ჰუვერმა რესპუბლიკური პარტიიდან იყარა კენჭი და ჯერ ამერიკის აყვავების სიმბოლოდ იქცა, საბოლოოდ კი აშშ-ის ისტორიაში „დიდი დეპრესიის“ უნებლიე დამნაშავედ შევიდა...

ჰერბერტ ჰუვერის გადმობირების ფუჭი მცდელობის შემდეგ „დემოკრატებმა“ შესაფერისი კანდიდატის ძიებას მიჰყვეს ხელი. ამასობაში რუზველტმა, რომელიც ხვდებოდა, რომ მინისტრის მოადგილის პოსტმა მისთვის

ყველა შესაძლებლობა ამოწურა, ჯერ შვებულება აიღო, შემდეგ კი პრეზიდენტის სახელზე თანამდებობიდან გათავისუფლების განცხადება შეიტანა.

1920 წლის ზაფხულში დემოკრატიული პარტიის ყრილობამ, რამდენიმე კანდიდატურის ჩაგდების შემდეგ, საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ოჰაიოს შტატის გუბერნატორ ჯეიმს კოქსზე შეაჩერა არჩევანი. კოქსმა მასთან ერთად ვიცე-პრეზიდენტად კენჭისყრაში მონაწილეობა ფრანკლინ რუზველტს შესთავაზა, თუმცა მანამდე ისინი ერთმანეთს თითქმის არ იცნობდნენ და როცა კოქსს ჰკითხეს, რატომ მაინცდამაინც რუზველტი, უპასუხა: „მას დამოუკიდებელ ფიგურად მიიჩნევენ, თან რუზველტი ცნობილი სახელია“.

თავად რუზველტს ეჭვიც არ ეპარებოდა — ისინი არჩევნებს წააგებდნენ, მაგრამ ფიქრობდა, რომ წინასაარჩევნო კამპანია გამოცდილებას შემატებდა და სხვადასხვა ქალაქში საჭირო ადამიანების გაცნობის შესაძლებლობას მისცემდა. უარყოფითი პროგნოზის მიუხედავად, მან შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერი იღონა ღირსეული კამპანიის ჩასატარებლად და პარტნიორის მხარდასაჭერად. კამპანია მშობლიურ ჰაიდ-პარკში დაიწყო, სადაც საკუთარი სახლის პარმაღიდან მიმართა სიამაყით აღვსილ მეზობლებსა და იქ შეკრებილ თანამოქალაქეებს, მერე კი, პრეზიდენტობის კანდიდატთან ერთად, სპეციალური მატარებლით 20 შტატი

შემოიარა. ამ ხანგრძლივი მოგზაურობის დროს დღეში 12-13 სიტყვით გამოსვლა უწევდა. საინტერესოა, რომ მის მიერ შემოღებული მიმართვა პირდაპირ ვაგონის კიბის საფეხურებიდან იმ დროს წინასაარჩევნო კამპანიისთვის სრულიად ახალი ხილი იყო.

მიუხედავად ამ და სხვა სიახლეებისა და იმისა, რომ „დემოკრატების" კანდიდატებმა, საერთო ჯამში, 2 მილიონამდე ადამიანის წინაშე გამოსვლა მოახერხეს, ნოემბერში ჩატარებულ არჩევნებში ისინი სასტიკად დამარცხდნენ. თეთრი სახლი „რესპუბლიკელმა" უორენ ჰარდინგმა დაიკავა, რომელიც სრულიად უფერული პრეზიდენტი აღმოჩნდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, დემოკრატიულ პარტიას კიდევ 12 წლის განმავლობაში არ ღირსებია სახელმწიფოს სადავეების ხელში ჩაგდება: ბოლოს და ბოლოს, „ნავსის გატეხა" სწორედ ფრანკლინ რუზველტმა მოახერხა.

ამ საარჩევნო კამპანიის დროს ანეკდოტური სიტუაციაც შეიქმნა: ზოგს ფრანკლინი თეოდორ რუზველტის შვილი ეგონა და გულუბრყვილოდ შესძახებდნენ ხოლმე — „ხმა მივცეთ ვაჟიშვილს!" „რესპუბლიკელებმა" ამით ისარგებლეს და იმ დროს უკვე გარდაცვლილი ექსპრეზიდენტის ნამდვილი შვილის საქმეში ჩაბმა გადაწყვიტეს. ამავე დროს, ფრანკლინიც ხშირად იყენებდა „ბიძია ტედის" სახელს, რომელიც მისთვის პოლიტიკური მოღვაწისა და პიროვნების ეტალონი იყო, და გამოსვლების

დროს ახლანდელ „რესპუბლიკელებს“ სწორედ იმისთვის ამუნათებდა, რომ მათ თეოდორ რუზველტის ტრადიციებს უღალატეს, მისი პოლიტიკის, პროგრესულ „რესპუბლიკელთა“ რეალურ მიმდევრებად კი „დემოკრატები“ ქცეულიყვნენ.

არჩევნებში მარცხის შემდეგ ფრანკლინი თვალს მიეფარა და დაძაბულ კამპანიაში დახარჯული ძალების აღსადგენად, მეგობრებთან ერთად, ლუიზიანის შტატში სანადიროდ გაემგზავრა, ოჯახისთვის გაგზავნილი წერილი კი ასე დააგვირგვინა: „ფრანკლინ დ. რუზველტი, დაკონსერვებული ექსვიცე-პრეზიდენტი (რომლის შესახებაც შეცდომით ამბობენ, რომ გარდაცვლილია)“.

ცოტა ხანში მას უმსხვილესი საფინანსო კომპანია „ფიდელიტი ენდ დეპოზიტის“ ვიცე-პრეზიდენტისა და ქალაქ ბალტიმორის ადგილობრივი დანაყოფის ხელმძღვანელის პოსტი შესთავაზეს. იმავდროულად, ორ კოლეგასთან ერთად, საადვოკატო ბიურო დააფუძნა. გარდა ამისა, ჰარვარდის უნივერსიტეტმა თავის სამეთვალყურეო საბჭოში მიიწვია, ნიუ-იორკის სამხედრო-საზღვაო კლუბმა თავმჯდომარედ აირჩია და კიდევ რამდენიმე სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში საქმიანობასაც მიჰყო ხელი.

თავი IX

განრისხებული ელინორი

ვიდრე ფრანკლინ რუზველტის კარიერის შემდგომი პერიოდების შესახებ თხრობას გავაგრძელებთ, ცოტა-თი უკან, ისევ ომის პერიოდს დავუბრუნდეთ, როცა მის პირად და საოჯახო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა.

სწორედ ამ დროს მეუღლეებს შორის ურთიერთობა საგრძნობლად გაცივდა. ბუნებრივია, ამას ფრანკლინის ხანმოკლე და ზედაპირული სასიყვარულო თავგადასავლები უწყობდა ხელს, რასაც ელინორი ხვდებოდა და ეგუებოდა, მაგრამ მისთვის სრულიად თავზარდამცემი აღმოჩნდა ხანგრძლივი რომანი, რომლის შესახებაც კარგა ხანს არაფერი იცოდა და მას ორმაგი დარტყმა მიაყენა.

საოჯახო საქმეებითა და მიყოლებით გაჩენილ ხუთ შვილზე ზრუნვით გადაღლილ ელინორს საზოგადოებრივი ცხოვრებისკენ მიუწევდა გული. 1914 წელს, როცა საწადლის ასრულება ეღირსა, გადაწყვიტა, პირადი მდივანი აეყვანა. ამ ფუნქციის შესრულებას მისი ერთ-ერთი კარგი ნაცნობი, 22 წლის ლიუსი მერსერი დათანხმდა, რომელიც წარსულში შეძლებული, მერე კი გაღარიბებული მიწათმფლობლის ოჯახში იზრდებოდა. გარეგნობით

მომხიბლავ, მაღალ, ქერათმიან ლიუსის მომაჯადოებელი, ხავერდოვანი ხმა ჰქონდა, რომელიც განსაკუთრებით ხიბლავდა მამაკაცებს...

რუზველტების ოჯახი, ჩვეულებრივ, კანადის საზღვართან ახლოს, ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე კუნძულ კამპობელოზე ისვენებდა. 1916 წელს ელინორი იქ შვილებთან ერთად, სახელმწიფო საქმეებით გადატვირთული ფრანკლინის გარეშე გაემგზავრა. ლიუსი ამ დროს ვაშინგტონში დარჩა, რადგან ელინორს მისი სამსახური ზაფხულში არ დასჭირდებოდა.

ერთხელ ფრანკლინმა უქმეებზე იახტით ჯერ მდინარე პოტომაკზე, შემდეგ კი ატლანტიკური ოკეანის სანაპიროზე გასეირნება გადაწყვიტა. არავინ იცის, მოწყენილი ქალიშვილის გახალისება გადაწყვიტა თუ იმთავითვე ჩაფიქრებული ჰქონდა სასიყვარულო ინტრიგის წამოწყება, მაგრამ ფაქტია, რომ იახტაზე მათ შორის ვნების ნაპერწკალი გაკრთა. პატარა ქალაქ ვირჯინია-ბიჩში ორდღიანი შესვენებისას, სასტუმროში ცოლ-ქმრად დარეგისტრირდნენ. თანმხლებთა ერთგულებაში ფრანკლინს ეჭვი არ ეპარებოდა, ამიტომ ინფორმაციის გაჟონვას არ უფრთხოდა და არც შემცდარა: არც იმ დღეების, არც საყვარლების მომდევნო შეხვედრების შემდეგ ელინორს არაფერი შეუტყვია. ამგვარად, ზაფხულის შემდეგ ლიუსიმ ჩვეულებრივად გააგრძელა

მასთან მუშაობა, პარალელურად ფრანკლინსაც ხვდებოდა...

1918 წელს, საოკეანო ლაინერით ევროპიდან ამერიკისკენ მიმავალ რუზველტს იმ დროს ქვეყანას მოდებული ე.წ. „ესპანური“ გრიპი შეეყარა, რომელმაც ორ წელიწადში მსოფლიო მასშტაბით 50 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ფრანკლინიც სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე აღმოჩნდა. ხომალდიდან ის საკაცით ჩამოიყვანეს და ღონემიხდილი ჰაიდ-პარკის სახლში გადაიყვანეს. მისი პირადი ნივთების მოწესრიგებისას კი მეუღლე წითელი ლენტით შეკრულ ლიუსის სასიყვარულო წერილებს გადააწყდა. ათეულობით წერილი ეჭვს არ ტოვებდა, რომ საქმე არა წუთიერ გატაცებასთან, არამედ ხანგრძლივ სასიყვარულო ურთიერთობასთან ჰქონდა. ელინორი „ორმაგი“ ღალატის მსხვერპლი გახდა: მას ქმარმაც უღალატა და მეგობარმაც.

ფრანკლინი არჩევანის წინაშე დადგა: ცოლად შეერთო ლიუსი, რომელიც ამას უკვე დაუფარავდ ითხოვდა, ოჯახიც დაენგრია და კარიერისთვისაც მიეყენებინა დარტყმა თუ უარი ეთქვა საყვარელ ქალზე და ცოლთან გაცივებული და მოსაწყენი ურთიერთობა გაეგრძელებინა.

შეურაცხყოფილმა ელინორმა ცეცხლს მისცა ლიუსის წერილები, თქვა, რომ ფრანკლინს სრულ თავისუფ-

ლებას ანიჭებდა და განქორწინებას მოითხოვდა. საქმეში სარა ჩაერია. მან განაცხადა, რომ თუ ფრანკლინი ოჯახს მიატოვებდა, მას მემკვიდრეობის გარეშე დატოვებდა.

საბოლოოდ, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ოჯახს მხოლოდ იმ პირობით შეინარჩუნებდნენ, თუ ფრანკლინი ლიუსის აღარასოდეს შეხვდებოდა, ამასთანავე, მეუღლეები თავ-თავიანთ ცხოვრებას მიჰყვებოდნენ და ერთმანეთის საქმეებში არ ჩაერეოდნენ. ცხადია, ეს ძალზე წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილება იყო: საყვარელ ქალთან ურთიერთობაზე უარის თქმა და ერთმანეთის საქმეებში ჩაურევლობა სრულიად შეუთავსებელი იყო.

ბუნებრივია, ფრანკლინმა ლიუსისთან კავშირი გააახლა. წყვილის ურთიერთობა მას შემდეგაც კი გაგრძელდა, რაც მერსერი მდიდარ და მასზე 30 წლის უფროს ქვრივს, ხუთი შვილის მამას გაჰყვა ცოლად. როცა მისი ქმარი ინსულტის გადატანიდან ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა, საყვარლები ლამის დაუფარავად ხვდებოდნენ ერთმანეთს და ეს ურთიერთობა ფრანკლინ რუზველტის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გაგრძელდა.

თავი X

მეხის გავარდნა მოწმენდილ ცაზე

ცოლ-ქმრის გაუცხოების მიუხედავად, ელინორი ფრანკლინს უმთავრეს საყრდენად ყველაზე დიდი გასაჭირის დროს მოევლინა და შეუპოვრად იბრძოდა სრულყოფილი ცხოვრების კალაპოტში მის დასაბრუნებლად. ვერც ერთი მათგანი, ისევე, როგორც ვერავინ გარშემო მყოფთაგან, ვერ წარმოიდგენდა, თუ შეიძლებოდა სიცოცხლითა და ჯან-ღონით სავსე 39 წლის ფრანკლინ რუზველტი სრულიად უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილიყო, მაგრამ ფაქტს ვერსად გაექცევი: ის პოლიომიელიტით ან, როგორც ამ სნეულებას მეორენაირად ეძახიან, ბავშვთა ინფექციური დამბლით დაავადდა.

ეს საშინელი სენი აშშ-ში მასობრივად 1916 წელს გავრცელდა. თავდაპირველად კერები ნიუ-იორკის ღარიბ ბრუკლინის კვარტალებში გაჩნდა და ფიქრობდნენ, რომ ამის მთავარი მიზეზი ანტისანიტარია და ჰიგიენის ნორმების დარღვევა იყო, მაგრამ როდესაც პოლიომიელიტი სხვა რეგიონებსაც მოედო და შეძლებული ოჯახების კარზეც დააკაკუნა, ნათელი გახდა, რომ სულაც არ იყო მხოლოდ დაბალი ფენების დაავადება. ვირუსი მოუწესრიგებელი საკანალიზაციო სისტემიდან მწერებსა და შინაურ ცხოველებს გადაჰქონდა და საკმაოდ მცირე

ხანში ეპიდემიის მიზეზი გახდა. ამავე წლის ბოლოსთვის მან ქვეყნის აღმოსავლეთი სანაპიროსა და შუა დასავლეთის 27 შტატი მოიცვა და 27 ათასი რეგისტრირებული ავადმყოფიდან 6 ათასის სიცოცხლე იმსხვერპლა.

ამ საშიშ დროს, შვილებთან ერთად კამპობელოში ჩასული ელინორი უსაფრთხოების ყოველგვარ ზომას მიმართავდა. ცხელი ზაფხულის მიუხედავად, ფანჯრები უმეტესად ჩარაზული ჰქონდა, ჰიგიენური წესების დაცვა ლამის მანიად ექცა. შიში ჰაიდ-პარკიდან მოსულმა ცნობამ გაუმძაფრა: საშინელი სენი სარა რუზველტის მეჯინიბის ქალიშვილს შეჰყროდა. მიუხედავად ამისა, გვიან შემოდგომაზე ფრანკლინმა ოჯახი არა ნიუ-იორკში, არამედ ჰაიდ-პარკში გადაიყვანა, რადგან პროვინციაში ყოფნა მაინც უფრო უსაფრთხო იყო.

1916 წელს რუზველტები პოლიომიელიტს გადაურჩნენ, ხუთი წლის შემდეგ კი, მოულოდნელად, მან ოჯახის თავი წააქცია.

იდგა 1921 წლის ზაფხული. ფრანკლინი ჯერ კიდევ არ გამოსულიყო კორუფციული სკანდალიდან, რომელშიც მისი სახელიც გარიეს, თუმცა არანაირი კავშირი არ ჰქონია. როგორც ექიმები მოგვიანებით ვარაუდობდნენ, ნერვულ დაძაბულობას ორგანიზმში ამ სენის შემოჭრისთვის ნაყოფიერი ნიადაგის შექმნა შეეძლო...

აგვისტოში ის თავის შეფთან ერთად იახტით კამპობელოში გაემგზავრა, სადაც უკვე მისი ოჯახი იმყოფე-

ბოდა. გზად შტორმში მოხვდნენ, კაპიტანმა, რომელიც იმ ადგილებში პირველად იმყოფებოდა, საჭე რუზველტს გადაულოცა, რომელმაც საბოლოოდ, საქმეს კარგად გაართვა თავი, მაგრამ ცოტა ხნით ადრე გადატანილ სტრესს ახალი შფოთვა დაემატა. როცა იახტამ დანიშნულების ადგილას ღუზა ჩაუშვა, ყველა დამშვიდდა. ნაპირზე ფრანკლინს ცოლ-შვილი დახვდა.

დასვენების დღეები ჩვეულებრივად მიედინებოდა. ფრანკლინი ბავშვებთან ერთად ზღვაში ბანაობდა, ირუჯებოდა, თევზაობდა. 10 აგვისტო განსხვავებულად შფოთიანი აღმოჩნდა. რუზველტი, მეგობრებთან და შვილებთან ერთად, იახტით ზღვაში გავიდა. ისინი ცივი დინების ზონაში მოექცნენ, ხოლო ფრანკლინი, რაღაც მომენტში, გაუფრთხილებელი მოძრაობის შედეგად, ყინულივით წყალში ჩავარდა. ცივ წყალში ბანაობას შეჩვეულიც იყო და უყვარდა კიდეც, მაგრამ ამჯერად ძლიერ გაითოშა. ნაპირზე გადმოსვლის შემდეგ, უსიამოვნო შეგრძნების ჩასახშობად, კიდევ ერთხელ გაცურ-გამოცურა, ამჯერად ახლომდებარე ტბის წყალში, რომელიც ასევე ძალზე ცივი ყოფილა.

შინ დაბრუნების შემდეგ რუზველტი მოსულ ფოსტას მიუჯდა. იმ საღამოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, დილით გაღვიძებისთანავე კი აღმოაჩინა, რომ ფეხები არ ემორჩილებოდა. სიცხემ აუწია, 40 გრადუსს მიაღწია. თანდათან მთელ სხეულს ძლიერი ტკივი-

ლი მოედო, ხელებიც საოცრად დაუსუსტდა, ფუნქციონირება შეწყვიტა შარდგამომყოფმა სისტემამ...

ჩამოსული ექიმები ვერ იჯერებდნენ, რომ 39 წლის ჯან-ღონით სავსე მამაკაცი შეიძლებოდა, მცირეწლოვანი ბავშვების სენის მსხვერპლი გამხდარიყო. თავდაპირველად, წინადღეს მომხდარი მოვლენებიდან გამომდინარე, ძლიერ გაცივებასაც ვარაუდობდნენ, ხოლო ტკივილის დასაამებლად, ე.წ. ღრმა მასაჟი დაუნიშნეს, რომელიც არანაკლებ ძლიერ ტკივილს აყენებდა.

ელინორის თხოვნით, ექიმებმა ბავშვთა დამბლის ჰარვარდის კომისიას მიმართეს. სიმპტომებიდან გამომდინარე, დარგის სპეციალისტმა კამპობელოში ჩაუსვლელად დაადგინა, რომ რუზველტს პოლიომიელიტი შეეყარა. მისი დიაგნოზი მომდევნო კონსულტაციებმა და კონსილიუმმაც დაადასტურა და ისიც დაასკვნა, რომ პირველ ხანებში ექიმების მიერ დანიშნულმა მკურნალობამ ფრანკლინის მდგომარეობა არათუ შეამსუბუქა, არამედ დაამძიმა კიდეც. საბოლოო ვერდიქტი პოლიომიელიტის სპეციალისტმა, ორი კვირის შემდეგ ჩამოსულმა ექიმმა რობერტ ლოუეტმა გამოიტანა, რომელიც იმ დროიდან მოყოლებული, სისტემატურად მეურვეობდა ავადმყოფს.

წლების შემდეგ ფრანკლინი ამბობდა, რომ ეს მის ცხოვრებაში გარდამტეხი მომენტი იყო; დაავადებამ რადიკალურად შეცვალა მისი ქცევა, ჩვევები, გარშემო

მყოფებთან ურთიერთობა, თუმცა დაღი არ დაუსვია მისი ძირითადი ცხოვრებისეული ვექტორისთვის: უმძიმესი დეპრესიის დათრგუნვის, საკუთარ თავზე გამარჯვების მოპოვების შემდეგ, ფრანკლინ რუზველტი სისხლსავსე ცხოვრებას, საზოგადოებრივ მოღვაწეობას, კარიერის შენების გზას დაუბრუნდა.

პირველ ხანებში დამბლამ მთლიანად გამოთიშა სხეულის ქვედა ნაწილი და ნაწილობრივ სხვა ორგანოებსაც შეეხო. ხელის მტევნებიც იმდენად დაუსუსტდა, რომ ფანქრის დაჭერაც კი უჭირდა და საბუთის ხელმოწერისას ერთგული ლუის ჰოუვი ეხმარებოდა; ზურგის კუნთების მოდუნება დამოუკიდებლად წამოჯდომის საშუალებასაც არ აძლევდა. წონასწორობის აღსადგენად, ყოველდღე განსაზღვრულ მანიპულაციებს უტარებდნენ, გარკვეული ხნით წელი თაბაშირში ჩაუსვეს. ფრანკლინს საშინელი ტკივილები ტანჯავდა, მაგრამ ყველაფერს მედგრად უძლებდა და თავდაპირველად სრული გამოჯანმრთელების იმედიც კი ჰქონდა, თუმცა მოგვიანებით ჯანმრთელობის მდგომარეობის შედარებით გაუმჯობესებას ეშურებოდა. ღრმა დეპრესიის, გაღიზიანებისა და აგზნების პერიოდი მტკიცე ნებით ნასაზრდოებმა ოპტიმიზმმა შეცვალა.

ნახევარწლიანი ბრძოლის შემდეგ ფრანკლინს სპეციალური მოწყობილობა — გირებდაკიდებული რკინის ჯოხები დაუმზადეს, რომლებიც 10 კილოგრამამდე იწო-

ნიდა და ავადმყოფს ფეხზე დადგომაში უნდა დახმარებოდა. ამ მოწყობილობისა და ყავარჯნების მეშვეობით მას რამდენიმე ნაბიჯით გადაადგილების შესაძლებლობა მიეცა. თითო-ოროლა ნაბიჯის გადადგმის ასათვისებლადაც კი მას ხანგრძლივი მომზადება დასჭირდა. თავიდან არათუ სიარული, არამედ დგომაც კი არ შეეძლო. როცა ეს ამოცანა დაძლია, ყოველი მცდელობისას წონასწორობის დაკარგვისა და წაქცევის საშიშროება იდგა. იმ მძიმე დღეებში, როცა ფრანკლინი ფეხზე დადგომას უარობდა, გასამხნევებლად გაგზავნილ წერილში ექიმი ლოუეტი მას სწერდა: „ყავარჯნებით სიარული ნიჭი როდია, ეს მუდმივი პრაქტიკის შედეგად ათვისებული ოსტატობაა, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა უნარ-ჩვევა, და თქვენც საკმაო დრო დაგჭირდებათ, სანამ ამ საქმეში საკმარისად დაოსტატდებით“.

ერთი შვება ის იყო, რომ მატერიალური მდგომარეობა ოჯახს საშუალებას აძლევდა, უახლესი სამედიცინო საშუალებები შეეძინა და სხვადასხვაგვარი მოწყობილობაც ინდივიდუალურად დასამზადებლად შეეკვეთა. მათ შორის იყო საგანგებოდ მისთვის აგებული ხელით სამართავი ავტომანქანა, რომელმაც რუზველტს საჭესთან დაბრუნების შესაძლებლობა მისცა.

თავი XI

ალტერ ეგო მეუღლე, შეუცვლელი ჰოუვი და საყვარელი ქალები

ავადმყოფობის დროს ფრანკლინისადმი წარმოუდგენელი ერთგულება გამოიჩინა ლუის ჰოუვმა, რომელმაც ჯერ კიდევ მინისტრის მოადგილის პოსტიდან რუზველტის გადადგომის შემდეგ სამხედრო-საზღვაო სამინისტროში სამსახური მიატოვა და, ფაქტობრივად, ოჯახიც (ცოლი და ორი შვილი) დათმო, ოღონდ შეფის გვერდით ყოფილიყო და მისთვის ყველანაირი შემწეობა გაეწია. ის ჰაიდ-პარკში გადაბარგდა და ახლობლებს მხოლოდ უქმეებზე ნახულობდა.

ჰოუვმა დიდი როლი შეასრულა საზოგადოებრივ ასპარეზზე ელინორის წარმატებით დამკვიდრებაში, როცა რუზველტმა გადაწყვიტა, რომ ცოლს, ნაწილობრივ მაინც, მისი მაგივრობა გაეწია. ელინორი ორატორის თვისებებით არ გამოირჩეოდა, აუდიტორიის წინაშე გამოსვლისას შებოჭილი იყო, მაგრამ ცდას არ აკლებდა და, ლუისის დახმარებით, მალე სასურველ შედეგსაც მიაღწია.

ამასობაში, მომავალი პრეზიდენტის „შტაბს“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წევრი, მარგარეთ (მეტსახელად მისსი) ლიჰენდი შეემატა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში, 1941 წლამდე, მისი გუნდის უერთგულეს წევრად რჩებოდა, სანამ ინსულტი დაემართებოდა.

ლიჰენდი სულ ფრანკლინის გვერდით იყო, ხოლო შემდგომ, უკვე რუზველტის პრეზიდენტობის დროს, თეთრ სახლში მას საძინებელი შეფის საძინებლის გვერდით მოუწყვეს იმ მოტივით, რომ ნებისმიერ დროს შეიძლებოდა პრეზიდენტს დასჭირვებოდა, მაგალითად, მნიშვნელოვანი დოკუმენტის შესადგენად. მიუხედავად ამისა, ფრანკლინისა და მისისის სექსუალურ კავშირზე არავის ულაპარაკია, გარდა რუზველტის ვაჟიშვილ ელიოტისა, რომელმაც მამამისის შესახებ ერთ-ერთი წიგნის ავტორს მოუყვა, როგორ დაინახა ერთხელ ლიჰენდი მის კალთაში, და ირწმუნებოდა, რომ ქალი რუზველტის საყვარელი იყო.

გავრცელებული აზრით, ეს სავსებით რეალური იყო. მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, პოლიტიკოსს არ დაუკარგავს მამაკაცის „მთავარი ღირსება“ და არც მსუბუქ სასიყვარულო თავგადასავლებზე ამბობდა უარს. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით აღსანიშნავია ცინიზმით გამორჩეული მოგონებები, რომლებიც მის ერთ-ერთ საყვარელს, გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტის“ გამომცემელ დოროთი შიფს ეკუთვნის. პრეზიდენტთან თავისი კავშირის შესახებ მან უკვე ხანდაზმულმა უამბო რუზველტის ბიოგრაფ ჯეფრი პოტერს და მთელი გულახდილობით გაუზიარა საკუთარი დამოკიდებულება თუ იმდროინდელი შთაბეჭდილებები.

„როგორც ჩანს, მაშინ ძალზე სექსუალურ ქალად აღმიქვამდნენ, — ჰყვებოდა დოროთი, — და ვფიქრობ,

მასაც მხოლოდ სექსის ობიექტად ვესახებოდი. ურთიერთობისას სასიამოვნო და ძალზე სექსუალური მამაკაცი გახლდათ, რომელიც იზოლირებულ სამყაროში ცხოვრობდა და ისეთ ქალს ეძებდა, რომელიც მის აგზნებასაც შეძლებდა და კარგი თანამოსაუბრის როლსაც შეასრულებდა. ფაქიზად იქცეოდა, თუმცა ძალზე ძლიერი და „გულახდილი" იყო, თან მას ყველაფერი — ფეხების გარდა — მყარად უმუშავებდა... მასთან ვრჩებოდი, რადგან შეერთებული შტატების პრეზიდენტისთვის უარის თქმა არ ეგების... გარდა ამისა, ასეთი სიამოვნება მანამდე არასდროს განმიცდია".

ქალი იმაშიც არწმუნებდა მწერალს, რომ ამ კავშირისა და ჰაიდ-პარკში მისი ვიზიტების შესახებ მისმა ქმარმაც იცოდა, და დასძენდა: „ჯორჯი ამას უყურებდა, როგორც სენიორის უფლებას, მისი ვასალის ცოლს დაუფლებოდა... ის ამაყობდა კიდეც ამით და მეგობართა ვიწრო წრეშიც, გარკვეულწილად, პრესტიჟს იმაღლებდა".

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუზველტის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი მაინც ლიუსი მერსერს ეკუთვნოდა და მათ კავშირს მოგვიანებით კიდევ ერთხელ შევეხებით, ახლა კი კვლავ მივუბრუნდეთ ფრანკლინ რუზველტის ბრძოლას, რომელსაც ის უდიდესი ძალისხმევის ფასად, სენის დასამარცხებლად და სრულყოფილი ცხოვრების კალაპოტში დასაბრუნებლად ეწეოდა.

თავი XII

„წყლის წაღებულს წყალი მოიტანს?

ყოველ დილით ყავარჯნებზე დაყრდნობილი ფრანკლინი ეზოში გადიოდა და თითო-ოროლა ნაბიჯის გადადგმას ცდილობდა. თავიდან მართლაც მხოლოდ ორიოდე ნაბიჯის გავლას ახერხებდა და ძალა ეცლებოდა, ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგად კი ათამდე ავიდა. ჰაიდპარკის მამულის ჭიშკრამდე და, მით უმეტეს, საფოსტო ყუთამდე, რომელიც ეზოდან ხუთასიოდე მეტრით იყო დაშორებული, ვერა და ვერ მიაღწია. მიუხედავად ამისა, ყოველ დღეს მაინც ამ მტანჯველი მოგზაურობით იწყებდა. ამასთანავე, გზად ლაპარაკობდა, ხუმრობდა, სხვების ხუმრობაზე იცინოდა; ახლობლებიც არ იმჩნევდნენ, რომ კარგად ხედავდნენ, ეს რის ფასად უჯდებოდა, და მის თითქოსდა ხალისიან განწყობას იზიარებდნენ.

ერთხელაც ფრანკლინს აზრად მოუვიდა, რომ ცურვა და წყალში ვარჯიში მოუხდებოდა. მაშინ საკუთარი აუზი არ ჰქონდა და მილიონერ ფილანთროპ მეზობელს, ვინსენტ ასტორს მიმართა, რომლის ეზოს დიდი აუზი ამშვენებდა. თავაზიანი მიპატიჟების გარდა, ასტორმა უზრუნველყო, რომ ფრანკლინის იქ ყოფნისას აუზს ახლოსაც არავინ გაჰკარებოდა.

რუზველტი ამბობდა: „წყალმა ჩამაგდო ამ მდგომარეობაში და ისევ წყალი დამეხმარება ფეხზე დადგომაში“. მართლაც, ყოველდღიურმა ცურვამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმაში, რომ ჯანმრთელი, სიცოცხლით სავსე ადამიანის იერი მიეღო.

წყლის ძალის რწმენამ რუზველტი უორმ-სპრინგსამდე — ჯორჯიის შტატში მდებარე მინერალური წყლის წყარომდე მიიყვანა, სადაც მიწა შეიძინა და სამკურნალო კურორტის მშენებლობაც დაიწყო. საამისოდ დედის დარწმუნება დასჭირდა, რომ მას იქაურობის მოსაწყობად საჭირო 200 ათასი დოლარი გაეღო. სარამ თანხის ნაწილი მისცა, ნაწილი კი ოჯახმა ნაცნობ-მეგობრებს გამოართვა. უორმ-სპრინგსში პირველად 1924 წელს ჩასულმა ფრანკლინმა მარილიანი წყლის ზღაპრული ძალა ირწმუნა და იქაურობის მოწყობას წლები და უდიდესი რესურსი მოახმარა.

წყლებთან ახლოს შეძენილი მიწის ნაკვეთი 1750 აკრს (7080 კმ2) შეადგენდა. ნაგებობა ახალი მესაკუთრის გემოვნების შესაბამისად გადაკეთდა და რუზველტი მას იმდენად ხშირად სტუმრობდა, რომ მისი პრეზიდენტობის დროს „მცირე თეთრ სახლსაც“ კი უწოდებდნენ.

მიწის ნაკვეთის შეძენიდან ორი წლის შემდეგ, თავის კარგ ნაცნობ იურისტსა და ფილანთროპთან ერთად, რუზველტმა იქ სამკურნალო ცენტრი — „ჯორჯიის

უორმ-სპრინგსის ფონდი“ დააფუძნა. მასში სანატორიუმი და საავადმყოფო მოქმედებდა, ხელმოკლე ოჯახების შვილებს პროცედურებს უფასოდ უტარებდნენ, პოლიომიელიტით დაავადებული ბავშვების სამკურნალოდ ნიუიორკიდან მაღალი კლასის სპეციალისტებს იწვევდნენ, ხოლო ფონდის დამაარსებელს, რომელიც აუზში სხვა პაციენტებთან ერთად ჩადიოდა, „დოქტორ რუზველტს“ ეძახდნენ.

დაარსებიდან ცოტა ხნის შემდეგ ფონდის მესვეურებმა სახსრების შეგროვებას მიჰყვეს ხელი და თანდათან სარეაბილიტაციო ცენტრი ჯორჯიის შტატის ერთერთ სიამაყედ იქცა, თან რუზველტის პოლიტიკური კარიერისთვის დამატებითი აქტივის ფუნქციაც დაეკისრა. იმ დროს ქვეყნის სამხრეთ შტატებში მოქმედი სეგრეგაციის გამო, სამკურნალო დაწესებულების კარი, სამწუხაროდ, დაკეტილი იყო შავკანიანებისთვის. ელინორი ქმარს სთხოვდა, მათთვის ცალკე კორპუსი აეშენებინა, მაგრამ ეს პრეზიდენტ რუზველტის შესაძლებლობასაც აღემატებოდა: იმ დროს, როცა ადგილობრივი ხელისუფლება გადასახადების გადამხდელებსაც უგზავნიდა ოფიციალურ წერილებს ბლანკზე წარწერით — „თეთრ გადამხდელს“, — ასეთი ნაბიჯის გადადგმა დიდ საფრთხეს შეიცავდა. რუზველტს მხოლოდ ისღა დარჩენოდა, რომ უორმ-სპრინგსში შავკანიანთა შეშვების თხოვნის წერილები, რომლებსაც უფლებადამცველი ორგანიზა-

ციები უგზავნიდნენ, უბრალოდ, უპასუხოდ დაეტოვებინა.

ბუნებრივია, აშშ-ში რასობრივი თანასწორობის დამკვიდრების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა, ეს კეთილშობილური საქმე კი, მისი ინიციატორის გარდაცვალების შემდეგაც გაგრძელდა — ფონდი დღემდე მოქმედებს და ახლა ფრანკლინ რუზველტის სახელობის სარეაბილიტაციო ინსტიტუტის სახელს ატარებს.

უორმ-სპრინგსი რუზველტს დიდ ძალას მატებდა და ოპტიმიზმს უნერგავდა. გარდა ამისა, იმის იმედიც ჰქონდა, რომ მედიცინის განვითარების კვალობაზე საშინელ სენთან ბრძოლის ახალი მეთოდები გამოჩნდებოდა და უწინდებურად ფეხზე დადგომისა და ჩვეული ცხოვრების გაგრძელების შესაძლებლობას მისცემდა, რაც მის გონებაში პოლიტიკურ ასპარეზზე დაბრუნების საწინდარი იყო.

1925 წელს ფრანკლინი სტუდენტობის დროინდელ მეგობარს წერილში თავის პოლიტიკურ გეგმებს უზიარებდა: „მე კიდევ ორი წელი მაინც უნდა მოვახმარო იმას, რომ კვლავ დავიმორჩილო ფეხები. ჯერჯერობით დიდი გაჭირვებით ვმოძრაობ ფოლადის ჯოხებისა და ყავარჯნების დახმარებით, კიბეზე გადასაადგილებლად და მანქანაში ჩასაჯდომად კი ჩემი ხელში აყვანა უწევთ და სხვა ამგვარი. ცხადია, ასეთი მდგომარეობა შეუფერებელია კანდიდატისთვის. თუმცა, უკვე ბევრი რამ ავითვისე და

იმედია, ერთი წლის შემდეგ რკინების გარეშე სიარულს შევძლებ, მერე კი ყავარჯნებზეც უარს ვიტყვი და მხოლოდ ხელჯოხით ვივლი ან, იქნებ, მისი მოშორებაც მოვახერხო“.

პირველი გამოჩენა დიდი პოლიტიკური აუდიტორიის წინაშე რუზველტმა ამ სტრიქონების დაწერამდე ცოტა ხნით ადრე, 1924 წლის შემოდგომაზე გაბედა. გადაწყვიტა, მონაწილეობა მიეღო ყრილობაში, რომელსაც დემოკრატიული პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატი უნდა დაესახელებინა. თავისი შტატისა და კიდევ რამდენიმე დელეგაციის სახელით, საკუთარი არჩევანის შესახებ უნდა განეცხადებინა და პოზიცია დაესაბუთებინა.

როცა ფეხებზე შემოვლებული რკინის კონსტრუქციით აღჭურვილი, ერთი ხელით 16 წლის შვილის, ჯეიმსის მკლავს, მეორით —სქელ ხელჯოხს დაყრდნობილი ფრანკლინი ღიმილით გაცისკროვნებული სახით ფრთხილი ნაბიჯებით ტრიბუნას მიუახლოვდა, აუდიტორიამ, რომელიც, შვილისგან განსხვავებით, სიმწრის ოფლით დაცვარულ მის შუბლს ვერ ხედავდა, მხურვალე, ხანგრძლივი ოვაცია მოუწყო...

ეს „ახალი რუზველტის“ ფორმირების დასკვნითი ეტაპი იყო. როგორც ადრეც აღვნიშნეთ, დაავადებამ ის ძალზე შეცვალა: მანამდე ყოველმხრივ წარმატებული ადამიანი გახლდათ, რომელიც ბუნებითაც ბევრი ღირსებით იყო დაჯილდოებული და საქმიანობაშიც ყვე-

ლაფერი იოლად გამოსდიოდა; ახლა, უმძიმესი სენით შეპყრობილ კაცი, რომელსაც უდიდესი დაბრკოლებების გადალახვა უწევდა, უკეთ ხედავდა ცხოვრებისეული ჭირ-ვარამის სხვადასხვა მხარეს და ადამიანების თანაგრძნობის უნარიც, მათი დახმარების მისწრაფებაც მეტად განუვითარდა. სწორედ ამას გაუსვა ხაზი ერთერთი გამოსვლის შემდეგ მასთან მისულ ჟურნალისტთან საუბრისას ელინორმა. კითხვაზე, — თქვენი აზრით, როგორ იმოქმედა თქვენი მეუღლის მენტალობაზე მისმა ავადმყოფობამ? — ქალბატონმა რუზველტმა უპასუხა: „მიხარია, რომ ეს კითხვა დამისვით. ჩემი პასუხია: დიახ, ნებისმიერი ადამიანი, რომელმაც ტანჯვა განიცადა, გაცილებით უკეთ მოეპყრობა კაცთა მოდგმას და მის პრობლემებსაც უკეთ ჩასწვდება“.

თავი XIII

წინ – გუბერნატორის სავარძლისკენ!

თუმცა ყრილობაზე რუზველტს ფეხზე დამდგარი „დემოკრატები“ ოვაციით შეეგებნენ, თანდათანობით მისი გამოსვლები კრიტიკისა და, ზოგჯერ, პირდაპირი თავდასხმის ობიექტად იქცეოდა. აუდიტორიის წინაშე ყოველი მისი წარდგომა გუნდს პრობლემის წინაშე აყენებდა: როგორ მოეწყოთ ყველაფერი ისე, რომ მსმენელთათვის მაქსიმალურად შეუმჩნეველი ყოფილიყო ორატორის რეალური მდგომარეობა. შარვლით დაფარული რკინის კონსტრუქცია ტრიბუნამდე რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შესაძლებლობას აძლევდა, იქ მდგომი ფრანკლინი კი გავარჯიშებული იყო ცალი ხელით ჟესტიკულირებას, როცა მეორით ტრიბუნას ეყრდნობოდა. გასავლელი მანძილის მაქსიმალურად შესამოკლებლად, ფრანკლინი ღონისძიების დაწყებამდე კარგა ხნით ადრე მოჰყავდათ და ცდილობდნენ, ტრიბუნა იმგვარად დაეყენებინათ, რომ სცენის სიღრმიდან სულ რამდენიმე ნაბიჯი გადაედგა. განსაკუთრებულად ჩასაფრებულმა სუბიექტებმა რამდენიმეჯერ იმაზე „გამოიჭირეს“, რომ სახელმწიფო ჰიმნის შესრულებისას ფეხზე არ წამომდგარა. გუნდის წევრები მომხდარს რაღაც მსუბუქი დაავადებით ხსნიდნენ, მაგრამ ცოტა ხანში იძულებულნი

გახდნენ ელიარებინათ, რომ პოლიტიკოსს უკურნებელი სენი სჭირდა.

მიუხედავად ამისა, რუზველტი ამ მხრივაც მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში უნიკალურ მაგალითად დარჩა: საკმარისია გავიხსენოთ, ორმოცი წლის შემდეგ როგორ უკიჟინებდნენ ჯონ კენედის ზურგის ტკივილების გამო, თუმცა გარეგნულად არაფერი ეტყობოდა, რომ დავინახოთ, რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ამერიკელი ამომრჩევლები პოლიტიკოსის ჯანმრთელობის მდგომარეობას, და წარმოუდგენლად მოგვეჩვენოს წარმატებები, რომლებსაც ფაქტობრივად სავარძელს მიჯაჭვული კაცი თავისი კარიერის ყველა ეტაპზე აღწევდა.

თუმცა, საწყის ეტაპზე, ამაში გარკვეული პოლიტიკური კონიუნქტურაც უწყობდა ხელს. საქმე ისაა, რომ ქვეყნის განვითარების ტემპი და ხალხის კეთილდღეობის დონე ხელისუფლებაში „რესპუბლიკელთა“ შეცვლის არანაირ საფუძველს არ ქმნიდა, ამასთან, დემოკრატიული პარტია ღრმა კრიზისში იმყოფებოდა და ავტორიტეტული ლიდერების ნაკლებობას განიცდიდა. რუზველტი სწორედ ამ დროს დაბრუნდა ასპარეზზე და მალევე ერთ-ერთ გამოკვეთილ ფიგურად იქცა. ზემოთ ნახსენებ ყრილობაზე რამდენიმე დელეგაციის სახელით გამოსვლისას, მან ნიუ-იორკის გუბერნატორის, ელ სმითის კანდიდატურას დაუჭირა მხარი, თუმცა კარგად ესმოდა,

რომ მოქმედი „რესპუბლიკელი“ პრეზიდენტის გამარჯვებას წინ ვერაფერი დაუდგებოდა.

აღსანიშნავია, რომ ამ ყრილობის შემდეგ შორსმჭვრეტელმა პოლიტიკოსმა კოლეგისადმი გაგზავნილ წერილში ძალზე ზუსტი პროგნოზი გამოთქვა, რომელიც თითქმის ათი წლის შემდეგ გამართლდა: „1920 წელს, როცა დავმარცხდით, რამდენიმე მეგობარს ვუთხარი, რომ ვერ ვხედავდი „დემოკრატის“ გამარჯვების შანსს მანამდე, ვიდრე „რესპუბლიკელები“ დეპრესიისა და უმუშევრობის მორევში არ ჩაგვითრევდნენ. კვლავაც ვფიქრობ, რომ ეს წინასწარმეტყველება მართებულია, რადგანაც, თუმცა „დემოკრატებს“ ძალუძთ, ღირსებისა და პროგრესის პარტიად იქცნენ, ხალხი არ განდევნის „რესპუბლიკელებს“, სანამ კარგი ხელფასი აქვს და ბაზარი ყვავის... ადამიანები სწრაფად იღლებიან იდეალებისგან და ახლა ისტორია მეორდება“.

სწორედ „რესპუბლიკელების“ მმართველობის დროს, 1929 წელს დაატყდა თავს აშშ-ს „დიდი დეპრესია“, რომელმაც, საბოლოოდ, რესპუბლიკურ პარტიასაც და პრეზიდენტ ჰუვერსაც აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა, ხოლო სამი წლის შემდეგ ქვეყნის სათავეში დემოკრატიული პარტიიდან რუზველტი მოვიდა და თავისი „ახალი კურსით“ 20-იან წლებზე უფრო დიდი აყვავებისა და, რაც მთავარია, მყარი განვითარების ხანას დაუდო სათავე.

მანამდე კი, კვლავ იურიდიულ საქმიანობას დაუბრუნდა და პოლიტიკურ ასპარეზზე ძალას იკრებდა. ამაში დემოკრატიული პარტიის პროგრესული ფრთის წარმომადგენლები უწყობდნენ ხელს, რომლებიც ნამდვილ ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევდნენ. როგორც პოლიტიკოსები, ასევე მეწარმეები, ფერმერული და მუშათა მოძრაობების წარმომადგენლები მასში ხედავდნენ მოქნილ და პრაგმატულ ლიდერს, რომელსაც შეეძლო, ზუსტად შეეფასებინა საზოგადოებრივი პროცესები და გადაწყვეტილების მიღების უნარით გამოირჩეოდა. მათ თვალში რუზველტის სნეულებაც თავისი დადებითი მხარით შემობრუნდა — ამ კაცმა ხომ უდიდესი ტანჯვის გადატანის ფასად, საოცარი ნებისყოფა გამოიჩინა და დაამტკიცა, რომ არანაირ სიძნელეს არ შეეპუებოდა.

მომდევნო, 1928 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში პარტიამ ყრილობაზე თავისი ფავორიტი კანდიდატის წამოყენების მისია კვლავ რუზველტს დააკისრა. მისი მომხრეები გახარებული იყვნენ იმით, რომ ფრანკლინი ამჯერად უყავარჯნოდ, მხოლოდ ხელჯოხსა და ელიოტის მკლავზე დაყრდნობილი მივიდა ტრიბუნასთან.

„დემოკრატებს“, ფაქტობრივად, უალტერნატივო კანდიდატი — ნიუ-იორკის გუბერნატორი ელ სმითი ჰყავდათ. მიუხედავად ამისა, მათ ყრილობას პრესამ დიდი ყურადღება მიაპყრო, ხოლო ერთ-ერთმა რადიომ

პირდაპირი ტრანსლაციაც მოაწყო, რაც იმ დროისთვის დიდი სიახლე გახლდათ. ფრანკლინ რუზველტიც თავის გამოსვლას განსაკუთრებით ამზადებდა და ელ სმითის ღირსებებზე საუბრისას, ფაქტობრივად, საკუთარი თავი უფრო წარმოაჩინა, რაც არც პრესას დარჩენია შეუმჩნეველი: გაზეთი „ჩიკაგო ტრიბიუნი“ წერდა, — მან თავი გამოიჩინა როგორც ერთადერთმა „რესპუბლიკელმა“ „დემოკრატებს“ შორისო, — ეს კი იმხანად ნამდვილი კომპლიმენტი იყო.

საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად ნიუ-იორკის გუბერნატორის არჩევნები მიმდინარეობდა. სმითმაც ორი პოსტისთვის თითქმის ერთდროულად ბრძოლაზე ხელი აიღო და გუბერნატორის პოსტისთვის ბრძოლა რუზველტს შესთავაზა. დღევანდელობისგან განსხვავებით, ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი გაცილებით წონადი ფიგურა იყო, ვიდრე ქალაქ ნიუ-იორკის მერი. აქედან გამომდინარე, სმითი, ერთი მხრივ, რუზველტს დიდი კარიერული ნაბიჯის გადადგმას სთავაზობდა, მეორე მხრივ კი, ამით საკუთარ პრობლემას აგვარებდა: მას კარგად ჰქონდა გააზრებული, რომ პრეზიდენტი ვერ გახდებოდა და გუბერნატორის სავარძელს, ფაქტობრივად, სარეზერვოდ, საკუთარი თავისთვის „ინახავდა“. ის არწმუნებდა ფრანკლინს, რომ გუბერნატორად მუშაობა არ გაუჭირდებოდა, რადგან მიმდინარე საქმეებს მისი მოადგილე გაუძღვებოდა, თა-

ვად კი, ხან ჰაიდ-პარკში, ხან უორმ-სპრინგსში ყოფნის შესაძლებლობა ექნებოდა.

რუზველტი ერთხანს ყოყმანობდა. სმითს დემოკრატიული პარტიის ახალარჩეული თავმჯდომარე და მსხვილ ბიზნესთან დაახლოებული ჯონ რესკობი შეუერთდა, რომელმაც ფრანკლინს დიდი ფინანსური მხარდაჭერა აღუთქვა, უორმ-სპრინგსის ბალნეოლოგიური ცენტრისთვის დახმარების გაწევაც იკისრა და ცოტა ხანში ამ მიზნით 350-ათასდოლარიანი ჩეკიც გაუგზავნა. რუზველტმა ძვირფას ძღვენზე უარი განაცხადა და პოლიომიელიტით დაავადებულთა დასახმარებლად მხოლოდ 25 ათასი დაიტოვა.

გუბერნატორის პოსტზე კენჭისყრის იდეას მხარი დაუჭირა დედამ, რომელიც ადრე ეწინააღმდეგებოდა სნეული შვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას, მაგრამ დარწმუნდა, რომ ფრანკლინს უამისოდ ცხოვრება არ შეეძლო. სარამ მას მისწერა: „არჩევის შემთხვევაში, როგორც ვიცი, შენი შემოსავალი შემცირდება, მაგრამ მზად ვარ, სხვაობა დავფარო“.

მისგან განსხვავებით, გუბერნატორის არჩევნებში ფრანკლინის მონაწილეობას ელინორი და ჰოუვი ეწინააღმდეგებოდნენ — მიაჩნდათ, რომ უარი ჯანმრთელობის მდგომარეობით შეეძლო აეხსნა. ფრანკლინი მუდამ ყურს უგდებდა ლუისის რჩევას, რადგან მის ალღოში ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ ამჯერად საკუთარ ინტუიციას

ენდო, ბევრი ფიქრის შემდეგ არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტა და ჩვეული ენერგიულობით ჩაება მარათონში. ის მატარებლიდან ავტომანქანაში გადადიოდა, რომელსაც ჩვეულებრივ, ჟურნალისტებით, თანაშემწეებითა და საჭირო ტექნიკური საშუალებებით დატვირთული კიდევ ორი მანქანა მიჰყვებოდა, და რაც შეიძლება მეტ ამომრჩეველთან შეხვედრას ცდილობდა.

გარჯას ამაოდ არ ჩაუვლია: 1928 წლის ნოემბრის დასაწყისში ფრანკლინ რუზველტი ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ 4-მილიონიან შტატში მან მოწინააღმდეგეს, საკმაოდ ავტორიტეტულ პოლიტიკოსსა და „რესპუბლიკურ“ ადმინისტრაციაში იუსტიციის ნამინისტრალ ალბერტ ოტინგერს სულ 25 ათასი ხმით სძლია და ხუმრობით, „ნახევარპროცენტიან გუბერნატორს“ ეძახდნენ, ეს დიდი გამარჯვება და მომავალი დიდი წარმატებების საწინდარი იყო.

თავი XIV

ჯიდილი ძველ გუბერნატორთან

გუბერნატორის კაბინეტში ფრანკლინ დელანო რუზველტი პირველად 1929 წლის 1-ელ იანვარს შევიდა. პრობლემა, რომელიც მის წინაშე იდგა, წინამორბედის ავტორიტეტი და შტატის მოსახლეობაში მისი დიდი პოპულარობა იყო. ელ სმითს გუბერნატორობის ოთხი ვადის, ანუ 8 წლის განმავლობაში ბევრი კარგი საქმე ჰქონდა გაკეთებული შტატისა და მისი მოქალაქეებისთვის და უნარიანი ორგანიზატორის სახელი დაემკვიდრებინა. გასაკვირი როდია — ის ცდილობდა, ფაქტობრივ მმართველად დარჩენილიყო და მემკვიდრისთვის საკუთარი რჩევები მოეხვია თავს. სმითს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ რუზველტი მისი კვალიფიციური მმართველი გუნდის წევრთა უმეტესობას ხელს არ ახლებდა და ამგვარად, მორჩილად გააგრძელებდა მის კურსს.

ეს სრულიად არ ეთანადებოდა რუზველტის გეგმებს. თავდაპირველად ის, უბრალოდ, უყურებდა გავლენიანი წინამორბედის აქტიურ ჩარევას, მერე, თანდათანობით, მმართველი გუნდის შეცვლას მიჰყო ხელი. ერთხელ სმითს მიუტანეს ამბავი, რომ რუზველტმა ერთობ უდიერად მოიხსენია, შემდეგ ამის შესახებ გაზეთში ანონიმური წერილი გამოქვეყნდა, რომელსაც ხელს აწერ-

და „კარის ჭუჭრუტანის ჯენტლმენი“. ამ „ჯენტლმენს“ მოჰყავდა თითქოსდა რუზველტის მიერ ნათქვამი: „სმითი დამპალი გუბერნატორი იყო. ამის შესახებ არაფერი ვიცოდი, ვიდრე ამ სავარძელში თავად აღმოვჩნდებოდი“. რუზველტმა ამაზე მეყსეული რეაგირება მოახდინა: „ნებისმიერი კაცი, ვინც მსგავს ამბებს ავრცელებს, არა მარტო მატყუარა, არამედ სამარცხვინო მატყუარაა“.

ძველი და ახალი გუბერნატორების წამხდარ ურთიერთობებს ვეღარაფერი იხსნიდა. სმითმა რუზველტთან კონტაქტი გაწყვიტა და მისი პოლიტიკის გასაკრიტიკებლად ნებისმიერ ხელსაყრელ მომენტს იყენებდა, წლების შემდეგ კი, როცა რუზველტი უკვე არა ერთი შტატის, არამედ სახელმწიფოს მეთაური გახდა, დემოკრატიული პარტიის მესვეურებიდან მისი „ახალი კურსის“ ყველაზე მწვავე კრიტიკოსად იქცა.

და მაინც, ელ სმითი გაცილებით ნაკლებ დაბრკოლებას უქმნიდა ახალ გუბერნატორს საკუთარი პოლიტიკის გატარების გზაზე, ვიდრე „რესპუბლიკელთა“ უმრავლესობა შტატის საკანონმდებლო ორგანოში — ლეგისლატურაში, რომელიც მანამდე თავად ელ სმითის ბევრ წამოწყებას ეღობებოდა. რუზველტი ყველანაირად ცდილობდა მასის გულების მოგებას, რასაც შემდგომ, მთელი კარიერის განმავლობაში მისთვის არაერთი წარმატება მოუტანია. მას თავიდანვე უნდა მოეხერხებინა, რომ ხალხს საკუთარ თავზე განეცადა ახალი ადმინის-

ტრაციის პოლიტიკის სასიკეთო ცვლილებები და ამ მხრივ სწორი ნაბიჯები გადადგა: ქალაქის პრობლემებისადმი სათანადო ყურადღების შენარჩუნებასთან ერთად, ძალზე მკაფიოდ წამოსწია წინა პლანზე სოფლად მცხოვრები მოსახლეობის საზრუნავი. პოსტზე საქმიანობის დასაწყისიდანვე ცდილობდა მის ხელთ არსებული ისეთი მექანიზმების ამოქმედებას, რომლებიც შტატის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ცხოვრებას გააუმჯობესებდა; ამით და კიდევ, სადაც კი შესაძლებელი იყო, უახლესი ტექნიკური მიღწევების გამოყენებით, მიზნად ისახავდა თავისი წინამორბედის დაჩრდილვას, რაც ერთობ რთული ამოცანა იყო.

ეს ყოველივე თავისთავადაც შეესაბამებოდა რუზველტის კონცეფციას და ამასთანავე, ჭკვიანური ტაქტიკა იყო, რომელიც მის მიერ წამოყენებული ინიციატივების განხილვისას, „რესპუბლიკელებს“ ნაკლებად უტოვებდა კრიტიკის შესაძლებლობას. ბუნებრივია, არც საკუთარი პარტიის წარმომადგენელთა მხარდაჭერა უნდა დაევიწყებინა და, განსაკუთრებით, ყოფილი გუბერნატორის მომხრეთა სიმპათიის მოხვეჭაზეც ეზრუნა. რუზველტმა მალე მოახერხა პარტიის ორ ბანაკს შორის არსებული წინააღმდეგობების გამოყენებით ერთგვარი მედიატორის როლის მორგება და ამგვარად, „დემოკრატების“ მორჯულებასაც ახერხებდა და „რესპუბლიკელების“ სათანამშრომლოდ მომხრობასაც.

ბრიტანელი ისტორიკოსი პატრიკ რენშოუ თავის წიგნში წერდა: „მისი თაობის პოლიტიკოსებს შორის არც ერთი არ გამოირჩეოდა რუზველტის დარი რეალობის გრძნობით, ძალაუფლების ბერკეტების გამოყენების თვალსაზრისით. პოლიომიელიტით დასნეულებისგან მიღებული დარტყმის შემდგომ გავლილი თვითაღდგენის ხანგრძლივი პროცესის შედეგად, პოლიტიკური პლეიბოი მასში ხისტმა, ანგარიშიანმა ფუნქციონერმა შეცვალა".

ზოგი ბიოგრაფის აზრით კი ფრანკლინ რუზველტმა იმითაც გამოიჩინა თავი, რომ მუდამ მტკიცედ იცავდა საკუთარ პოზიციას, თუმცა სხვების აზრს ყურადღებით ისმენდა, მაგრამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მისი შეცვლა ან გადასინჯვა მხოლოდ საკუთარ პრეროგატივად მიაჩნდა და ხელქვეითთაგან წინააღმდეგობას ვერ ეგუებოდა.

პირველი პროგრამა, რომელიც გუბერნატორმა რუზველტმა წამოიწყო, მცირე ელექტროსადგურების მშენებლობა იყო, რომელიც ნაწილობრივ შტატის ბიუჯეტით, ნაწილობრივ კი კერძო კაპიტალის მოზიდვით უნდა განხორციელებულიყო და, ტექნიკური სიახლეების გამოყენებით, მოსახლეობისთვის იაფი ენერგია მიეწოდებინა. ამას მოჰყვა ლეგისლატურაში რამდენიმე კანონის მიღება, რომლებიც ტყის მასივების აღდგენას ემსახურებოდა და საამისოდ, საბიუჯეტო თანხებით მიტოვებული ფერმების შესყიდვას ითვალისწინებდა. ზო-

გიერთ მრჩეველს მიაჩნდა, რომ ეს მიწები, უბრალოდ, კონფისკაციას უნდა დაქვემდებარებოდა, მაგრამ რუზველტის აზრით, ეს სოფლის მიმართ მოსახლეობის გულაცრუებას გამოიწვევდა, ამასთან, გამოსყიდვის შედეგად ხალხი მცირედ შემოსავალს მაინც მიიღებდა.

რუზველტს დიდი ბრძოლის გადატანა მოუხდა იმის მისაღწევად, რომ ბიუჯეტის განაწილება აღმასრულებელი ხელისუფლების პრეროგატივა ყოფილიყო, ხოლო საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენცია მხოლოდ მისი თანხის დადგენითა და დამტკიცებით შემოფარგლულიყო, მაგრამ ლეგისლატურას პოზიციების დათმობა არ სურდა. გუბერნატორმა კანონმდებელთა დადგენილებას ვეტო დაადო; ლეგისლატურამ ვეტო დაძლია. რუზველტი ამასაც არ შეეპუა და შტატის უზენაესი სასამართლოს სააპელაციო პალატაში სარჩელი შეიტანა. სასამართლომ გუბერნატორს დაუჭირა მხარი: მისი გადაწყვეტილებით, ცალკეული მუხლების მიხედვით საბიუჯეტო სახსრების განაწილება აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენცია, ხოლო ამ საკითხში საკანონმდებლო ორგანოს ჩარევა არაკონსტიტუციური ქმედება იყო. ამ მნიშვნელოვანი გამარჯვების მილოცვისას ზოგი რუზველტს სწერდა, რომ მიღებული გადაწყვეტილება თანამედროვე მმართველობის ისტორიაში როგორც ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი, ისე შევიდოდა, ხოლო მისი შეუპოვრობითა და წარმატებით აღფრთო-

ვანებულმა ადამიანებმა ზოგიერთ შტატში „რუზველტის მეგობრების კლუბები“ შექმნეს.

1929 წლის ზაფხულში შტატის ერთ-ერთ უმსხვილეს, კლინტონის ციხეში, რომელსაც „ნიუიორკულ ციმბირს“ ეძახდნენ, 1 300-მა პატიმარმა აჯანყება წამოიწყო. სამართალდამცველებთან შეტაკებისას სამი მათგანი დაიღუპა და ათობით დაშავდა. მომხდარმა პენიტენციურ სისტემაში დაგროვილი უმწვავესი პრობლემები, მოხელეთა დარღვევები და კორუფციის მაგალითები გამოაშკარავა. გუბერნატორის განკარგულებით, სისტემაში საკადრო წმენდა და სასამართლო პროცესები დაიწყო. ამასთანავე, მან ლეგისლატურაში მიიღო ქალაქ ატიკაში ახალი ციხის გადაუდებლად აშენების გადაწყვეტილება, რომელიც უკვე მომდევნო წელს ჩაბარდა ექსპლუატაციაში და პრესის მიერ „პატიმართა სამოთხედ“ მოინათლა...

თავისუფლებააღკვეთილი ადამიანების ხვედრის შესამსუბუქებლად და პენიტენციური სისტემისა და კანონმდებლობის გასაჯანსაღებლად რამდენიმე ახალი კანონის მიღებაც მოხერხდა. მაგალითად, სანიმუშო ქცევისთვის სამუდამო პატიმრობამისჯილებს 15 წლის შემდეგ გათავისუფლების შანსი მიეცათ, ვადა ასევე უმცირდებოდათ სხვა მსჯავრდადებულებს; გადაწყდა უფრო რბილი რეჟიმის დაწესებულებების გახსნა და პატიმრებისთვის მის ფარგლებს მიღმა სამუშაოს შესრულების უფლების მიცემა.

რუზველტს განსაკუთრებით უჭირდა სიკვდილმისჯილთა ბედის გადაწყვეტა, რომლებსაც უშუალოდ განაჩენის აღსრულებამდე ეძლეოდათ უფლება, შეწყალების თხოვნით მიემართათ გუბერნატორისთვის. დადგენილი წესით, სიკვდილით დასჯა ხუთშაბათს ღამით სრულდებოდა და რუზველტს ან გამოტანილი განაჩენი უნდა დაემტკიცებინა, ან პატიმრისთვის სიცოცხლე ეჩუქებინა. როგორც წლების შემდეგ მისსი ლიჰენდი იხსენებდა, ეს მტანჯველი, უძილო ღამეები იყო ფრანკლინისთვის, ამიტომ მდივანი ყოველთვის სთხოვდა ხან ერთ, ხან მეორე მეგობარს, ამ დროს რუზველტის გვერდით ყოფილიყო. მართლაც, რომელიმე მათგანი მოდიოდა და კარტის თამაშითა თუ საუბრით უმსუბუქებდა იმ გადაწყვეტილების მიღების სიმძიმეს, რომელიც, წესით, მხოლოდ უფლის ნებას უნდა იყოს მინდობილი...

თავი XV

„უსახლკაროთა თავშესაფრისკენ – საკუთარი ავტომობილით“

ყველა ამ სიძნელის მიუხედავად, გაცილებით დიდი ტვირთი გუბერნატორს წლის ბოლოსთვის — „დიდი დეპრესიის“ დაწყების დღიდან დააწვა. 1929 წლის 24 ოქტომბერს, „შავ ხუთშაბათად“ შერაცხილ დღეს, როცა ნიუ-იორკის ბირჟაზე აქციების კურსების კატასტროფული დაცემა დაფიქსირდა, საერთო ჯამში, 13 მილიონამდე ფასიანი ქაღალდი გაიყიდა. „შავ ხუთშაბათს“ 29 ოქტომბერი — „შავი სამშაბათი“ მოჰყვა, როცა 13 მილიონს კიდევ 3 მილიონი აქცია დაემატა. „აქციები, რომლებიც სულ რამდენიმე კვირის წინ 20, 30 და 40 დოლარი ღირდა, — წერდა ერთ-ერთი გავლენიანი გაზეთი, — ახლა ცენტებად იყიდება...“

საყოველთაო პანიკის შედეგად, მხოლოდ ერთი კვირის განმავლობაში ბირჟაზე აღრიცხულმა ზარალმა საერთო ჯამში, 30 მილიარდ დოლარს მიაღწია, რაც პირველი მსოფლიო ომის დროს მთავრობის მიერ გაწეულ მთელ ხარჯს უტოლდებოდა. 5 ათასი ბანკი გაკოტრდა, 9 მილიონმა ადამიანმა დაკარგა საკუთარი დანაზოგი, ერთიმეორის მიყოლებით იხურებოდა სამრეწველო საწარმოები, სამშენებლო ფირმები; იმატა თვითმკვლელობათა რაო-

დენობამ... 1932 წლისთვის ქვეყნის მასშტაბით უმუშევართა რაოდენობამ 12 მილიონს მიაღწია, 60%-ით შემცირდა ფერმერთა შემოსავლები, ორჯერ და სამჯერ — ფასები სასოფლო პროდუქტებზე. „ქვეყანა დაღუპვის ზღვარზე იდგა, — იხსენებდა წლების შემდეგ რუზველტი, — ქვეყანა იღუპებოდა". ცნობილმა ჟურნალისტმა უილიამ როჯერსმა საოცრად ზუსტად, ერთი წინადადებით გამოხატა შექმნილი მდგომარეობა: „ჩვენ გავხდით პირველი ხალხი კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც უსახლკაროთა თავშესაფრისკენ საკუთარი ავტომობილით გაეშურა".

პირველ ხანს ფრანკლინს, ისევე, როგორც პრეზიდენტ ჰუვერს, იმედი ჰქონდა, რომ კრიზისული მოვლენები უკან დაიხევდა და ეკონომიკა, მცირედი წაშველებით, გაჯანსაღებისკენ შემობრუნდებოდა. ამას არ ეთანხმებოდნენ ფრენსის პერკინსი და, განსაკუთრებით, იმ დროს ამერიკის პოლიტიკურ ცის კაბადონზე ამომავალი ვარსკვლავი ჰარი ჰოპკინსი. ისინი უფრო შორსმჭვრეტელნი აღმოჩნდნენ: ეკონომიკური კრიზისი შეერთებული შტატებიდან ჯერ ლათინურ ამერიკაში გადავიდა, მერე კი მთელ მსოფლიოს მოედო. 1930 წლის გაზაფხულისთვის იმატა ხალხის უკმაყოფილებამ, მარტში ქუჩაში გამოვიდა მილიონ-ნახევარი ადამიანი, რომელიც სამუშაოს და ლუკმაპურს ითხოვდა. რუზველტი ხვდებოდა, რომ რაღაც გადაუდებლად უნდა ეღონა. მის გამოსვლებში ამერიკული ეკონომიკური სისტემის სუსტი მხარეების ძაგებამ იმატა. ერთი მხრივ, რუზველტი ამ დროს უკ-

ვე მეორე ვადით არჩევაზე ფიქრობდა, მეორე მხრივ კი გულწრფელად სურდა ხალხის მდგომარეობის ოდნავ მაინც შემსუბუქება.

ნიუ-იორკის შტატი მისი მომავალი საპრეზიდენტო მოღვაწეობის საცდელ პოლიგონად იქცა, თუმცა მაშინ ამას ვერც თავად რუზველტი, ვერც ვინმე სხვა ვერაფრით წარმოიდგენდა. აშკარა იყო, რომ ცალკეული ზომებით გლობალური კრიზისი ოდნავაც ვერ შესუსტდებოდა, მაგრამ ნიუ-იორკის გუბერნატორმა მაინც რადიკალური ზომების მიღება სცადა: 1931 წლის აგვისტოში მისი განკარგულებით ჩამოყალიბდა დახმარების დროებითი საგანგებო ადმინისტრაცია (Temporary Emergency Relief Administration — TERA), რომელსაც უმუშევრებისა და სხვა კატეგორიების გაჭირვებულთათვის შემწეობა უნდა გაეწია. გუბერნატორი აშშ-ის რეგიონულ ხელმძღვანელთა შორის პირველი აღმოჩნდა, რომელმაც ასეთ ზომას მიმართა, ხოლო TERA — ამ ყაიდის პირველი სახელმწიფო დაწესებულება. მის დებულებაში მკაფიოდ იყო ნათქვამი, რომ ადმინისტრაციის მიერ ხალხისთვის გაწეული დახმარება წარმოადგენდა „არა ქველმოქმედებას, არამედ სოციალურ ვალდებულებას". მისი დაფინანსება საგანგებო პროგრესული საშემოსავლო გადასახადის აკრეფით ხორციელდებოდა, რომელიც 26 დოლარით იწყებოდა (წლიური 10-ათასდოლარიანი შემოსავლის შემთხვევაში) და 1.128 დოლარით სრულ-

დებოდა (100 ათასზე მეტი შემოსავლის მქონეთათვის). ცოტა ხანში ამ ორგანოს მაგალითით, მსგავსი დაწესებულებები ზოგიერთ სხვა შტატშიც ჩამოყალიბდა.

ჯერ კიდევ მაშინ ფრანკლინ რუზველტმა აქტიურად გამოიყენა რადიო მოსახლეობისთვის საჭირო ინფორმაციის მისაწოდებლად: მისი დავალებით, დიდი ქალაქების ხალხმრავალ ადგილებშიც და მცირე სასოფლო დასახლებებშიც განათავსეს დინამიკები, რომელთა მეშვეობითაც, ახალ ამბებთან ერთად, მოქალაქეები იღებდნენ ინფორმაციას მათი ხვედრის შესამსუბუქებლად დროებითი ადმინისტრაციის მიერ გატარებული ზომების შესახებ. საინტერესოა, რომ მოსახლეობა რადიოს გაზეთებზე მეტად ენდობოდა, რადგან ბეჭდური პრესა შეჩვეული ხილი იყო, ამასთან, ბევრის აზრით, ხშირად იტყუებოდა კიდეც.

პირველებს შორის აღმოჩნდა რუზველტი, ასევე, დოკუმენტური კინოს, როგორც მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალების, შეფასების საკითხშიც: ხმოვანი დოკუმენტური ფილმები 1927 წელს გამოჩნდა, ხოლო სულ რაღაც 3 წლის შემდეგ, გუბერნატორის მეორე ვადით ასარჩევად წარმართული კამპანიის დროს, მსოფლიოში პირველი პოლიტიკური ხმოვანი დოკუმენტური ფილმი — „რუზველტის ანგარიში“ გამოვიდა, რომელიც მაყურებელს მისი პირველი საპრეზიდენტო ვადის დროს აღსრულებულ საქმეთა შესახებ უამბობდა და აშკარად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მეორე ვადით მის არჩევაში.

თავი XVI

დიდი სამგზადისი და „გონებრივი ტრესტი"

1930 წლის არჩევნებში ფრანკლინ რუზველტმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. როგორც ადრე იწინასწარმეტყველა, „რესპუბლიკელების" ბატონობა დასასრულს უახლოვდებოდა — ისინი ბევრ შტატში დამარცხდნენ, თუმცა ნიუ-იორკში „დემოკრატი" კანდიდატის უპირატესობა განსაკუთრებით ნიშანდობლივი იყო: რუზველტს 725 ათასით მეტმა ამომრჩეველმა დაუჭირა მხარი, ვიდრე მის „რესპუბლიკელ" ოპონენტს.

უმძიმეს კრიზისში ჩავარდნილ ქვეყანაში მოსახლეობისთვის ქმედითი დახმარების აუცილებლობა იდგა, მაგრამ პრეზიდენტი კვლავაც ჯიუტად ემხრობოდა ადამიანის პირადი პასუხისმგებლობის ტრადიციულ ამერიკულ მიდგომას და მიაჩნდა, რომ ეკონომიკურ ცხოვრებაში მთავრობის პირდაპირი ჩარევა დაუშვებელი იყო ამერიკული ცხოვრების წესისთვის.

ბუნებრივია, ფედერალური ადმინისტრაციის უმოქმედობის შედეგად ძლიერდებოდა მოსახლეობის აგრესია პრეზიდენტის მიმართ, რომელსაც ხალხი ყველა უბედურებაში ადანაშაულებდა. დიდი ქალაქების გარეუბნებში გაღატაკებული სოფლებიდან წამოსული ადამიანების მიერ შექმნილი „მუყაოს" დასახლებებს დემოკრა-

ტიული პარტიის ნაციონალური კომიტეტის ერთ-ერთმა ლიდერმა ჩარლზ მიკლზონმა „ჰუვერვილები" დაარქვა, მერე მას სხვებმაც აუბეს მხარი და გაზეთებს, რომლებსაც გაძვალტყავებული ადამიანები ღამღამობით იფარებდნენ, „ჰუვერის საბნები", ხოლო გარეულ ბოცვრებს, რომელთა დაჭერასაც ისინი ზოგჯერ ახერხებდნენ, „ჰუვერის გოჭები" შეარქვეს.

ამ პირობებში თავი წამოყო ათასი ჯურის მემარცხენე ძალამ, რომელსაც კომუნისტური იდეების ქადაგების საბაბი მიეცა. გერმანიაში ამ დროს, ხალხს კრიზისის დაძლევას ჰიტლერის ნაცისტური პარტია ჰპირდებოდა, იტალიაში — ფაშისტები, ბენიტო მუსოლინის თავკაცობით, რომლებიც უკვე მოსულიყვნენ ხელისუფლების სათავეში; ზოგიერთ სხვა ევროპულ ქვეყანაშიც ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორებას მხოლოდ ავტორიტარულ მმართველობაში ხედავდნენ; კრიზისთან გამკლავების შემძლე ძლიერი ხელისუფლების მაგალითად საბჭოთა კავშირი ევლინებოდათ და ამ აზრს ზოგიერთი ამერიკელი ინტელექტუალი, მაგალითად, ცნობილი მწერლები — ელტონ სინკლერი და თეოდორ დრაიზერიც — იზიარებდნენ.

რუზველტს არც ერთი ავტორიტარი ლიდერი გულზე არ ეხატებოდა, განსაკუთრებით — იოსებ სტალინი, რომელიც სწორედ ამ დროს ძალადობრივი მეთოდებით ახორციელებდა საყოველთაო კოლექტივიზაციას, მილიონობით ადამიანის სიცოცხლე რომ იმსხვერპლა, მაგრამ ნიუ-იორკის გუბერნატორი ყურადღებით აკვირდებოდა

ავტორიტარული სისტემების მიერ ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკაში ჩარევის მაგალითებს და ხვდებოდა, რომ ზოგი რამ მათი გამოცდილებიდან ნამდვილად შეიძლებოდა, აშშ-ში გამოეყენებინათ.

ამასობაში საბოლოოდ მომწიფდა პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც, ნებსით თუ უნებლიეთ, თითქმის ათი წლით ადრე თავად იწინასწარმეტყველა — რომ სახელმწიფოს სათავეში „რესპუბლიკელთა“ შეცვლას „დემოკრატები“ მხოლოდ ქვეყანაში მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების შემთხვევაში მოახერხებდნენ. ამ დროს დემოკრატიულ პარტიას მასზე უფრო გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავდა. ფრანკლინ რუზველტმა ქვეყნის სათავეში მოსასვლელად მზადება დაიწყო.

1931 წლის მარტში ნიუ-იორკის ცენტრში, მედისონ-ავენიუზე ფრანკლინ რუზველტის შტაბ-ბინა გაჩნდა. ივნისში იგი სიტყვით გამოვიდა შტატების გუბერნატორთა კონფერენციაზე, რომელიც საერთო საქვეყნო პრობლემების განსახილველად იყო მოწვეული. ეკონომიკური პრობლემების, საიმპორტო პოლიტიკის საკითხების გარდა, მან ავადმყოფობისა და უმუშევრობის დაზღვევის შემოღების აუცილებლობაზე ილაპარაკა და ხაზგასმით აღნიშნა „სასოფლო და საქალაქო ცხოვრების დონის უკეთესი ბალანსის“ დამყარების საჭიროება.

მომდევნო წლის თებერვალში, გუბერნატორთა ყოველწლიურ კონფერენციაზე, რუზველტმა კვლავ ილაპა-

რაკა სახელმწიფოს მხრიდან კატასტროფისგან უბრალო ადამიანის დაცვაზე, რომელიც სოციალური პირამიდის ძირში იმყოფება, ამ მიზნით კი, თქვა მან, სამთავრობო ორგანოებს „ჩვენი სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების უკეთ დაგეგმარება“ მართებთ, ხოლო დახმარების საშუალებად უნდა გამოვიყენოთ: დაზღვევა ავადმყოფობისა და უმუშევრობის შემთხვევებში, საგადასახადო სისტემის სრულყოფა, საექსპორტო-საიმპორტო ბაჟების შემცირება, მიწის რესურსების უკეთ გამოყენება და რეგიონების მიხედვით მოსახლეობის გეგმური განაწილება. ყველა ეს მიმართულება უკვე პრეზიდენტად არჩევის შემდეგ მისთვის სახელმძღვანელო გახდა, მაგრამ ამ ეტაპზე, მწყობრი სამოქმედო პროგრამის შესამუშავებლად, მას საკუთარი გუნდისთვის შესაფერისი ადამიანების შემომატება სჭირდებოდა.

1932 წლის იანვარში, ჰაიდ-პარკის მამულში, ოჯახის წევრებისა და ახლობლების ვიწრო წრეში 50 წლისთავის აღნიშვნის შემდეგ რუზველტმა ამ გუნდის ჩამოყალიბებას მოჰკიდა ხელი. კარგად ესმოდა, რომ სჭირდებოდა აკადემიური ცოდნის მქონე ადამიანები, რომლებსაც სტრატეგიული თუ ტაქტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო კომპეტენცია და გამოცდილება ექნებოდათ.

ჯგუფს, რომლის ჩამოყალიბებაც ამ დროს დაიწყო და თავდაპირველად „საიდუმლო საბჭოს“ სახელით მოიხსენიებდნენ თავად მისი წევრები, შემდგომ „გონებრივი ტრესტი“ დაარქვეს. ერთ-ერთი ვერსიით, ეს ტერმინი პირ-

ველად ხუმრობით რუზველტთან საუბრისას ლუის ჰოუვმა გამოიყენა, თუმცა ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, რაიმონდ მოლი ირწმუნებოდა, „ტვინების ტრესტი“ (Brains trust) გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ჟურნალისტმა ჯეიმს კირენმა შემოიღო, რომელმაც შემდგომ მრავლობითი რიცხვი მხოლობითით (პირდაპირი თარგმანი „ტვინის ტრესტი“ გამოდის) შეცვალა, რაც ადეკვატურად, „გონებრივი ტრესტის“ (brain — ტვინი, გონება) სახელით გადმოდის.

რუზველტის პირველი „გონებრივი ტრესტის“ ბირთვს შეადგენდნენ მისი სპიჩრაიტერისა და შემდგომ, პრეზიდენტობის დროს თანაშემწის, სემ როზენმანის მიერ მიწვეული კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორები — რეიმონდ მოლი, რეგსფორდ ტაგველი და ადოლფ ბიორლი, რომლებმაც პრეზიდენტ რუზველტის პირველი (შემდგომ მეორეც არსებობდა) „ახალი კურსის“ შემუშავებისას საკვანძო როლი იტვირთეს. რაც მთავარია, ისინი საუცხოოდ ავსებდნენ ერთიმეორეს და ძირითადად, სწორ გადაწყვეტილებებს იღებდნენ. საბოლოოდ რუზველტმა მოახერხა, ძალზე გონიერი, მოქნილი, შემოქმედი ადამიანების გუნდი შემოეკრიბა, რომლებიც არაორდინარულად აზროვნებდნენ და ქვეყნისთვის არაერთი სასიკეთო საქმე გააკეთეს.

„გონებრივი ტრესტის“ წევრები სისტემატურად იკრიბებოდნენ, ხშირად წინასწარ არც დღის წესრიგს ადგენდნენ, არც დაწერილ ანგარიშ-მოხსენებებს აკე-

თებდნენ და უბრალოდ, თავისუფალი საუბრის ფორმით განიხილავდნენ საჭირბოროტო საკითხებს, თუმცა ამ განხილვებისთვის თითოეული მათგანი მუდამ გულმოდგინედ ემზადებოდა და შეხვედრაზე ახალი იდეებით ცხადდებოდა. როცა განსახილველი საკითხი მათ კომპეტენციას სცდებოდა, თავყრილობაზე დარგის ექსპერტებს იწვევდნენ.

სწორედ ამგვარი აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს დაიბადა ტერმინი „ახალი კურსი“ (New deal შეიძლება ასევე ითარგმნოს როგორც: ახალი საქმე, შეთანხმება, გარიგება, თუმცა კურსი ან კიდევ გეზი, მაინც ყველაზე მართებულია), რომელმაც საბოლოოდ, კატასტროფისგან იხსნა ქვეყანა. მომავალი სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი სხარტი, მრავლისმომცველი და, რაც მთავარია, დამაიმედებელი სახელის შერჩევისას შესაძლოა, გარკვეული გავლენა იქონია კანდიდატის სახელოვანი ნათესავისა და კერპის, თეოდორ რუზველტის პროგრამის დასახელებამ — Square deal, რომელიც ასევე სხვადასხვაგვარად შეიძლება ითარგმნოს, მაგალითად: სამართლიანი საქმე, სამართლიანი გარიგება, ღირსეული დამოკიდებულება და სხვა ამგვარი.

აქვე უნდა ითქვას, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დროს ფრანკლინი ძირითად განსაზღვრებას ხშირად ავსებდა ისეთი დაზუსტებით, რომელსაც უბრალო ამერიკელების გულები უნდა დაეპყრო, კერძოდ: „ახალი კურსი მივიწყებული ადამიანისთვის“...

თავი XVII

წინასაარჩევნო მარათონი და ლოგიკური შედეგი

როგორც ცნობილია, პრეზიდენტობის მოსურნე პოლიტიკოსს აშშ-ში ჯერ კიდევ საკუთარ პარტიაში აქვს დიდი გზა გასავლელი: ე.წ. პრაიმერი — პირველადი არჩევნები, შემდეგ ბრძოლა პარტიის ყრილობაზე, სადაც ხშირად ათეული და მეტი კანდიდატიც კი გროვდება. მიუხედავად უკვე მოპოვებული დიდი ავტორიტეტისა, ფრანკლინ რუზველტს რამდენიმე კონკურენტი ჰყავდა, მათ შორის, ჩვენთვის უკვე ცნობილი ელ სმითი, რომელიც კარგა ხანს აცხადებდა, რომ არჩევნებში მონაწილეობას აღარ აპირებდა, მაგრამ ბოლოს მაინც გადაიფიქრა.

რეაქციული სამხრეთი შტატები ტეხასელ პოლიტიკოსს, კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში „დემოკრატების" ლიდერ ჯონ გარნერს უჭერდა მხარს, რომლის სასარგებლოდ და რუზველტის საწინააღმდეგოდ, თავისი მედიაიმპერიის მეშვეობით, დიდი კამპანია გააჩაღა საგაზეთო მაგნატმა უილიამ რენდოლფ ჰერსტმა. ეკონომიკის სფეროში სახელმწიფოს ჩარევის თაობაზე გაკეთებულ განცხადებებზე გამოკიდებით, ბევრი უკვე მაშინ აბრალებდა რუზველტს ხან კომუნიზმის, ხან ფაშიზმის იდეების მიმდევრობას და უაპელაციოდ აცხადებდა, რომ ის ქვეყანას უფსკრულში გადაჩეხავდა.

ფრანკლინი ცდილობდა, სხვადასხვა შეხედულების მქონეთა შორის ლავირებით აესხლიტა მოწინააღმდეგეთა ბრალდებები, დაესუსტებინა კონკურენტთა პოზიციები და, რაც მთავარია, მაქსიმალურად გამოეყენებინა მისდამი მასების სიმპათია, მით უმეტეს, რომ მისი პროგრამა რეალურად, უბრალო ადამიანების გაჭირვებისგან გამოხსნაზე იყო ორიენტირებული. კონსერვატორულ წრეებს აცოფებდათ მისი სიტყვები „მივიწყებული ადამიანის შესახებ, რომელიც სოციალური კიბის უდაბლეს საფეხურზე იმყოფება“, ხოლო თავისთავად პროგრესულმა პოლიტიკოსმა, მაგრამ უკვე კარგა ხნის წინ ფრანკლინის ნამდვილ მტრად ქცეულმა ელ სმითმა მას „კლასობრივი ომის გამჩაღებელი უსინდისო დემაგოგი“ უწოდა.

ივნისის ბოლოს ყრილობაზე შეკრებილ 3 ათასზე მეტ დელეგატს 11 კანდიდატი წარუდგინეს, მათ შორის რეალური — სამი: რუზველტი, სმითი და გარნერი. თავად რუზველტი ყრილობაზე არ გამოჩენილა — გუნდის გადაწყვეტილებით, რამდენიმე დღის განმავლობაში ხალხში ტრიალი მისი ჯანმრთელობისთვის საზიანო შეიძლებოდა ყოფილიყო, ამასთანავე, ამხელა თავყრილობაზე (დელეგატების გარდა, სტადიონზე შეკრებილი ხალხის რაოდენობა 30 ათასს აღწევდა) მისი ფიზიკური მდგომარეობის დემონსტრირებაც წამგებიანი იქნებოდა. ეს სავსებით გამართლებული იყო, რადგან ყველამ იცოდა,

რომ გუბერნატორს უამრავი საზრუნავი ჰქონდა და თანამდებობრივი მოვალეობების მიტოვება მოსაწონი არც იქნებოდა. სამაგიეროდ, უკლებლივ ყველა დელეგატს მისგან საჩუქარი ერგო — ავტოგრაფით დამშვენებული საკუთარი პორტრეტი და გრამფირფიტა, რომელზეც ჩაწერილი იყო მიმართვა „საგანგებოდ თქვენთვის“...

მიუხედავად იმისა, რომ ყრილობის დელეგატთა უმრავლესობა რუზველტის კანდიდატურას უჭერდა მხარს, მისი გუნდისთვის ნათელი იყო, რომ საჭირო ხმების რაოდენობა — ორი მესამედი არ დაუგროვდებოდა. არსებობდა იმის საშიშროებაც, რომ ძირითადი კანდიდატების გარშემო გაჭიანურებული დებატების შემდეგ მოულოდნელად რომელიმე კომპრომისული ფიგურა გამოჩენილიყო, რომელსაც საბოლოოდ, კვალიფიციური უმრავლესობა ამჯობინებდა. ეს მით უფრო რეალური ჩანდა, რომ ელ სმითისა და ჯონ გარნერის მომხრეებს შორის გამუდმებული კონსულტაციები მიმდინარეობდა იმ მიზნით, რომ რუზველტი არ დაწინაურებულიყო.

კენჭისყრის პირველმა ტურმა ყველასთვის მოსალოდნელი შედეგი მოიტანა: 666 ხმა — რუზველტს, 201 — სმითს, 90 — გარნერს. გამარჯვების მისაღწევად კიდევ 100-მდე ხმა სჭირდებოდა. მომდევნო ორმა ტურმაც გამარჯვებული ვერ გამოავლინა, მაგრამ მოულოდნელად, მესამე ადგილზე გასულმა გარნერმა შემოთვალა, რომ მზად იყო, რუზველტის ადმინისტრაციაში ვიცე-

პრეზიდენტის პოსტის სანაცვლოდ საკუთარი კანდიდატურა მოეხსნა. კენჭისყრის მეოთხე ტურამდე, როცა მისმა წარმომადგენელმა გამოაცხადა, რომ გარნერი თავისი მომხრეების 44 ხმას რუზველტს უთმობდა, აუდიტორია ისეთმა აღტაცებამ მოიცვა, რომ მისი დაცხრობა კარგა ხანს ვერ ხერხდებოდა.

მეოთხე ტური უკანასკნელი აღმოჩნდა — ფრანკლინ რუზველტი დემოკრატიული პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატი გახდა. ამის შეტყობისთანავე, ჯერ კიდევ გადაწყვეტილების ოფიციალურ გამოცხადებამდე, გუბერნატორი სამძრავიან თვითმფრინავში ავიდა და ჩიკაგოსკენ აიღო გეზი. დღეს ერთ საათში რომ ჩაფრინდები, ამ მანძილის დასაფარავად მაშინ 9 საათი და თანაც, ორი გაჩერება იყო საჭირო.

ყრილობის ტრიბუნაზე რუზველტის გამოჩენას მისი მომხრეების გამაყრუებელი ყიჟინა მოჰყვა. სიტყვით გამოსვლისას მან განაცხადა, რომ მადლიერებით იღებს მისთვის მინდობილ ნომინაციას, და დაიფიცა, რომ „ამერიკელ ხალხს ახალი კურსით გაუძღვება“. ასე აჟღერდა პირველად სახალხოდ განსაზღვრება „ახალი კურსი“, რომელიც, ბევრი ავტორის აზრით, „ამერიკელ საზოგადოებაში მშვიდობიან რევოლუციას“ მოასწავებდა. რუზველტი, ასევე, ხალხს დაჰპირდა აშშ-ის ეკონომიკის საფუძვლიან რეორგანიზაციას, მოსახლეობის დასაქმებითა და უსაფრთხოებით უზრუნველყოფას, საზოგა-

დოებრივი სამუშაოს ორგანიზებას, „მშრალი კანონის“ გაუქმებას, საბაჟო სახდელების შემცირებას; სათანადო ადგილი დაუთმო, აგრეთვე, საკრედიტო კაპიტალის საპროცენტო განაკვეთებისა თუ საგარეო ვაჭრობის ტარიფების შემცირების გზით მსხვილი ბიზნესის დახმარების აუცილებლობას, რაც მის წარმომადგენელთათვის „კომუნისტად“ შერაცხილი რუზველტისგან დამამშვიდებელი სიგნალი უნდა ყოფილიყო.

თავისი სიტყვა კანდიდატმა ასე დაასრულა: „ჩვენ ვალდებული ვართ, ეროვნული სიმდიდრის უფრო თანაბრად განაწილება უზრუნველვყოთ. არ შეიძლება, ხალხს იმედი გავუცრუოთ. მე ამერიკელ ხალხს ახალ კურსს ვპირდები. ახლა საარჩევნო კამპანიაზე გაცილებით მნიშვნელოვან მოვლენასთან გვაქვს საქმე: ეს იარაღის ასხმისკენ მოწოდებაა. მე არა არჩევნებში გამარჯვებისთვის დახმარებას, არამედ ხალხისთვის ამერიკის დაბრუნებაში მხარდაჭერას გთხოვთ“.

ამის შემდეგ გაჩაღებულმა წინასაარჩევნო კამპანიამ, რომელსაც „დემოკრატების“ კანდიდატი მოქმედი პრეზიდენტის დასამარცხებლად წარმართავდა, ცხადყო, რომ ფრანკლინ რუზველტი იოლად პოულობდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენის გულის მოსაგებად საჭირო სიტყვებს. საგანგებო მატარებლით ქვეყანაში მოგზაურობისას, მან საერთო ჯამში 20 ათას კილომეტრამდე დაფარა, 18 შტატი მოიარა და დღეში რანდენიმე-

ჯერ გამოდიოდა სხვადასხვა, ხშირ შემთხვევაში, მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე.

ცხადია, მისთვის მანამდეც კარგად იყო ცნობილი ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა, მაგრამ საკუთარი თვალით ათასობით გაღატაკებულ-დაბეჩავებული ადამიანის ნახვამ მაინც ძალზე იმოქმედა. თუმცა მუდამ ერჩივნა საკუთარი გრძნობების დაფარვა, ამჯერადაც თავს ვერ იკავებდა განცდების გამოხატვისაგან. ხშირად უთქვამს: „ათასობით ამერიკელის სახე ვნახე. მათ დამფრთხალი, მშობლებდაკარგული ბავშვების გამოხედვა და იერი აქვთ“.

წინასაარჩევნო კამპანიის ძალზე საინტერესო პერიპეტიების ვრცლად გადმოცემა შორს წაგვიყვანს, ამიტომ მხოლოდ ორ საინტერესო გარემოებაზე შევაჩერებთ ყურადღებას: პირველი — ლამის ნულოვან ნიშნულამდე ჩამოსული რეიტინგის მიუხედავად, ჰერბერტ ჰუვერსა და მის გარემოცვას რუზველტის დასახელებამ იმედი გაუჩინა, რადგან ფიქრობდნენ, მძიმე სნეულებით შებოჭილი, დამოუკიდებლად გადაადგილების უნარშეზღუდული პოლიტიკოსის დამარცხებას მოქმედი პრეზიდენტი შედარებით იოლად მოახერხებდა. მეორე — თუმცა რუზველტის გამოსვლებს შორის მოწინააღმდეგეები და ანალიტიკოსები ბევრ წინააღმდეგობას ამჩნევდნენ, რადგან ყოველ აუდიტორიასთან საკუთრივ მისთვის საჭირბოროტო პრობლემების წამოჭრას ცდი-

ლობდა და პოლიტიკურ კონიუნქტურასაც არ ივიწყებდა, ხალხი მას გაფაციცებით უსმენდა და მის სიტყვებში საკუთარი საწუხარის გამოძახილსაც ხედავდა.

ყოველივე იმით დაგვირგვინდა, რომ ფრანკლინ რუზველტს ამომრჩეველთა 57-მა პროცენტმა და 42 შტატის 472 ხმოსანმა დაუჭირა მხარი. მაშინ აშშ 48 შტატისგან შედგებოდა, ამდენად, მისი წინააღმდეგი მხოლოდ 6 აღმოჩნდა. ბოლოს დავძენთ, რომ რუზველტის წარმატებით, დემოკრატიულმა პარტიამ, 1861-1865 წლების სამოქალაქო ომის დროიდან მოყოლებული, ყველაზე დიდ გამარჯვებას მიაღწია.

თავად კანდიდატი კენჭისყრის მიმდინარეობას რადიოზე მიყურადებული ადევნებდა თვალყურს. როცა პირველადი მონაცემებით გაცხადდა, რომ იმარჯვებდა, უმალ ამოქმედდა სახელმწიფო სპეცსამსახური: ოთახში, სადაც ის იმყოფებოდა, უხმაუროდ, ერთნაირ მუქ კოსტიუმში გამოწყობილი ორი კაცი შემოვიდა. მათი გამოჩენა მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ შენიშნეს თავად ფრანკლინმა და მისი გარემოცვის წევრებმა. პირად დაცვასთან ერთად, ყველა ადგილი ნიუ-იორკში, ჰაიდ-პარკსა თუ სხვაგან, სადაც ახალარჩეული სახელმწიფოს მეთაური ჩნდებოდა, საგანგებო კონტროლის ქვეშ ექცეოდა. იმ მომენტიდან მოყოლებული, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, ფრანკლინ რუზველტს პირადი მცველები გვერდიდან არ მოშორებიან.

თავი XVIII

თავდასხმით დაწყებული პრეზიდენტობა და რუზველტის „ტყის არმია"

მიუხედავად ამისა, რუზველტზე თავდასხმა, რომელმაც დასაწყისშივე კინაღამ წერტილი დაუსვა მის მოღვაწეობას, მაინც მოხდა.

ინაუგურაციამდე დარჩენილი ოთხი თვე ახალარჩეულ პრეზიდენტსა და მის „გონებრივ ტრესტს" დღე და ღამე უნდა ეშრომათ, რათა საარჩევნო „ახალი კურსი" ნამდვილ სამოქმედო პროგრამად ექციათ. ამ პერიოდში ის კვლავ აგრძელებდა შეხვედრებს მოსახლეობასთან და, სანამ თვითდინებაზე მიშვებული ქვეყნის მართვის სადავეებს მიიღებდა, მის გამხნევებას ცდილობდა.

1933 წლის 15 თებერვალს პრეზიდენტი ფლორიდის შტატის ქალაქ მაიამიში ჩავიდა და პარკში შეკრებილი 20 ათასი მოქალაქის წინაშე სიტყვით გამოვიდა. ამ შეხვედრაზე საგანგებოდ ჩამოვიდა ჩიკაგოს მერი ენტონ სერმაკი, რომელიც მის ქალაქში ჩატარებულ პარტიულ ყრილობაზე რუზველტის საწინააღმდეგოდ გამოდიოდა და ახლა მასთან ურთიერთობის გამოსწორებას ცდილობდა.

...ფრანკლინი გამოსვლას უკვე ასრულებდა, როცა მასზე თავდასხმა მოხდა. იტალიური წარმოშობის მუშამ, ანარქისტმა ჯუზეპე ზანგარამ პრეზიდენტს ხუთ-

ჯერ ესროლა, მაგრამ ვერც ერთი ტყვია ვერ მოახვედრა, სამაგიეროდ სასიკვდილოდ დაჭრა ჩიკაგოს მერი, რომელმაც მხოლოდ ორი კვირა იცოცხლა. დანაშაულის ადგილზე დაკავებულმა ზანგარამ თავისი საქციელი ასე ახსნა: რომელიმე მეფისა თუ პრეზიდენტის მოკვლაზე ბავშვობიდან ვოცნებობდიო...

გამოძიების ვარაუდით, ის რომელიღაც ორგანიზებული ჯგუფის წევრი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამის დამამტკიცებელი სამხილები ვერ მოიპოვა. მკვლელს 80-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

რაც შეეხება პოტენციურ მსხვერპლს: ფრანკლინ რუზველტს შესაშური თავდაჭერილობა გამოუჩენია, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად არანაირი შეშფოთება არ შესტყობია და ინციდენტის შემდეგ, ჩვეული ტონით დაემშვიდობა შეკრებილთ. როგორც წლების შემდეგ რეიმონდ მოლი აღნიშნავდა, სიმშვიდე, რომელიც რუზველტმა თავდასხმის დროს გამოიჩინა, ჩემს მეხსიერებაში წარუშლელ მოგონებად დარჩაო.

„ჩვენი ქვეყანა მოითხოვს მოქმედებას, — თქვა პრეზიდენტმა საინაუგურაციო სიტყვით გამოსვლისას 1933 წლის 4 მარტს, — თანაც, გადაუდებელ მოქმედებას... ჩვენი დიადი ქვეყანა ამ განსაცდელს გადაიტანს, ისევე, როგორც წინათ გადაუტანია განსაცდელი, მძიმე მდგომარეობიდან გამოვა და აყვავდება... ერთადერთი, რისიც უნდა გვეშინოდეს, ეს თვით შიშია — აუხსნელი,

უსახური, გაუმართლებელი საშინელების გრძნობა, მომაკვდინებელი ყოველგვარი ძალისხმევისთვის, რომელიც საჭიროა უკუსვლიდან იერიშზე გადასასვლელად". ახალარჩეულმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ დაუყოვნებლივ მიმართავდა კონგრესს მისთვის საგანგებო უფლებების მინიჭების მოთხოვნით, რომლებიც აუცილებელი იყო ქვეყნის თავს დამტყდარი ათასგვარი უბედურების დასამარცხებლად. მილიონობით ამერიკელის იმედი თავისებურად გამოხატა უმსხვილესმა გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა", რომელმაც მეორე დღეს დაწერა: „მას, როგორც ჯადოქარს, ისე აღიქვამენ"...

ადმინისტრაციის პირველი თათბირი ინაუგურაციის დღესვე გაიმართა და საბანკო სისტემის გადასარჩენად საჭირო ზომების შემუშავებას დაეთმო. თუ რა მოიმოქმედა პრეზიდენტმა „საბანკო არდადეგების" დროს, ზემოთ უკვე მოგითხრობდით. „არდადეგების" შემდეგ, ე.ი. თეთრ სახლში შესვლიდან მეოთხე დღეს, მან პირველი პრესკონფერენცია გამართა და, წინამორბედებისგან განსხვავებით, ჟურნალისტებს არა საკონფერენციო დარბაზში, არამედ თავის სამუშაო — ოვალურ კაბინეტში შეხვდა, რომლის კარიც მანამდე პრესას არასდროს შეუღია; დიალოგიც სრულიად ახლებურად წარიმართა: თუ ყველა პრეზიდენტი, ჩვეულებრივ, კითხვების წინასწარ შეთანხმებას ითხოვდა, რუზველტმა თავისუფალი საუბრის ფორმა აირჩია და როცა კონკრეტული პასუ-

ხი არ ჰქონდა, არც იმას გაურბოდა, რომ ის მომავალი შეხვედრისთვის გადაედო. ოვალურ კაბინეტში ასამდე ჟურნალისტს მოეყარა თავი, რომელთა უმრავლესობამაც პირველი პრესკონფერენცია პრეზიდენტით მოხიბლულმა დატოვა.

ზემოთ ნახსენები პირველი „საუბარი ბუხართან“ ინაუგურაციიდან ერთ კვირაში შედგა. ცოტა ხნის შემდეგ გამომზეურდა საბანკო სფეროში უახლოეს წარსულში ჩადენილი ბოროტმოქმედებების, ფასიანი ქაღალდებით მანიპულირების, გადასახადების გადახდის თავიდან არიდების, სახელმწიფო მოხელეთა კორუფციული გარიგებების ფაქტები, რითაც ახალმა მმართველმა მსგავს მოვლენებთან შეუპოვარი ბრძოლის ნება გამოავლინა.

როცა ხალხმა ბანკებიდან დანაზოგების გამოტანის ნაცვლად, იქ ფულის შეტანა დაიწყო, ამის აღსანიშნავად, რუზველტმა ამერიკელებს „ლუდის დაბრუნების“ ამბავი ამცნო, რაც „მშრალი კანონის“ გასაუქმებლად გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო.

„ბუხართან“ 12 მარტს გამართულ პირველ საუბარს 7 მაისს მეორე მოჰყვა, რომლის თემად პრეზიდენტმა „პირველი პროგრამები და პირველი რეფორმები“ განსაზღვრა.

„ერთ კვირა საღამოს, — დაიწყო მან, — თანამდებობაზე მუშაობის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ, მე

გამოვიყენე რადიო, რათა თქვენთვის მომეთხრო საბანკო კრიზისისა და იმ ზომების შესახებ, რომლებსაც მის დასაძლევად მივმართავდით. შევეცადე ამეხსნა ქვეყნის მოქალაქეთათვის ზოგიერთი ფაქტი, რომელიც შეიძლებოდა, არასწორად გაგეგოთ, და საერთოდ, დაგხმარებოდით იმის აღქმაში, თუ რა ხდებოდა. დარწმუნებული ვარ, ამან ხელი შეუწყო ნდობის აღდგენას. ახლა, რვა კვირის შემდეგ, კვლავ გამოვდივარ თქვენ წინაშე, რათა ანგარიში ჩაგაბაროთ — იმავე გზითა და იმავე საშუალებით გიამბოთ, რა მოვიმოქმედეთ და რას ვაპირებთ მომავალში".

აი, ძირითადი ჩამონათვალი იმ ზომებისა, რომელიც ახალმა ადმინისტრაციამ კონგრესის მხარდაჭერით მოკლე ხანში მიიღო და რომლის შესახებაც რუზველტი ხალხს რადიოეთერში ვრცლად, გასაგები ენით ესაუბრა:

საბანკო რეფორმის ფარგლებში, აიკრძალა ქვეყნიდან ოქროსა და ვერცხლის გატანა; ფედერალური ფინანსები და სახელმწიფო სესხები ოქროსა და ვერცხლის რეზერვებით გამყარდა; განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ ბიუჯეტის დასაბალანსებლად 500 მილიონი დოლარით შემცირდა სახელმწიფო აპარატის შესანახად ადრე განსაზღვრული თანხა, ასევე შემცირდა შეიარაღებაზე გამოყოფილი სახსრები. კანონი ამის შესახებ 20 მარტს გამოიცა, ხოლო ორი დღის შემდეგ გაუქმდა „მშრალი კანონი", რომლის გამოც უზარმაზარი თანხები, სახელმწი-

ფო ბიუჯეტის ნაცვლად, ორგანიზებული დანაშაულის დაჯგუფებათა ყულაბაში ხვდებოდა.

მთავრობამ საგანგებო ზომები მიიღო უმუშევრობის დასაძლევად. იმავე მარტში, ბუნებრივი რესურსების დაცვის მიზნით, საგანგებო სამუშაოების კანონის საფუძველზე, ორი სახელმწიფო უწყება — ბუნებრივი რესურსების დაცვის სამოქალაქო კორპუსი და სამოქალაქო სამუშაოების ადმინისტრაცია — შეიქმნა. საწყის ეტაპზე, გარემოს კეთილმოსაწყობ სამუშაოებზე 250 ათასამდე 17-დან 23 წლამდე ასაკის ახალგაზრდა დასაქმდა. ისინი კვირაში 5 დღეს (40 საათს) მუშაობდნენ, თვეში 30 დოლარს იღებდნენ (იმ დროისთვის საკმაოდ მყიდველობითუნარიანი თანხა), აქედან 25 დოლარი მათ ოჯახებს ეგზავნებოდა, 5 დოლარი „ჯიბის ფულად“ რჩებოდათ. ახალგაზრდები ტყის გაშენებით, წყალსაცავების აგებით, მიტოვებული მიწების დამუშავებით იყვნენ დაკავებული. ცოტა ხანში ამ მართლაც არმიას რუზველტის „ტყის არმია“ შეარქვეს.

როგორც პრეზიდენტმა მოქალაქეებს მოახსენა, უახლოეს მომავალში დაგეგმილი ჰქონდა კანონთა პაკეტის შემუშავება, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკას თავიდან ააცილებდა ჭარბი წარმოებით გამოწვეულ კატასტროფას და საგანგებო სიტუაციებში მთავრობას განსაკუთრებულ უფლებამოსილებას მიანიჭებდა.

თავი XIX

ასი დღე

პირველი ასი დღის განმავლობაში რუზველტის ადმინისტრაციამ კონგრესში განსახილველად ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს რეფორმირების 15 ფუნდამენტური კანონი შეიტანა. პრეზიდენტის მოწინააღმდეგეები კვლავ აქტიურად ალაპარაკდნენ ან სტალინის, ან ჰიტლერის გზაზე დამდგარ რუზველტზე, რომელსაც ქვეყანა მარქსისტული თუ ნაციონალ-სოციალისტური გეზით მიჰყავდა, მაშინ, როდესაც რუზველტსა და მისი „გონებრივი ტრესტის" წევრებს ვერც კი წარმოედგინათ ამერიკა ტრადიციული კაპიტალიზმის გარეშე, სადაც წარმატებით უნდა ემოქმედათ როგორც მსხვილი, ისე საშუალო და წვრილი ბიზნესის სუბიექტებს.

ბრალდებების მიუხედავად, კონგრესმა ირწმუნა მისი რეფორმების სიკეთე და სწრაფადაც ამტკიცებდა შემოტანილ პროექტებს. ზემოთ დასახელებული ახალი სახელმწიფო ორგანოების შემდეგ, მაისში ჩამოყალიბდა საზოგადოებრივ სამუშაოთა კიდევ ერთი ახალი კორპორაცია — მდინარე ტენესის აუზის ადმინისტრაცია, რომელიც მიტოვებულ-გაპარტახებული ტერიტორიის გაცოცხლებას ისახავდა მიზნად. ეს რეგიონი, რომელიც

მდინარე ტენესისთან ერთად, 7 შტატს მოიცავს, 20-იანი და 30-იანი წლების მიჯნაზე მუდმივი უბედურების ზონად იყო ქცეული: ლამის გამუდმებით ხდებოდა წყალდიდობა, რომელიც ისედაც გაღატაკებულ მოსახლეობას ახალ-ახალ დარტყმებს აყენებდა. ტენესის აუზში თითქმის მილიონი ოჯახი ცხოვრობდა. მოსახლეობის მესამედი მალარიით იყო დასნეულებული, ფერმების 97 პროცენტს არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია.

ახალშექმნილმა კორპორაციამ ნაპირდამცავი კაშხლებისა და მცირე ელექტროსადგურების მშენებლონა დაიწყო. სამელიორაციო და ჰიდროტექნიკური სამუშაოების შედეგად, ადგილობრივ ფერმერთა მდგომარეობას გაუმჯობესება დაეტყო, სარწყავი სისტემებითა და სასუქებით სავარგულების უზრუნველყოფამ, ტყის მასივების აღდგენამ ვეებერთელა რეგიონს შვება მოჰგვარა, მალარიამაც უკან დაიხია...

რუზველტმა ხელი აღმართა 1920 წელს ამოქმედებულ კონსტიტუციის მე-18 შესწორებაზე, რომელიც ნებისმიერი სახეობის ალკოჰოლიანი სასმელების წარმოებას, გაყიდვას, ექსპორტს, იმპორტსა და გადაზიდვას კრძალავდა და ხალხში „მშრალი კანონის“ სახელით იყო ცნობილი. სხვა ინფორმაციის წყაროდანაც რომ არა, მხატვრული თუ დოკუმენტური ფილმებიდან მაინც ვიცით, თუ რაოდენ ფართო მასშტაბი ჰქონდა მი-

ღებული 20-იანი წლების ამერიკაში ე.წ. ბუტლეგერობას — სპირტიანი სასმელებით უკანონო ვაჭრობის, მაფიას რომ ასაზრდოებდა, უფრო მეტიც — ფაქტობრივად, მისი აღმოცენების ერთ-ერთ ძირითად წყაროდაც იქცა. ამ მასშტაბის წარმოსადგენად საკმარისია მთელ მსოფლიოში ცნობილი ალ კაპონეს გახსენება, რომელიც წლების განმავლობაში მართლმსაჯულებისგან თავის დაძვრენას ახერხებდა.

მიზანი, რისთვისაც ეს კანონი მიიღეს, მიუღწეველი აღმოჩნდა, აი, მაფიის შემოსავლებმა კი, 30-იანი წლების დასაწყისისთვის, ასტრონომიულ ციფრს — წელიწადში 2 მილიარდ დოლარს მიაღწია, რომლის ნაწილი დანაშაულებრივი სინდიკატების გაფართოება-მომძლავრებას, ნაწილი კი ფედერალური თუ ადგილობრივი სახელმწიფო მოხელეების მოსყიდვას ხმარდებოდა.

ფრაკლინ რუზველტის გადაწყვეტილებით, ეს თანხები სახელმწიფო ბიუჯეტს უნდა დაჰბრუნებოდა და ქვეყნის ფეხზე დასაყენებლად შემუშავებული პროგრამების უზრუნველყოფას მოხმარებოდა. პრეზიდენტის მიერ მაისში შეტანილმა კანონპროექტმა კონგრესის მხარდაჭერა მიიღო და ახალი, 21-ე საკონსტიტუციო შესწორების რატიფიცირების შემდეგ, დეკემბრის დასაწყისში ამოქმედდა.

„ახალი კურსის“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაციონალური მრეწველობის აღორძინების კანო-

ნი იყო, რომელიც 1933 წლის ივნისში იქნა მიღებული და აღორძინების ადმინისტრაციის შექმნას ითვალისწინებდა. ამ კანონით დადგინდა შრომის ნორმები, რომლებიც მნიშვნელოვნად აუმჯობესებდა მშრომელი ადამიანის მდგომარეობას, კერძოდ: 44-საათიანი სამუშაო კვირა 12-დან 15 დოლარამდე ხელფასის მქონე მოსამსახურეებისთვის, 35-საათიანი სამუშაო კვირა მრეწველობის დარგების მუშებისთვის, რომელთა მინიმალური ხელფასი საათში 30-დან 40 ცენტამდე განისაზღვრა.

დაბოლოს, ასევე პრეზიდენტობის პირველ ას დღეში რუზველტმა შექმნა გუბერნატორობისას ნიუ-იორკის შტატში დაარსებული ორგანოს მსგავსი უწყება — საგანგებო დახმარების ფედერალური ადმინისტრაცია, რომლის დანიშნულება უპოვარ მოქალაქეთა სამუშაოთი უზრუნველყოფა და ამასთანავე, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება გახლდათ, რომელიც მოგვიანებით ზემოთ ნახსენებ სამოქალაქო სამუშაოების ადმინისტრაციად გარდაიქმნა.

პირველ ას დღეზე ცოტათი უფრო შორს თუ გავიხედავთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ წლის დამლევს წიგნში — „წინ მიმართული მზერა“, პრეზიდენტმა „ახალი კურსის“ პირველი შედეგები შეაფასა და აღნიშნა: „ჩემთვის განსაკუთრებით ღირებულია, რომ ამ საშინელი სიღატა-

კის დღეებში ჩვენი მილიონობით ადამიანი, რომელმაც უდიდესი გასაჭირი გადაიტანა, მაინც იმედით სულდგმულობდა“.

წიგნი უმალ ბესტსელერად იქცა, ცოტა ხანში მისი მეორე ტირაჟი გამოვიდა, მერე კი დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და გერმანიაშიც გამოიცა, სადაც ხელისუფლების სათავეში ახალმოსულ ჰიტლერს ყოვლისმომცველი დიქტატურა ჯერ კიდევ არ ჩამოეყალიბებინა.

თავი XX

იმედისმომცემი ცვლილებები და გადარჩენილი ხელოვანები

ბუნებრივია, ამხელა ქვეყნის ფეხზე დაყენება არათუ რამდენიმე თვეში, არამედ რამდენიმე წელიწადშიც შეუძლებელი იყო, მაგრამ პირველმა პატარა ყლორტებმა ხალხს მომავლის იმედი ჩაუსახა და ეს იმედი არ გასცრუებია. თუმცა ციფრების სიუხვე მკითხველისთვის ყოველთვის დამღლელია, ამჯერად იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც ისინი ყველაზე უკეთ გადმოსცემს განვითარების ტემპსა და მასშტაბებს, ამიტომ რუზველტის ადმინისტრაციის მიერ ხუთწლეულის (ანუ მისი მმართველობის მეორე ვადის ნახევრამდე) განმავლობაში მიღწეულ შედეგებს გაგაცნობთ.

ზემოთ ჩამოთვლილი ახალი უწყებების საქმიანობის შედეგად, რუზველტის გაპრეზიდენტებიდან 1938 წლამდე პერიოდში აშშ-ში შეიქმნა 8 მილიონზე მეტი სამუშაო ადგილი (რაც ნიშნავს, რომ დასაქმებულთა ოჯახის წევრებთან ერთად, 30 მილიონამდე ადამიანის ცხოვრების პირობები გაუმჯობესდა), აშენდა საზოგადოებრივი დანიშნულების 125 ათასი შენობა, 124 ათასი ხიდი, 2 500 საავადმყოფო, ათასამდე აეროდრომი, დაიგო მილიონ კილომეტრზე მეტი საავტომობილო გზა. ამ პერიოდში

დაიწყო უმსხვილესი და უმნიშვნელოვანესი ნაგებობების მშენებლობა, მათ შორის — ნიუ-იორკში, მდინარე ჰუძონის ქვეშ, ლინკოლნის სახელობის გვირაბისა, ტრაიბოროს ხიდების სისტემისა, რომლებიც მეგაპოლისის რამდენიმე უბანს (ბრონქსს, ქვინსსა და მანჰეტენს) ერთმანეთთან აკავშირებს, ქალაქის ერთ-ერთი გამორჩეული მერის, ლა გუარდიას სახელობის აეროპორტისა. ზემოთ ნახსენები „ტყის არმიის" რიგებში, რომელიც ტყეების გაშენებასა და სასოფლო ინფრასტრუქტურის მოწყობისას სხვადასხვაგვარ სამუშაოს ასრულებდა, 3 მილიონამდე ახალგაზრდა ქალ-ვაჟი ჩამდგარიყო.

საერთო ჯამში, სახელმწიფო პროგრამებით დაფინანსებული სამუშაოების შედეგად, ქვეყანას 400 ათასამდე ობიექტი (!) შეემატა, თანაც, იქ დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება თითქმის უტოლდებოდა კერძო სექტორის მიერ დაქირავებული მუშა-მოსამსახურეების გასამრჯელოს.

ბუნებრივია, „ხანძრის ჩასაქრობად" შემოღებული სისტემა, რომელიც მოსახლეობის სიღატაკიდან გამოხსნას ემსახურებოდა, თავისუფალი მეწარმეობის სახელმწიფოში დაუსრულებლად ვერ იარსებებდა, თანაც ეკონომიკის მცირედი გაჯანსაღება იმის ნიადაგს ქმნიდა, რომ საზოგადოებრივი სამუშაოების პროგრამების თანდათან შეკვეცა, საბოლოოდ კი სრული გაუქმება მო-

ეხდინათ, რაც სავსებით შესაძლებელი გახდა 1938 წლის დამლევისთვის.

აქვე უნდა შევეხოთ პროგრამას, რომელიც არა საწარმოო, არამედ სულიერ სფეროსა და არამატერიალურ ფასეულობათა შემქმნელების ცხოვრებას ეხებოდა. მოსახლეობის უდიდესი ნაწილის — მშრომელი მასის გადასარჩენად გადაუდებელი ზომების მიღების შემდეგ, ფრანკლინ რუზველტს ბედის ანაბარა არც შემოქმედი ინტელიგენცია მიუტოვებია და მისი დახმარების შესაძლებლობაც გამონახა.

1935 წელს დაფუძნდა ფედერალური სამხატვრო პროექტი, რომელიც დაუსაქმებელ ხელოვანებს, უმეტესად მხატვრებს, მინიმალური ფულადი სახელმწიფო დახმარებით უზრუნველყოფდა. დაიწყო ახალი მუსიკალური კოლექტივების ჩამოყალიბება, მხატვრებსა და არქიტექტორებს როგორც გამოყენებითი, ასევე დამოუკიდებელი ნაწარმოებების შესაქმნელად იწვევდნენ. საგანგებო ყურადღება კედლის მხატვრობას ექცეოდა. ფერწერულ ტილოებს, ქანდაკებებს, სხვადასხვაგვარ კომპოზიციას უგზავნიდნენ სახელმწიფო დაწესებულებებს, ბიბლიოთეკებს, საავადმყოფოებს, სკოლებს, სადაც ისინი დღემდე ანიჭებს იქ მიმსვლელთ ესთეტიკურ სიამოვნებას. საბოლოო ჯამში, 1935-დან 1943 წლამდე პერიოდში ამ გზით შექმნილ ნაწარმოებთა რაოდენობამ

200 ათასს მიაღწია, ბევრი შემოქმედი სიღატაკისგან იხსნა და ქვეყანას უამრავი ნაწარმოები შემატა.

პროგრამის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა საფუძლიანი კვლევა — „ამერიკული მატერიალური კულტურის ინდექსი", რომელშიც ათასზე მეტი ხელოვანი და ხელოვნებათმცოდნე მონაწილეობდა. მათ მთელი ქვეყნის მასშტაბით შეაგროვეს არტეფაქტები, რომლებიც ხალხური შემოქმედების ნიმუშების სტატუსს იმსახურებდა. შედეგად, ვაშინგტონში საგანგებოდ გამოყოფილ დარბაზში მოეწყო დიდი გამოფენა, რომელსაც ხელოვნების დარგებისა და რეგიონების მიხედვით მომზადებული ილუსტრირებული სამეცნიერო მრავალტომეულის გამოცემის დაწყება მოჰყვა.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო იმავე 1935 წელს ამოქმედებული ფედერალური სამწერლო პროექტი, რომელიც ცნობილი ჟურნალისტის, ჰენრი ოლსბერგის თავკაცობით, ცალკეული შტატების შესახებ მხარეთმცოდნეობითი, პუბლიცისტური, ეთნოგრაფიული ნაშრომების შექმნას ისახავდა მიზნად. პროექტში მონაწილე მწერლების, პუბლიცისტების, კრიტიკოსების, არქეოლოგების, კარტოგრაფებისა და სხვა პროფესიების წარმომადგენელთა რაოდენობამ 6,5 ათასს მიაღწია. ამავე პროექტის ფარგლებში, მანამდე უმუშევრად დარჩენილმა ისტორიკოსებმა მოამზადეს ასევე მრავალტომეული დოკუმენტური გამოცემა, რომელშიც ქვეყნის ისტორიის

ამსახველ სხვა მასალებთან ერთად, მონობაგამოვლილი ადამიანების 2 300 ამბავი შევიდა.

1935 წლის აპრილში პრეზიდენტმა რუზველტმა ხელი მოაწერა მსოფლიოს ისტორიაში პირველ საერთაშორისო ხელშეკრულებას მხატვრული და სამეცნიერო დაწესებულებებისა და ისტორიულ ფასეულობათა დაცვის შესახებ (ე.წ. ვაშინგტონის პაქტს), რომელიც სამხედრო აუცილებლობასთან შედარებით, კულტურულ ფასეულობათა უპირატესობას ამკვიდრებდა. დოკუმენტში, რომელსაც ამერიკის კონტინენტის 21 სახელმწიფო შეუერთდა, პირველსავე ორ მუხლში იყო გაცხადებული უმთავრესი მიზანი:

„ისტორიული ძეგლები, მუზეუმები, სამეცნიერო, სამხატვრო, საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებები მიიჩნევა ნეიტრალურ ნაგებობებად და ამდენად, ომის მონაწილე მხარეების პატივისცემითა და დაცვით სარგებლობს. ასეთივე პატივისცემითა და დაცვით არიან უზრუნველყოფილნი დასახელებული დაწესებულებების თანამშრომლები. ასეთივე პატივისცემა და დაცვის აუცილებლობა ვრცელდება ისტორიულ დაწესებულებებზე, მუზეუმებზე, სამეცნიერო, სამხატვრო, საგანმანათლებლო და კულტურულ დაწესებულებებზე როგორც ომის დროს, ასევე მშვიდობიანობისას... ნეიტრალიტეტი, დაცვა და პატივისცემა, რომლითაც უნდა იყოს უზრუნველყოფილი წინა მუხლში დასახელებული

ძეგლები და დაწესებულებები, აღიარებულია ქვემორე ხელის მომწერი და შემოერთებული ყველა სახელმწიფოს ტერიტორიაზე როგორც მათი სუვერენიტეტის ობიექტები, განურჩევლად იმისა, თუ რომელ სახელმწიფოს ეკუთვნის დასახელებული ძეგლები და დაწესებულებები. შესაბამისი მთავრობები თანხმდებიან საკუთარი საშინაო კანონმდებლობის შექმნას, რომელიც ამგვარი დაცვისა და პატივისცემის გარანტიის შესაქმნელად საჭირო ზომების მიღებას ითვალისწინებს".

ბუნებრივია, პრეზიდენტის პოპულარობა არათუ არ იკლებდა, არამედ იზრდებოდა კიდეც. ცნობილი ჟურნალისტი ქალი და ელინორის მეგობარი ლორენა ჰიკოკი, რომელმაც მისი თხოვნით, რუზველტის საპრეზიდენტო კამპანიის დროს უამრავი შტატი მოიარა მოსახლეობის მდგომარეობისა და განწყობის გამოსაკვლევად, უკვე ფრანკლინის მმართველობის პირველსავე ხანებში მეშახტეთა ერთ-ერთი პატარა ქალაქიდან პრეზიდენტის უახლოეს მრჩეველ ჰარი ჰოპკინსს სწერდა: „ძალზე საინტერესოა, რომ ყველა აქაურს, როგორც ჩანს, მიაჩნია, რომ პირადად იცნობს პრეზიდენტ რუზველტს! ვფიქრობ, ეს ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ მას რადიოთი უსმენდნენ, როცა გამოსვლისას ესოდენ მეგობრული, სანდომიანი ტონით ელაპარაკებოდა. წარმოიდგინეთ — ადამიანებს მიაჩნიათ, რომ ის თითოეულ მათგანს პირადად ელაპარაკებოდა... პრეზიდენტისა და ქალბატონი

რუზველტის პოპულარობა საოცრად გაზრდილია. ბევრ ადამიანს, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთარ კეთილისმყოფელს მიწათმოქმედსა თუ მეწარმეში ხედავდა, ახლა მზერა პრეზიდენტსა და ქალბატონ რუზველტზე გადაეაქვს. მათ სწამთ, რომ ეს ადამიანები მზრუნველობასა და წყალობას არ მოაკლებენ".

მიუხედავად ამისა, მემარჯვენე პოლიტიკოსები, ბიზნესმენების ნაწილი, კონსერვატორული პრესა კვლავაც თავს ესხმოდნენ პრეზიდენტს ამერიკული ეკონომიკისთვის უცხო ზომების მიღების გამო, ბრალს სდებდნენ ტრადიციული ამერიკული ფასეულობების ხელყოფაში, სოციალისტურ ორიენტაციაში, წარმოიდგინეთ, კრემლის აგენტობაშიც კი. ზეწოლა მით უფრო ძლიერდებოდა, რაც მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდებოდა. საზოგადოების ეს ნაწილი მზად იყო, ყველაფერი ეღონა, რომ რუზველტის მეორე ვადით არჩევა არ დაეშვა.

ამ ნაწილის შეხედულებებისა და ინტერესების გამომხატველი მესამე ხელისუფლების უმთავრესი ორგანო — აშშ-ის უზენაესი სასამართლო (რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციებსაც ასრულებს) გახლდათ, რომლის სამუდამო წევრები უმრავლესად, სწორედაც რომ კონსერვატორული წრეების წარმომადგენლები იყვნენ და თუ რუზველტის პრეზიდენტობის დასაწყისში მის მოღვაწეობას შედარებით პასიუ-

რად ადევნებდნენ თვალს, მოგვიანებით, როცა ქვეყანა უფსკრულის პირს ცოტათი მოშორდა და ვითარებას მცირედი გამოკეთება დაეტყო, თავი წამოყვეს და სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში სახელმწიფოს ჩარევის ყოველგვარ მცდელობას ეწინააღმდეგებოდნენ. საკმარისია ითქვას, რომ ერთ წელზე ცოტათი მეტი ხნის განმავლობაში უზენაესმა სასამართლომ პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი 11 საკანონმდებლო აქტი გააუქმა.

ამ პირობებში ებმებოდა ფრანკლინ რუზველტი ახალ წინასაარჩევნო მარათონში, რომლისთვისაც მის წინააღმდეგ საბრძოლველად გავლენიანი ძალები ემზადებოდნენ.

თავი XXI

მეორე საარჩევნო მარათონი

ფრანკლინ რუზველტი მეორე საპრეზიდენტო არჩევნებამდე ხელშესახები შედეგებით მივიდა. რამდენიმე ციფრის გარეშე ამჯერადაც სურათს სრულად ვერ დავინახავთ. აი, ეს მონაცემები: 1934 წელს ერთიანი ეროვნული პროდუქტი, წინა წელთან შედარებით, მეოთხედით გაიზარდა; ბოლო ხუთწლედის განმავლობაში პირველად დაიწყო უმუშევრობის შემცირება ნიშანდობლივი დინამიკით — 21,7%-მდე — 1934 წელს, 20,1%-მდე — 1935-ში, 16,9%-მდე — 1936-ში, 14,3-მდე — 1937-ში. ცხადია, გარკვეულ გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე სამეურნეო ცხოვრების ბუნებრივი ფაქტორებიც ახდენდა, მაგალითად, ციკლურობის კანონზომიერება, რომლის შესაბამისადაც, დიდ დაცემას გარკვეული აღორძინება მოსდევს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მთავრობის დიდი ძალისხმევის შემყურე ხალხი სასიკეთო ძვრებს ძირითადად რუზველტის პოლიტიკას უკავშირებდა. შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიას ის საკმაო უპირატესობით იწყებდა.

იოლი მისახვედრია, რომ დემოკრატიულ პარტიაში მას რეალური კონკურენტი არ ჰყავდა. რუზველტი, ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად კვლავ წამოყენებულ ჯონ გარნერთან ერთად, პარტიის ყრილობამ ერთსუ-

ლოვნად დაამტკიცა. ყრილობაზე უსიამოვნო ინციდენტი მოხდა. დილით წვიმდა, მაგრამ სტადიონზე მაინც უამრავმა მოქალაქემ მოიყარა თავი. სიტყვით გამოსასვლელად ტრიბუნისკენ მიმავალი რუზველტი წაბორძიკდა და ნაიქცა. გამოსვლის ტექსტის ფურცლები, რომლებიც ხელში ეჭირა, ირგვლივ მიმოიფანტა, ამიტომ ნაწილობრივ ზეპირად ლაპარაკი მოუხდა. საბოლოოდ კი ეს ინციდენტიც მისთვის სასიკეთოდ შემობრუნდა: ყრილობის დელეგატები ისედაც მის მხარეს იყვნენ, ხოლო უბრალო ამერიკელების თვალში პრეზიდენტი კიდევ ერთხელ გამოჩნდა როგორც ვაჟკაცი, რომელიც ურთულეს სიტუაციებსაც მუდამ იოლად ართმევს თავს.

წინ რესპუბლიკური პარტიის კანდიდატთან, კანზასის შტატის გუბერნატორ ალფრედ ლენდონთან შერკინება იყო, რომელმაც ვიცე-პრეზიდენტობის კანდადატად პოლკოვნიკი და გაზეთ „ჩიკაგო დეილი ნიუსის“ გამომცემელი ფრანკლინ ნოკსი აირჩია. მათ იმთავითვე თავდაცვითი პოზიციიდან მოქმედება უწევდათ, რადგან, „ახალი კურსის“ ძაგების მიუხედავად, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ფაქტობრივად, იმავე პროგრამის ძირითად დებულებებს იმეორებდნენ, სახელდობრ: შრომით ურთიერთობებში რეფორმების განხორციელების, სოციალური უზრუნველყოფის, ფერმერებისთვის დახმარების აუცილებლობას ქადაგებდნენ.

სამაგიეროდ, გავლენიანი ძალების მხარდაჭერით სარგებლობდნენ. „რესპუბლიკელი“ კანდიდატების გარშემო ყველა მემარჯვენე მიმართულების, მაშასადამე, მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები გაერთიანდნენ. საკმარისია ითქვას, რომ მათი წყალობით, ლენდონის საარჩევნო კამპანიისთვის მოქმედი პრეზიდენტისაზე ორჯერ მეტი დაფინანსება შეგროვდა — 9 მილიონ დოლარამდე 4,5-ის წინააღმდეგ. „დემოკრატების“ ყულაბა გაცილებით ნაკლები იქნებოდა, ფინანსური მაგნატი ჯოზეფ კენედი რომ არა: მომავალი პრეზიდენტის, ჯონ კენედის მამა ჯერ კიდევ კამპანიის დაწყებამდე ამოუდგა მხარში რუზველტს და საგანგებოდ ამ მიზნით პატარა წიგნიც კი გამოსცა, სათაურით — „მე რუზველტის მხარეს ვარ!“ ბუნებრივია, ამ მხარდაჭერამ, ფულთან ერთად, პრეზიდენტს მსხვილ ბიზნესმენთა ნაწილის ხმებიც მოუტანა.

მოახლოებული კენჭისყრის წინა დღეებში პრეზიდენტმა ბიზნესმენს მოკლე ბარათით გადაუხადა მადლობა: „მე კენედის მხარეს ვარ!.. განსაცვიფრებელი წიგნია — მასში გადმოცემულია მართალი სურათი იმისა, რაც ქვეყანაში ხდება. აღფრთოვანებული ვარ!“ ეს ბარათი ადრესატმა ჩარჩოში ჩასვა და თავის სახლში გამოსაჩენ ადგილას გამოფინა. სიტყვიერ მადლობას კი ცოტა ხანში მადლიერების უფრო თვალსაჩინო გამოხატულება მოჰყვა — მეორე ვადით არჩევის შემდეგ პრეზიდენტმა

ჯოზეფ კენედი ლონდონში აშშ-ის ელჩად გაამწესა და კარგა ხანსაც იტანდა ადმინისტრაციის კურსისთვის მის შეუფერებელ პოზიციას ფაშისტურ გერმანიასა და საერთოდ, ომის პირას მისულ ევროპაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

როგორც ჯოზეფ კენედიმ გააკეთა თავისი „თანამოძმეების“ — მსხილი კაპიტალის წარმომადგენელთა საპირისპირო არჩევანი, ასევე მოიქცა „დემოკრატი“ ელ სმითი, რომელმაც, თავის მომხრეებთან ერთად, არჩევნებში „რესპუბლიკელთა“ კანდიდატს დაუჭირა მხარი. ის „ახალი კურსის“ სოციალისტურ მიმართულებაზე ამახვილებდა ყურადღებას და ამერიკელებს აფრთხილებდა, რომ რუზველტის მმართველობა საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის ტრადიციებს.

საინტერესო და უთუოდ აღსანიშნავია 1936 წლის კამპანიის თავისებურებები, რომლებიც აშკარად სიახლეს წარმოადგენდა და მომავალში მყარი ადგილი დაიმკვიდრა ამერიკულ, შემდგომ კი მთელი მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ერთ-ერთია ფასიანი სადილების პრაქტიკა, რომელიც სწორედ მაშინ შემოიღო დემოკრატიულმა პარტიამ და, სახსრების დაგროვებასთან ერთად, მსხვილ კაპიტალთან ურთიერთობის გამყარებას უწყობდა ხელს, რადგან თავისი არსით საქველმოქმედო იყო, ამიტომ მასზე მიწვეულები ყველაფრისთვის რეალურ ფასებზე სულ ცოტა, ათჯერ მეტს იხდიდნენ.

სწორედ ამ არჩევნების დროს მოეწყო დღეს ყველასთვის ჩვეული მასშტაბური გამოკითხვა, რომელიც საზოგადოებრივი აზრის კვლევასა და არჩევნების შედეგების პროგნოზირებას ისახავდა მიზნად. ამ იდეის ხორცშესხმა ცოტა ხნით ადრეც სცადეს, მაგრამ გამოკითხვა ხალხის ნდობით არ სარგებლობდა, რადგან რეალური სურათის შექმნას ვერ ახერხებდა. სწორედ ეს ბედი ეწია 1936 წლის არჩევნების დროს ჟურნალ „ლიტერარი დაიჯესტის“ გამოკითხვას, რომელმაც ამომრჩევლებს 10 მილიონი ბარათი დაუგზავნა და შედეგად, ლენდონის გამარჯვება იწინასწარმეტყველა. შეცდომა სავსებით გასაგები მიზეზით მოხდა: ჟურნალს, თურმე, გამოკითხულთა კატეგორიად ავტომანქანების მფლობელები აურჩევია, მაშინ კი ამერიკაში უბრალო მშრომელი ხალხისთვის მანქანა ჯერ კიდევ დიდი ფუფუნება იყო...

რეალური სურათი კი წინა წელს ჩამოყალიბებული და დღეს ასევე საყოველთაოდ ცნობილი გელაპის ინსტიტუტის გამოკვლევამ უჩვენა. საზოგადოებრივი აზრის ამერიკული ინსტიტუტი, რომელიც ჟურნალისტმა ჯონ გელაპმა პრინსტონში დააარსა, ვითარების დასადგენად სულაც არ მისდევდა დიდი აუდიტორიის გამოკითხვას — საქმის არსი მის მიერ შერჩეულ მეთოდში გახლდათ: მთავარი აქცენტი კეთდებოდა რესპონდენტების შერჩევაზე, რომელიც შეხედულებათა რაც შეიძლება ფართო სპექტრს მოიცავდა. საპრეზიდენტო არჩევნებთან და-

კავშირებით ჩატარებულმა პირველივე გამოკითხვამ ამ მეთოდის უტყუარობა დაადასტურა: დემოკრატიული პარტიის კანდიდატი მნიშვნელოვანი უპირატესობით ლიდერობდა.

დადგა კენჭისყრის დღე — 3 ნოემბერი, რომელმაც ეს პროგნოზი დაადასტურა. უფრო მეტიც — გამარჯვებას, რომელსაც ფრანკლინ რუზველტმა მიაღწია, ამერიკის ისტორიაში ანალოგი არ ჰქონია: მან ხმათა უმრავლესობა 48-დან 46 შტატში მიიღო (დარჩენილი ორი — მენი და ვერმონტი — ტრადიციულად, „რესპუბლიკელების“ მხარეს იყვნენ), ხოლო ხმოსანთა კენჭისყრისას, 531 ხმიდან მხოლოდ 8 დაკარგა. ამ არჩევნებში კიდევ ერთი უპრეცედენტო ფაქტი გამოვლინდა: დამოუკიდებელი წყაროების გამოკვლევების თანახმად, „დემოკრატ“ კანდიდატს 5 მილიონზე მეტმა „რესპუბლიკელმა“ მისცა ხმა. დაფიქსირდა, ასევე, ამომრჩეველთა უჩვეულო აქტივობა — კენჭისყრაში ბევრი ისეთი ამომრჩეველი მონაწილეობდა, ვინც მანამდე უბნებზე არასდროს მისულა, ასაკობრივ ცენზს მიღწეულ ახალგაზრდა ამომრჩეველთა რაოდენობაც წინა წლებთან შედარებით გაცილებით გაზრდილიყო.

თავი XXII

„ჩემ თვალწინაა მილიონობით ადამიანი...“

ეს სიტყვები — „ჩემ თვალწინაა მილიონობით ადამიანი“ — რუზველტმა რამდენჯერმე გაიმეორა თავის საინაუგურაციო გამოსვლაში: „ჩემ თვალწინაა მილიონობით ოჯახი, რომელსაც იმდენად მწირი სახსრები აქვს, რომ ყოველდღიურად ოჯახური კატასტროფის წინაშე დგას. ჩემ თვალწინაა მილიონობით ადამიანი, რომლის დღევანდელი ყოფა-ცხოვრება, ქალაქში თუ სოფლად, ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ ვერ მიიჩნეოდა ღირსეულად. ჩემ თვალწინაა მილიონობით ადამიანი, რომელსაც არა აქვს განათლების მიღების შესაძლებლობა, ვინც მოკლებულია დასვენებას და გადაწურული აქვს საკუთარი შვილებისთვის უკეთესი ხვედრის იმედი. ჩემ თვალწინაა მილიონობით ადამიანი, რომელიც ვერ იყენებს სხვა მილიონების მიერ ფერმებსა თუ ფაბრიკებში წარმოებულ პროდუქტს. მე ვხედავ, რომ ხალხის მესამედს ცუდი საცხოვრებელი, ცუდი ტანსაცმელი და საკვები აქვს. მხოლოდ ამ ყველაფრის სათანადოდ გააზრებით შეგვიძლია ამ ბოროტების დამარცხება“.

ეს სიტყვები კაპიტოლიუმის შენობიდან 1936 წლის 20 იანვარს გაისმა. ყველა გაგებით რეფორმატორმა რუზველტმა პირველი ვადის ამოწურვამდე ცოტა ხნით

ადრე, ახალარჩეული პრეზიდენტის უფლებამოსილებათა აღსრულების თარიღიც შეცვალა: გადაწყვიტა, რომ მართვის სადავეების ასაღებად, ოთხი თვის ნაცვლად, ორიც საკმარისი იქნებოდა.

მოსახლეობის უდიდესი მხარდაჭერის წყალობით, რომელმაც გაუგონარი უპირატესობით გამარჯვება მოუტანა, მან უფრო მტკიცედ იგრძნო თავი და ცოტა ხანში, ჯიბრში მდგომი უზენაესი სასამართლოს რეფორმირება სცადა. ძალთა ბალანსის მისთვის სასარგებლოდ შესაცვლელად, სასამართლოს შემადგენლობის გაზრდა (9-დან 15-მდე) დააპირა, ამასთანავე, პროექტის მიხედვით, მისი ახალი წევრები პრეზიდენტს უნდა დაენიშნა და შემდეგ სენატს დაემტკიცებინა. პოლიტოლოგთა აზრით, ამ წინადადების მიღების შემთხვევაში, უზენაესი სასამართლო რუზველტისთვის მორჩილ იარაღად გადაიქცეოდა, რასაც ამერიკული სისტემა შეეწინააღმდეგა — ასე ხომ ხელისუფლების შტოების ბალანსი დაირღვეოდა.

გარდა იმისა, რომ უზენაესი სასამართლოს 9 მუდმივი წევრიდან 5 განსაკუთრებული კონსერვატიზმით გამოირჩეოდა, იყო ერთი ყოფითი მიზეზი, რომელიც მოქმედი შემადგენლობის განახლებას უშლიდა ხელს. კანონის თანახმად, მოსამართლეებს, რომლებიც 70 წელს გადააბიჯებდნენ, შეეძლოთ, საკუთარი ნებით გადამდგარიყვნენ და ჯამაგირის ტოლი 20 ათასი დოლარის პენსია დაენიშნებოდათ. „ახალი კურსის“ ამოქმედე-

ბის დროიდან, ანუ 1933 წლიდან, საბიუჯეტო ხარჯების შემცირების შესახებ მიღებული კანონის შესაბამისად, ეს თანხა განახევრდა. ახლა, როცა კონგრესის უმეტესი ნაწილი პრეზიდენტის სასამართლო რეფორმას შეეწინააღმდეგა, პრეზიდენტმა ადრინდელი პენსიის აღდგენის საკითხი დასვა, ანუ, როგორც ზოგი ენამწარე პოლიტიკოსი თუ ჟურნალისტი იტყოდა, ჭარმაგი მოსამართლეების გადადგომის „ყიდვა“ განიზრახა. ეს იდეა რუზველტის გარემოცვას სასამართლოს ერთ-ერთმა ყველაზე შეუწყნარებელმა წევრმა, ჯეიმს მაკრეინოლდსმა უკარნახა, როდესაც შრომის მინისტრ პერკინსს პრივატული საუბრისას უთხრა, რომ ზოგი მოსამართლე გადადგომაზე უარს არ იტყოდა, თუკი სიცოცხლის ბოლომდე გასამრჯელოს ტოლი შემოსავლის მიღების გარანტია ექნებოდა.

როცა კანონმდებლებმა პრეზიდენტის პროექტი, ფაქტობრივად, უარყვეს (ყოველ შემთხვევაში, მისი განხილვა გაურკვეველი ხნით გადადეს), რუზველტმა ამ „სათადარიგო“ ხერხს მიმართა. მართლაც, მალე უზენაესი სასამართლოს ორმა წევრმა პოსტი დატოვა, ახალი წევრების შემომატებით მისი შემადგენლობა უფრო ლიბერალური გახდა და საკითხმაც სიმწვავე დაკარგა.

კვალი, რომელიც რუზველტის მიერ უზენაესი სასამართლოს დამორჩილების მცდელობამ დატოვა, ანეკდოტის სახითაც შემორჩა: იმ ქვეყნად წასულმა ფსიქი-

ატრმა დააპირა ღმერთის მკურნალობა, რომელიც განდიდების მანიით იყო შეპყრობილი და განაცხადა — თავი რუზველტად წარმოიდგინაო...

ახალი გამოცდის წინაშე პრეზიდენტი და მისი ადმინისტრაცია 1937 და 1938 წლების მიჯნაზე აღმოჩნდნენ, როცა ზრდის ნაცვლად, ეკონომიკას კვლავ კრიზისული მოვლენები დაეტყო. „დიდი დეპრესიის" მსგავსი მასშტაბის დაცემამდე საქმე არ მისულა, თუმცა ქვეყნისთვის მაინც საკმაოდ საზიანო იყო: საკმარისია ითქვას, რომ ამ პერიოდში უმუშევრობის დონე 11 მილიონ კაცამდე გაიზარდა.

1937 წლის შემოდგომაზე რუზველტმა დაიწყო თავისი პირველი „საინსპექციო" მოგზაურობა — ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მონახულება პრობლემების ადგილზე შესწავლის მიზნით, რომელმაც შემდგომ წლებში სისტემატური ხასიათი შეიძინა. იმ დროს არსებული უახლესი საკომუნიკაციო და საყოფაცხოვრებო ტექნიკით აღჭურვილი სპეციალური 10-ვაგონიანი მატარებლით პრეზიდენტმა და მისმა ამალამ ვაშინგტონიდან დასავლეთის სანაპირომდე მდებარე შტატები მოიარა, ბევრ ქალაქში ჩერდებოდა და შეკრებილი ხალხის წინაშე მოკლე სიტყვით გამოდიოდა.

1938 წელს აშშ-ში ამოქმედდა კანონი სამართლიანი შრომითი სტანდარტების შესახებ, რომლის მიხედვითაც დადგინდა მინიმალური საათობრივი შრომის ანაზღაუ-

რება — 40 ცენტი იმ საწარმოების მუშაკთათვის, რომელთა პროდუქციაც ერთზე მეტი შტატისთვის იყო განკუთვნილი; ასევე დაკანონდა 44-საათიანი სამუშაო კვირა (3 წლის შემდეგ, პირველად მსოფლიო მასშტაბით, 40-საათიანი სამუშაო კვირა დადგინდა); ამავე კანონით აიკრძალა საწარმოში 16 წლამდე ასაკის ბავშვის შრომის გამოყენება. ამ კანონის ამოქმედებით, ამერიკელი მუშების შრომის პირობები საგრძნობლად უფრო ცივილიზებული გახდა.

30-იანი წლების დამლევს, კვლავაც რთულ საშინაო პრობლემებთან ერთად, რუზველტის ადმინისტრაციას საერთაშორისო საქმეებისთვის და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს გაძლიერებისთვის უფრო და უფრო მეტი ყურადღების მიპყრობა უწევდა. ცხადია, პრეზიდენტს ეს საზრუნავი ამ დროს არ გასჩენია, გაცილებით ადრე — ჯერ კიდევ პირველი პრეზიდენტობისას ჰქონდა, როდესაც ხელისუფლების სათავეში მისი მოსვლის დროს, გერმანიაში ადოლფ ჰიტლერის მმართველობა დაიწყო. სულ რაღაც წელიწად-ნახევარში ფიურერმა ქვეყანაში დიქტატურა დაამყარა და გამალებული მილიტარიზაციით ყველას უჩვენებდა, რომ თუნდაც ევროპის მასშტაბით გაბატონებას ლამობდა.

თავი XXIII

შემაშფოთებელი სიო ევროპიდან და ინფორმატორი ელჩები

პრეზიდენტს ადგილიდან სანდო წყაროს მიერ მოწოდებული უტყუარი ინფორმაცია სჭირდებოდა, ამიტომ გერმანიაში ელჩად მისთვის კარგად ცნობილი ისტორიკოსი, პროფესორი უილიამ დოდი დანიშნა. მას მიეცა საგანგებო უფლება, სახელმწიფო დეპარტამენტის (ანუ საგარეო საქმეთა სამინისტროს) გვერდის ავლით, პირდაპირ პრეზიდენტისთვის მიეწოდებინა ხოლმე საჭირო ცნობები.

როგორც მოსალოდნელი იყო, დოდისგან მიღებული ინფორმაცია თავიდანვე შემაშფოთებელი იყო: გერმანია ომისთვის ემზადებოდა, ქვეყანაში ებრაელებისა და სხვაგვარად მოაზროვნეთა დევნა იყო გაჩაღებული... ელჩთან მიმოწერისა და საუბრების შედეგად რუზველტი ასკვნიდა, რომ ნაცისტური „ახალი წესრიგი“ არა მარტო გერმანიას ექაჩებოდა ბარბაროსობისკენ, არამედ მთელ მსოფლიო წესრიგს უქმნიდა საფრთხეს.

1933 წლის ივნისში პრეზიდენტმა კონგრესს 32 მსხვილი სამხედრო ხომალდის (120 ათასი ტონა ჯამური წყალწყვით) აგებისთვის საჭირო დაფინანსების მოთხოვნით მიმართა. ნიშანდობლივია, რომ ამ ხომალდებს შორის ავიამზიდებიც იყო გათვალისწინებული, მი-

უხედავდად იმისა, რომ მაშინ ქვეყანას სამხედრო ავიაცია პრაქტიკულად არ ჰქონდა, ამდენად, ნათელია, რომ უახლოესი მომავლისთვის პრეზიდენტი ძლიერი სამხედრო ფლოტის შექმნასაც გეგმავდა.

ამასთანავე, აშშ-ის მთავრობა ცდილობდა, ეაქტიურა განიარაღების საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც 1932-დან 1935 წლამდე ჟენევაში მუშაობდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ იქ რაიმე ხელშესახები შედეგის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა. ეს პესიმისტური პროგნოზი ჯერ კიდევ 1933 წლის სექტემბერში გამართლდა, როცა გერმანიამ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა და ერთა ლიგაც დატოვა.

მიუხედავად იმისა, რომ ფრანკლინ რუზველტს არც საბჭოთა კავშირში არსებული პოლიტიკური რეჟიმი ეხატებოდა გულზე, მან, პრაქტიკულად გაპრეზიდენტების პირველსავე დღეებიდან დაიწყო ამ ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებაზე ზრუნვა: რეალისტი პოლიტიკოსი მასში იაპონიისა და გერმანიის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში პოტენციურ მოკავშირეს ხედავდა.

1933 წლის ნოემბერში აშშ-მა, მოლაპარაკების გამართვის მიზნით, მიწვევა გაუგზავნა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ მაქსიმ ლიტვინოვს (ნამდვილი გვარ-სახელი — მეირ-ჰენოხ ვოლაჰ-ფილკენშტეინი). ვაშინგტონში ერთი კვირით ჩასული საბჭოთა მინისტრი, რომელიც სრულყოფილად ფლობდა ინგლისურ

ენას (1917 წლის რევოლუციამდე კარგა ხანს უცხოვრია ლონდონში და ინგლისელი ქალი ჰყავდა ცოლად), ამერიკის პრეზიდენტმა ორჯერ მიიღო, თან ერთი-ერთზე პირველივე შეხვედრისას სთხოვა, „შენობით“ ვილაპარაკოთო, რაც იმით ახსნა — ასე, „ცოტა წაჩხუბებაც“ უფრო გაგვიიოლდებაო... დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის (თუმცა არსებითად, ეს დამყარება უფრო იყო, რადგან აღდგენაში, ბოლშევიკურ გადატრიალებამდე მეფის რუსეთთან არსებული დიპლომატიური ურთიერთობები იგულისხმებოდა) შესახებაც შედარებით იოლად შეთანხმდნენ.

ცნობა ამის შესახებ ორივე ქვეყანაში ფართოდ გაშუქდა. საბჭოთა პრესაში პირველ გვერდებზე გამოქვეყნდა დადებითი შინაარსის წერილები, რომლებსაც სახელმწიფოს მეთაურებისა (რუზველტისა და კალინინის) და ახალდანიშნული ელჩების ფოტოსურათები ახლდა, დეკემბრის ბოლოს კი გამოქვეყნდა სტალინის ინტერვიუ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მოსკოველ კორესპონდენტთან, რომელშიც ბელადი ამერიკელ პრეზიდენტს აქებდა და მისთვის უჩვეულო ტერმინებსაც კი იყენებდა, მაგალითად: „ყველაფრით ჩანს, რომ რუზველტი გაბედული და ვაჟკაცი პოლიტიკოსია. არსებობს ფილოსოფიური სისტემა — სოლიფსიზმი, რომლის არსიც ისაა, რომ ადამიანს არ სწამს სამყაროს არსებობა და მხოლოდ საკუთარი „მეს“ არსებობა სჯერა. დიდი ხნის განმავლობაში საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ამერიკული მთავრობა ამ

სისტემას მისდევდა და საბჭოთა კავშირის არსებობა არ სჯეროდა. როგორც ჩანს, რუზველტი ამ უცნაური თეორიის მიმდევარი არ არის. ის რეალისტია და იცის, რომ სინამდვილე ისეთია, როგორადაც ის ხედავს".

ისევე, როგორც გერმანიის შემთხვევაში, რუზველტს საბჭოთა კავშირის შესახებაც სჭირდებოდა უტყუარი ინფორმაცია და გულდასმით არჩევდა ელჩს, განსაკუთრებით 30-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა დაძაბულობა ევროპაში დღითი დღე იზრდებოდა. 1936 წელს ამ როლისთვის შესაფერისად ადვოკატი ჯოზეფ დევისი მიიჩნია, რაც შეცდომა აღმოჩნდა: უპრინციპო და ანგარებიანი დევისი თავიდანვე შეეცადა დაახლოებოდა უმაღლესი რანგის საბჭოთა მოხელეებს, რეჟიმის მიერ მოწყობილ პოლიტიკურ სასამართლო პროცესებს ესწრებოდა და უდანაშაულო ადამიანების დასჯის გამართლებას ცდილობდა. 1937 წელს გაჩაღებული აღვირახსნილი ძალადობა, რომელსაც დღეს „დიდ ტერორად" მოიხსენიებენ, დევისის მოხსენებებში მართლმსაჯულების ჩვეულებრივ აღსრულებად ირაცხებოდა. ამასთან, ამერიკელი ელჩი ხელოვნების ნიმუშების კოლექციონერობით იყო გატაცებული, მოსკოვში ჩასვლის პირველი დღეებიდანვე საკომისიო მაღაზიებში დადიოდა და ტილოებსა და ძვირფას ნივთებს ყიდულობდა. საბჭოთა ხელმძღვანელობის რეაქციამაც არ დააყოვნა: დევისმა მოლოტოვისა და მისი მეუღლისგან სამუზეუმო ღირებულების მქონე არაერთი „საჩუქარი" მიიღო...

ყოველივე ამის შედეგად, ობიექტური ინფორმაციის ნაცვლად, რუზველტი დევისისგან იმის მტკიცებას იღებდა, რომ პროცესებზე, ხელისუფლების დამხობის მიზნით შექმნილი ჯგუფების წევრებს ასამართლებდნენ, არადა, როგორც გამოცდილ იურისტს, მას არ გაუჭირდებოდა იმის დანახვა, რომ გამოძიებას ბრალდებულების დანაშაულის არანაირი დამამტკიცებელი საბუთი არ ჰქონდა და ისინი, უბრალოდ, პოლიტიკური რეჟიმის მსხვერპლი იყვნენ. დევისი არც სტალინის მიმართ ხოტბა-დიდებას იშურებდა და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ის უშუალო ადამიანი, დიდი ჭკუის პატრონი, მუყაითად მშრომელი კაცი იყო. საბოლოო ჯამში, ჯოზეფ დევისი არა საბჭოთა კავშირში აშშ-ის, არამედ აშშ-ში სტალინის ინტერესების გამტარებელ დიპლომატად ჩამოყალიბდა, რაც თვალნათლივ დადასტურდა 1945 წელს, როცა „ხალხთა ბელადმა“ ის ლენინის ორდენით დააჯილდოვა. დევისი ერთადერთი უცხოელი დიპლომატი იყო, ვისაც ეს საბჭოთა ჯილდო გადაეცა.

საბჭოთა ბელადის მადლიერების ამ გამოხატულებამდე კარგა ხნით ადრე — უკვე დევისის ელჩობის მეორე წელსვე აშშ-ის პრეზიდენტისთვის ნათელი გახდა, სინამდვილეში ვისთან ჰქონია საქმე. გადაწყვეტილებამაც არ დააყოვნა: 1938 წლის ივნისში, როცა სტალინმა მიღებისას დევისი საკუთარი წარწერიანი პორტრეტით დაასაჩუქრა, რუზველტმა ის მოსკოვიდან გამოიხმო და ელჩად ბელგიაში გადაიყვანა.

თავი XXIV

ნელი სვლა ნეიტრალიტეტიდან ექსპანსიისკენ

აშშ მუდამ სცოდავდა იზოლაციონიზმით. ამ სენით ის წინა საუკუნის 30-იან წლებშიც იყო შეპყრობილი. ამერიკელებს ეგონათ, რომ ოკეანე, რომელიც მათ „ძველ სამყაროს“ აშორებდა, სხვა კონტინენტებზე მომხდარი ნებისმიერი კატაკლიზმისგან დაიცავდა.

ამ საკითხზე განსხვავებული აზრი ჰქონდათ შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსებს და მათ რიგს იმჟამინდელი პრეზიდენტიც მიეკუთვნებოდა. რუზველტს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ადრე თუ გვიან, ამერიკას ევროპაში მიმდინარე მოვლენებში ჩარევა მოუწევდა, არადა, იმასაც კარგად ხედავდა, რომ იზოლაციონიზმის წინააღმდეგ დაუფარავად გალაშქრება ნაადრევი იყო და არა მარტო პოლიტიკური ელიტის, არამედ მოსახლეობის დიდი ნაწილის წინააღმდეგობას გამოიწვევდა. გარდა ამისა, სახელმწიფოც არ იყო მზად ევროპისა თუ წყნარი ოკეანის მიმართულებით მასშტაბური საერთაშორისო აქციების წამოსაწყებად.

სწორედ ამ გარემოებებმა და პოლიტიკური წრეების ზეწოლამ განაპირობა ნეიტრალიტეტის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთება, რომელიც საკანონმდებლო დონე-

ზე, მეომარი ქვეყნებისთვის იარაღის მიყიდვაზე ემბარგოს დაწესებით გამოიხატა.

პირველ კანონს ნეიტრალიტეტის შესახებ ფრანკლინ რუზველტმა ჯერ კიდევ 1935 წლის აგვისტოში მოაწერა ხელი. მანამდე სცადა, მოეპოვებინა დისკრეციული უფლება, ანუ საგანგებო გარემოებებში, გამონაკლისის სახით, ეს კანონი მხოლოდ აგრესორი მხარის მიმართ გამოეყენებინა, მაგრამ ისევ ყბადაღებული იზოლაციონიზმით შეპყრობილ კონგრესმენთა უმრავლესობამ არ დაანება ეს.

არასასურველი კანონის მიღების მომხრეები პრეზიდენტს არწმუნებდნენ, რომ ის ქვეყანას შესაძლებლობას მისცემდა, საერთაშორისო საკითხების მოგვარებისას შეზღუდული არ ყოფილიყო რაიმე ვალდებულებით და მუდამ თავისუფლად ემოქმედა.

30-იანი წლების დამლევისთვის, რუზველტის მთავარ საზრუნავად გერმანიისა და იაპონიის შესაძლო აგრესიისგან ქვეყნის დაცვა იქცა. უსაფრთხოების გარანტიის მოსაპოვებლად, უპირველესად, ძლევამოსილი სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ფლოტის შექმნა მიაჩნდა, რითაც მის პრეზიდენტობამდე აშშ ვერ დაიკვეხნიდა. 1938 წლის იანვარში პრეზიდენტმა კონგრესს მილიარდ დოლარზე მეტი ასიგნება მოსთხოვა და მიზნად „ორი ოკეანის ფლოტის“ აგება დაასახელა, ცოტა ხანში კი განაცხადა, რომ ქვეყანას 8 ათასზე მეტი სამ-

ხედრო თვითმფრინავი სჭირდებოდა, მაშინ როდესაც იმ მომენტისთვის მათი რაოდენობა 2 ათასსაც არ აღემატებოდა.

კონგრესის ორივე პალატა პრეზიდენტს დაეთანხმა და მისი პროგრამის განხორციელება დაიწყო.

ბუნებრივია, რუზველტი არა მარტო შეიარაღების გაზრდაზე, არამედ, და უპირველეს ყოვლისა, ამ შეიარაღებისთვის შესაფერისი მეთაურების შერჩევაზე ფიქრობდა. ერთ-ერთი საკვანძო გადაწყვეტილება 58 წლის გენერალ ჯონ მარშალის დაწინაურება იყო, რომელიც მანამდე, „ახალი კურსის“ პროგრამის მნიშვნელოვან, მაგრამ ზედმიწევნით სამოქალაქო უწყებას — ჩამოყალიბების დღიდან, გარემოს დაცვის კორპუსს ხელმძღვანელობდა.

მარშალი საოცრად ჯიუტი და უხეში კაცი გახლდათ და არავისთან, მათ შორის პრეზიდენტთან დაპირისპირებასაც არ ერიდებოდა. მაგალითად, ერთ-ერთ თათბირზე, რომელსაც რუზველტი უძღვებოდა, მის მიერ გამოთქმულ იდეას ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი — ყველამ, მარშლის გარდა: კოპებშეკრულმა გენერალმა მოკლედ მოჭრა, რომ პრეზიდენტის ინიციატივას აბსოლუტურად არ ეთანხმებოდა. კოპები რუზველტმაც შეკრა. ამით ინციდენტი ამოიწურა...

ცოტა ხნის შემდეგ პრეზიდენტს ურჩი გენერალი გაახსენდა და იფიქრა, რომ სწორედ ასეთ ადამიანებს

შეეძლოთ, შეიარაღებული ძალებისთვის ახალი სისხლის გადასხმა. ჯონ მარშალი არმიის შტაბის სამხედრო დაგეგმარების უფროსის თანაშემწედ დაინიშნა, ერთი წლის შემდეგ, ანუ 1939-ში შტაბის უფროსის მოვალეობის შესრულება დაევალა, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დაწყების დღეს ამ თანამდებობაზე დაამტკიცეს.

მოვლენებს ცოტათი წინ გავუსწრებთ და აღვნიშნავთ, რომ მარშალმა გამორჩეული როლი შეასრულა ომის დროსაც, როგორც ერთ-ერთმა სამხედრო ხელმძღვანელმა, და ომის შემდგომაც, უკვე სახელმწიფო მდივნის პოსტზე მუშაობისას, განსაკუთრებით, დანგრეული ევროპის აღსადგენად მისივე ინიციატივით შემუშავებული პროგრამის განხორციელებით, რომელსაც დღემდე ყველა „მარშალის გეგმის" სახელით იცნობს.

რუზველტი ყურადღებით აკვირდებოდა ევროპაში მიმდინარე მოვლენებს. გერმანია და იტალია სულ უფრო თავხედურ ნაბიჯებს დგამდნენ, ამ დროს დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი, რომლებმაც თვალი დახუჭეს გერმანელების მიერ ჩეხოსლოვაკიისთვის სუდეტის ოლქის წართმევაზე, აგრესორთა დაოკების პოლიტიკას მისდევდნენ იმ იმედით, რომ ჰიტლერის თავდასხმას გადაურჩებოდნენ, რაკიღა მან განაცხადა, რომ მეტი ტერიტორიული პრეტენზია არავისთან ჰქონდა.

სუდეტის კრიზისის დროს რუზველტი დაუფარავად გამოესარჩლა ჩეხოსლოვაკიას და პირადად ჰიტლერს

გაუგზავნა წერილი, რომელშიც ამ ქვეყნის დანაწევრებაა დაგმო.

და მაინც, ის ჯერჯერობით თავს არიდებდა ნაცისტურ გერმანიასთან ღია დაპირისპირებას, რადგან არც შეიარაღებული ძალების სასურველი დონე იყო მიღწეული და არც იზოლაციონიზმი გადალახული. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელთა უმრავლესობა იმიგრანტების შთამომავალი იყო, ისინი ევროპიდან ომს გამოქცეული ახალი იმიგრანტების მიღებასაც კი ეწინააღმდეგებოდნენ, ოღონდაც ქვეყანას სამხედრო კონფლიქტისთვის თავი აერიდებინა.

ამგვარად, ეკონომიკური სიძნელეებისა და გაურკვეველი საერთაშორისო ვითარების პირობებში, რუზველტს ძალზე რთული გადაწყვეტილებების მიღება უწევდა. ნიადაგის მოსინჯვის — სხვადახვა პოლიტიკური დაჯგუფების პოზიციის გასარკვევად, მან აგრესორთა „კარანტინის“ იდეა წამოყენა. გამოხმაურებამაც არ დააყოვნა — როგორც შტატებში, ასევე მის ფარგლებს გარეთ: დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ენტონი იდენმა ამ თეზისის „ზუსტი განსაზღვრება“ ითხოვა; მსგავსი შეკითხვა დასვა ექსპრეზიდენტ უილსონის ყოფილმა მრჩეველმა, პოლკოვნიკმა ჰაუსმაც. რუზველტმა მას მისწერა, რომ ჯერჯერობით მეტს ვერაფერს იტყოდა, რადგან აშშ-ში აქტიური საგარეო პოლიტიკისთვის ნიადაგი არ მომწიფებულიყო. „ტესტი“

წარმატებული აღმოჩნდა — თავის ინიციატივაზე გაკეთებული რეაქციებით რუზველტი მიხვდა, რომ საგარეო სფეროში გააქტიურების შემთხვევაში, მას „რესპუბლიკელ" პოლიტიკოსთა ნაწილიც დაუჭერდა მხარს.

ასე, ფრთხილად და შემპარავად ამზადებდა ფრანკლინ რუზველტი ქვეყანას იზოლაციონიზმიდან ექსპანსიაზე — მსოფლიო საქმეებში აშშ-ის მოწინავე პოზიციის დაკავებაზე გადასასვლელად, რაც მისგან უდიდეს ძალისხმევასა და მოთმინებას მოითხოვდა. იმ დროს, როდესაც ოკეანეს მიღმა ახალ-ახალი სამხედრო კონფლიქტები იწყებოდა, ამერიკელ კანონმდებელთა უმრავლესობა ყველა ღონეს ხმარობდა, რომ შეერთებულ შტატებს აგრესორებთან და მათ მსხვერპლ ქვეყნებთან ერთნაირი ურთიერთობა შეენარჩუნებინა.

თავი XXV

სანამ დენთის სუნი დატრიალდებოდა

30-იანი წლების დამლევისთვის მხოლოდ ბრმა ან გულუბრყვილო ადამიანი თუ ჩაებღაუჭებოდა იმედს, რომ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნება კიდევ შესაძლებელი იყო. ცხადია, აშშ-ის პრეზიდენტის ყველაზე დიდი საზრუნავი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების უსწრაფესად გაძლიერება გახლდათ. მდგომარეობა საკმაოდ შემაშფოთებელი იყო: საკმარისია აღინიშნოს, რომ 1939 წელს ამერიკული არმიის რაოდენობა მხოლოდ 230 ათასამდე კაცს შეადგენდა და ის უმეტესად, 1914 წლის იარაღით იყო აღჭურვილი.

9 აგვისტოს პრეზიდენტმა სამხედრო რესურსების საკითხებში საბჭოს შექმნის ბრძანებულება გამოსცა. ორი კვირის შემდეგ, 23 აგვისტოს გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის გაფორმდა ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ, რაც ომის მოახლოების კიდევ ერთი მეტყველი გამოხატულება იყო, მიუხედავად იმისა, რომ არავინ იცოდა ამ ხელშეკრულების საიდუმლო დანართის თაობაზე, რომელიც, სხვა უზნეო შეთანხმებებთან ერთად, პოლონეთის ორად გახლეჩასა და ორ ტოტალიტარულ რეჟიმს შორის დანაწილების შედეგად,

მისი სახელმწიფოებრიობის სრულ მოსპობას ითვალისწინებდა.

შეთანხმების ხორცშესხმასაც არ დაუყოვნებია: ერთ კვირაში — 1-ელ სექტემბერს გერმანია პოლონეთში შეიჭრა, რაც რუზველტმა, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, მეორე მსოფლიო ომის დაწყებად აღიქვა. იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ შეერთებულ შტატებს, ბოლოს და ბოლოს, ამ ომში ჩაბმა მოუწევდა, — საკითხავი მხოლოდ ის იყო, ეს როდის და რა ფორმით მოხდებოდა.

მანამდე კი, პოლონეთის დაპყრობიდან რამდენიმე დღეში, პრეზიდენტმა დაწყებული ომის მიმართ შეერთებული შტატების ნეიტრალიტეტი ოფიციალურად გამოაცხადა, თუმცა მალევე ქვეყანაში, შეზღუდული ფორმით, საგანგებო მდგომარეობა მაინც შემოიღო.

ამ ურთულეს პერიოდში რუზველტი კიდევ ერთი რთული ამოცანის წინაშე იდგა: იწურებოდა მისი მეორე საპრეზიდენტო ვადა და უნდა გადაეწყვიტა, წამოეყენებინა თუ არა კანდიდატურა ახალ არჩევნებში: თუმცა კონსტიტუციის 22-ე შესწორება, რომელიც პრეზიდენტის პოსტზე არჩევას ორი ვადით ზღუდავდა, 1951 წელს იქნა მიღებული, რეალურადაც, აშშ-ის ისტორიაში მანამდეც მესამე ვადა არავის ღირსებია.

ფრანკლინის ახლობლები ჰყვებოდნენ, რომ მას გადაწყვეტილება უყოყმანოდ არ მიუღია. გარემოცვაც ერთსულოვანი როდი იყო: მაგალითად, ელინორს მიაჩ-

ნდა, რომ უმჯობესი იქნებოდა, ფრანკლინს ღირსეული მემკვიდრე შეერჩია და მძიმე მისიისთვის მოემზადებინა. ფრანკლინი ამაზეც ფიქრობდა, მაგრამ მემკვიდრეს ვერ პოულობდა — შესაძლოა, კარგად არც ეძებდა და თავს იმით იმართლებდა, რომ ამ უმძიმეს დროში სახელმწიფოს გაძღოლა მაინც სხვაზე უკეთესად შეეძლო. გასაკვირიც არ იყო, რომ საკუთარი შეუცვლელობის განცდა გასჩენოდა, — რვა წლის განმავლობაში ხომ ქვეყანაში უამრავ პრობლემასთან გამკლავებას ახერხებდა. მისი გუნდის ერთ-ერთი უერთგულესი წევრი, ენაკვიმატი ფრენსის პერკინსი წლების შემდეგ აღნიშნავდა: „რუზველტს ნამდვილად მოსწონდა პრეზიდენტობა. ამ საქმიანობას მთელი მისი დრო, ენერგია, შესაძლებლობები მიჰქონდა. ძნელად წარმოსადგენი იყო მეორე ადამიანის მოძებნა, რომელიც ესოდენ ბედნიერი იქნებოდა ამ სამუშაოს მთელი არსებით შესრულებისას. ისიც კი ახარებდა, როცა პრობლემები, ერთიმეორეზე დახვავებული, გროვდებოდა და „ხედს“ უფარავდა...“

ზოგი ფიქრობს, რომ ბიძგი საბოლოო გადაწყვეტილებისთვის იყო ევროპიდან 1940 წლის 10 მაისს მოსული ცნობა ე.წ. უცნაური (მას ხშირად ფიქციურსაც უწოდებენ) ომის შესახებ: ამ დღეს გერმანიის ჯარმა ბელგია, ჰოლანდია და ლუქსემბურგი დაიკავა, რათა იქიდან იერიში საფრანგეთზე მიეტანა. სწორედ იმ დღეს დიდი ბრიტანეთის მთავრობას სათავეში ჩაუდგა უინს-

ტონ ჩერჩილი, რომელიც ნაცისტების მიმართ შეურიგებლობით გამოირჩეოდა და ამერიკელი პრეზიდენტის დიდი სიმპათიით სარგებლობდა. ნიშანდობლივია, რომ ჯერ კიდევ პრემიერ-მინისტრად მის დანიშვნამდე, 1939 წელს, რუზველტმა მასთან პირადი მიმოწერა გააბა და, იქიდან მოყოლებული, ეს ორი დიდი მოღვაწე ერთმანეთისთვის უპირველეს მოკავშირედ რჩებოდა.

10 მაისს პრეზიდენტმა სამხედრო სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში არსებული მდგომარეობის ანგარიში მოსთხოვა. მდგომარეობას კვლავაც არასახარბიელო ეთქმოდა: მობილიზაციის გამოცხადების შემთხვევაში, შეერთებული შტატები ნახევარმილიონიანი არმიის ეკიპირებას თუ მოახერხებდა მაშინ, როდესაც გერმანიას მხოლოდ დასავლეთის ფრონტზე ორ მილიონზე მეტი ჯარისკაცი ჰყავდა.

მომდევნო დღეებში მოვიდა ინფორმაცია გერმანელთა წარმატებული ოპერაციისა და ფრანგული არმიის სრული დეზორგანიზების შესახებ. რუზველტმა კონგრესს სამხედრო საჭიროებებზე დამატებით 1 მლრდ 180 მლნ დოლარის გამოყოფა მოსთხოვა და კაპიტოლიუმში სიტყვით გამოსვლისას წარმოუდგენელი ამოცანის — წელიწადში 50 ათასი თვითმფრინავის აგების შესახებ — გამოაცხადა. როგორც სამხედრო რესურსების საკითხებში საბჭოს თავკაცმა სტეტინიუსმა აღნიშნა, „ნებისმიერი მიუღწეველი მიზნის დარად, ამ ციფრმა

ამერიკელთა წარმოსახვა გააღვიძა". მართლაც, კონგრესმენები, რომლებსაც წარმოდგენა არ ჰქონდათ, თუ რა მასშტაბის სამუშაოზე იყო საუბარი, პრეზიდენტს ფეხზე წამოუდგნენ და მქუხარე ტაშით დააჯილდოეს, მერე კი მოთხოვნილი თანხა, საკუთარი ინიციატივით, 1,5 მლრდ-მდე გაზარდეს.

ერთი თვის შემდეგ დამტკიცდა უმძლავრესი სამხედრო-საზღვაო ფლოტის დაფინანსების გეგმა, რომელზეც 4 მლრდ დოლარი გამოიყო. ცხადია, იმ დროისთვის ესოდენ კოლოსალური თანხის მობილიზება ლამის ყველა ამერიკელისთვის უფრო მომჭირნედ ცხოვრებას მოასწავებდა. სამაგიეროდ, იწყებოდა მსოფლიოში ყველაზე ძლევამოსილი ფლოტის შექმნა, რომელიც სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების — მათ შორის ავიამზიდებისა და წყალქვეშა ნავების — 200-მდე ხომალდის აგებას ითვალისწინებდა, რომელსაც ამერიკა ორი ოკეანის თვალუწვდენელი სივრცეების ბატონ-პატრონად უნდა ექცია.

პრეზიდენტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო სამხედრო ხელმძღვანელობის განახლებას და ამ პროცესში ქვეყანაში მაქსიმალური პოლიტიკური და საზოგადოებრივი კონსოლიდაციის მიღწევასაც შეეცადა. 1940 წელს მან სამხედრო მინისტრის პოსტზე არა საკუთარი პარტიის წარმომადგენელი, არამედ „რესპუბლიკელთა" ერთ-ერთი გამოკვეთილი ფიგურა, ჰენრი

სტიმსონი მიიწვია, რომელსაც სხვადასხვა პრეზიდენტის მთავრობაში როგორც სამხედრო მინისტრად, ასევე სახელმწიფო მდივნად მუშაობის გამოცდილება ჰქონდა. ამ კაცის წესიერება, გამჭრიახობა და კეთილსინდისიერება რუზველტისთვის ეჭვგარეშე იყო, რადგან მასთან 1932 წლიდან ჰქონდა ურთიერთობა.

ომის საშიშორების წინაშე დამდგარი ქვეყნის ერთიანობის განმტკიცების მიმართულებით გადადგმული მეორე ნაბიჯი სამხედრო-საზღვაო მინისტრად ასევე „რესპუბლიკელი" პოლიტიკოსის, ვიცე-პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატის, ფრენკ ნოკსის დანიშვნა გახლდათ.

ასეთი მნიშვნელოვანი გზავნილებით ემზადებოდა ფრანკლინ რუზველტი მოახლოებული არჩევნებისთვის და ყოველნაირად უჩვენებდა საზოგადოებას, რომ პარტიებს შორის კინკლაობის, პოლიტიკური დაპირისპირების ნაცვლად, ახლა ქვეყანას კონსოლიდაცია სჭირდებოდა.

თავი XXVI

მესამე და „უმთავრესი“ საპრეზიდენტო ვადა

საერთაშორისო სიტუაციის გათვალისწინებით, დემოკრატიული პარტიის ლიდერებმაც უფრო მიზანშეწონილად კვლავ ფრანკლინ რუზველტის კანდიდატურის წამოყენება მიიჩნიეს. მეორე ფაქტორი „რესპუბლიკელების“ მიერ დასახელებული ქარიზმატული პოლიტიკოსი უენდელ უილკი იყო, რომლის დამარცხებაც, მათი აზრით, სხვა „დემოკრატს“ მოქმედ პრეზიდენტზე მეტად გაუჭირდებოდა.

ყრილობაზე სხვა კანდიდატებიც იყვნენ დასახელებული, მაგრამ დელეგატებმა პირველსავე ტურში ხმების უდიდესი უმრავლესობა 946 (86,2%) — 147-ის წინააღმდეგ, რუზველტს მიაკუთვნეს. ამის შემდეგ რადიოთი გამოსვლისას რუზველტმა საჭიროდ მიიჩნია, მოსახლეობისთვის ეთქვა, რომ მხოლოდ შექმნილი მდგომარეობის გამო დათანხმდა მესამე ვადით კენჭისყრაში მონაწილეობას: „ისევე, როგორც ჩემი ასაკის ნებისმიერ ადამიანს, 1941 წლის იანვრიდან პირად გეგმებზე გადართვას ვაპირებდი. ეს გეგმები, ბევრი სხვა რაღაცის მსგავსად, იმ სამყაროს მიეკუთვნება, რომელიც ახლა სხვა პლანეტასავით ძალზე შორეული მოჩანს. ჩვენ წინაშე წამომართული საფრთხის პირისპირ ყოველგვარი კერძო გეგმა,

პირადი ცხოვრება არსებობას წყვეტს. ხალხმა თავისი პრეზიდენტი უნდა აირჩიოს, და თუ არჩევანი ჩემზე შეჩერდება, ღვთის შეწევნით, მთელ ჩემს ძალებსა და შესაძლებლობებს მის სამსახურს შევალევ".

„დემოკრატებმა" ძირითად ლოზუნგად აირჩიეს — „ორი ვადა მესამეს იმსახურებს!" პრეზიდენტმა კამპანია იმგვარად დაგეგმა, რომ მას სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებათა აღსრულებისთვის რაც შეიძლება ნაკლებად შეეშალა ხელი: ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში რამდენიმე მგზავრობის მარშრუტს სამხედრო ობიექტების მშენებლობის ან საჯარისო ნაწილების წვრთნის ადგილების სიახლოვეს ამთხვევდა. სიტყვით გამოსვლის დროს, კვლავაც ხარკს უხდიდა საზოგადოების დიდ ნაწილში გამჯდარ იზოლაციონისტურ განწყობას, ერთხელ კი პირდაპირ განაცხადა: „ჩვენს ბიჭებს უცხო ომში საბრძოლველად არ გავგზავნით!" რუზველტს კარგად ჰქონდა გააზრებული ამ დაპირების ფასი: ეს ომი მანამ იყო „უცხო", ვიდრე აშშ მასში ოფიციალურად ჩაებმებოდა, და არა იმ ნიშნით, მოქმედებები ამერიკის ტერიტორიაზე გაიშლებოდა თუ სხვა კონტინენტზე...

არჩევნები 5 ნოემბერს გაიმართა. ფრანკლინი შედეგებს ჰაიდ-პარკიდან ადევნებდა თვალს. კენჭისყრაშიც, ცოლ-შვილსა და დედასთან ერთად, იქვე მიიღო მონაწილეობა.

საღამოს, როცა ხმების დათვლის პროცესი დაიწყო, თავიდან არცთუ ისე დამაიმედებელი მონაცემები მოდიოდა: რამდენიმე შტატში უპირატესობა უილკის მხარეს იყო. მხოლოდ შუაღამისთვის გახდა ნათელი, რომ გამარჯვება მაინც რუზველტს რჩებოდა. ამჯერად, სხვაობა წინა არჩევნებზე გაცილებით მოკრძალებული იყო: 54,7% — 44,8%-ის წინააღმდეგ; უფრო დიდ უპირატესობას მოქმედმა პრეზიდენტმა ხმოსანთა კოლეგიის კენჭისყრის შედეგად მიაღწია (531-დან 449), რადგან შტატების უმეტეს ნაწილში რუზველტმა მინიმალური სხვაობით მაინც მოიპოვა ხმების უმეტესი ნაწილი.

საინაუგურაციო სიტყვაში ფრანკლინ რუზველტმა „ოთხი თავისუფლების" კურსი გამოაცხადა, რომელიც არა მარტო შეერთებულ შტატებზე, არამედ მთელ მსოფლიოზე განავრცო:

„მომავალში, რომლის უზრუნველყოფასაც ვესწრაფვით, ისეთი სამყაროს შექმნას ვაპირებთ, რომელიც ადამიანის ოთხ თავისუფლებაზე იქნება აგებული.

პირველი — ეს სიტყვისა და საკუთარი შეხედულების გამოხატვის თავისუფლებაა — მთელ მსოფლიოში.

მეორე — ყველა ადამიანის თავისუფლება, საკუთარი ნებით ილოცოს ღმერთის სადიდებლად — ყველგან მსოფლიოში.

მესამე — ეს სიღატაკისგან თავისუფლებაა, რომელიც, მსოფლიო მასშტაბით თუ ვიმსჯელებთ, ნიშნავს

იმის აუცილებლობის ეკონომიკურ გაგებას, რომ საჭიროა უზრუნველვყოთ თითოეული ქვეყნის მთელი მოსახლეობის ჯანსაღი მშვიდობიანი ცხოვრება — ყველგან მსოფლიოში.

მეოთხე არის თავისუფლება შიშისგან, რომელიც, თუ ვიმსჯელებთ, ნიშნავს მსოფლიო მასშტაბით შეიარაღების საყოველთაო შემცირებას იმ დონემდე და იმგვარად, რომ ვერც ერთმა სახელმწიფომ ვერ შეძლოს პირდაპირი აგრესიის განხორციელება მისი ნებისმიერი მეზობლის მიმართ — ყველგან მთელ მსოფლიოში“.

ერთ-ერთი ავტორის ზუსტი შეფასებით, ფრანკლინ რუზველტმა, რომელსაც კარგად ესმოდა ამ პროგრამის უტოპიურობა, განსაკუთრებით, გაჩაღებული მსოფლიო ომის პირობებში, მაინც „სცადა ჩაეხედა ჰორიზონტის ზოლს მიღმა, რომელიც მოძრაობის კვალობაზე მუდამ გვშორდება“, მაგრამ ეს იყო კეთილი დემოკრატიული მისწრაფების დეკლარაცია, რომლის თუნდაც მცირედით ხორცშესხმისთვის პრეზიდენტი მზად იყო, ეომა პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით.

არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, რუზველტის გუნდში წინა პლანზე წამოიწია ჰარი ჰოპკინსმა, რომელიც მანამდეც დაუღალავად შრომობდა და ერთგულად ემსახურებოდა შეფს, მაგრამ ერთ-ერთი უახლოესი თანაშემწის, ლუის ჰოუვის გარდაცვალების შემდეგ, მისთვის პრაქტიკულად შეუცვლელი გახდა. 1938 წელს ვაჭრო-

ბის მინისტრად დანიშნულმა ჰოპკინსმა 1940-ში მძიმე ავადმყოფობის გამო, პოსტიდან გადადგომა გადაწყვიტა. მას კუჭის კიბო სჭირდა, ოპერაცია ჩაუტარდა, მაგრამ ექიმების აზრით, დიდი დღე არ ეწერა. ამ პროგნოზის მიუხედავად, რამდენიმე წელი კიდევ იცოცხლა, მთელი დატვირთვითაც მუშაობდა და, ბედის ირონიით, რუზველტზე უფრო დღეგრძელიც აღმოჩნდა — 1946 წელს გარდაიცვალა.

ვაჭრობის მინისტრის პოსტიდან გადამდგარი ჰოპკინსი, გამოკეთების შემდეგ, უკვე მესამედ არჩეული პრეზიდენტის თანაშემწედ დაინიშნა, მაგრამ გავლენით უმაღლესი თანამდებობის პირებს სჯაბნიდა და, ფაქტობრივად, ქვეყანაში მეორე კაცი იყო. ბუნებრივია, თუკი ადრე, ძირითადად, ეკონომიკური და სოციალური საკითხებით იყო დაკავებული, ახლა უფრო საგარეო პოლიტიკის პრობლემატიკაზე მუშაობა უწევდა.

სწორედ ჰოპკინსთან განიხილავდა პრეზიდენტი ევროპასა თუ აზიაში მიმდინარე შემაშფოთებელ მოვლენებს და იმას, როგორ მოეხერხებინა დახმარება აგრესიის მსხვერპლი ქვეყნებისთვის და უპირველესად, ბრიტანეთისთვის ისე, რომ არ დაერღვია კანონმდებლობა, რომელიც მეომარი სახელმწიფოებისთვის იარაღის მიყიდვის აკრძალვის შემდეგ ე.წ. cash and carry-ის („გადაიხადე და წაიღე“) პრინციპით შეიცვალა, — ანუ სახელმწიფოს, რომელსაც შეერთებული შტატებისგან

იარაღის შეძენა სურდა, მისი საფასური მთლიანად უნდა გადაეხადა, ამის შესაძლებლობა კი იმავე ბრიტანეთს არ ჰქონდა.

მესამე ვადით არჩევიდან ცოტა ხნის შემდეგ რუზველტმა განაცხადა: დიდი ბრიტანეთი აშშ-ში წარმოებული სამხედრო შეიარაღების ნახევარს მიიღებს. ამ დროისთვის მოკავშირეს უკვე შეკვეთილიც ჰქონდა ტექნიკა, საბრძოლო მასალები და აღჭურვილობა, რომლის საერთო ფასიც 5 მლრდ დოლარს აღწევდა, მაგრამ ერთბაშად გადახდის შესაძლებლობა არ ჰქონდა — დიდი იმპერიის ხაზინა თითქმის ცარიელი იყო, — არადა, უკვე შეკვეთილზე გაცილებით მეტი ესაჭიროებოდა. ამერიკის ადმინისტრაციას რაღაც უნდა ელონა, რათა ნაცისტური გერმანიის იმ დროს უმთავრეს მოწინააღმდეგეს ბრძოლის გაგრძელების შესაძლებლობა ჰქონოდა.

გერმანული ავიაციის მიერ ლონდონსა და სხვა ბრიტანულ ქალაქებზე მიტანილი საჰაერო იერიშების შემდეგ, 1940 წლის დეკემბერში, რუზველტმა უინსტონ ჩერჩილის წერილი მიიღო, სადაც მოკლედ იყო მიმოხილული შექმნილი მდგომარეობა:

„ჩვენი სახლების დანგრევისა და მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვის ფასად ჩვენ გავუძელით მტრის შემოტევას; იმედი გვაქვს, რომ მოვახერხებთ მისთვის საკადრისი პასუხის გაცემას გერმანიაში მდებარე სამხედრო ობიექტებზე დარტყმებით, როგორც კი ჩვენს

საჰაერო ძალებს მტერთან მიახლოების შესაძლებლობა მიეცემათ“. ამას მოჰყვებოდა გარემოებათა ახსნა, რომელიც არც რუზველტისთვის იყო საიდუმლო: ბრიტანეთს სჭირდებოდა შეიარაღება, რომლის მოპოვებასაც მოქმედი ამერიკული კანონი ეღობებოდა.

პრემიერ-მინისტრი დასძენდა: „ახლოვდება მომენტი, როცა შენაძენის საფასურის გადახდის შესაძლებლობა არ გვექნება... ვფიქრობ, დამეთანხმებით, არც პრინციპული თვალსაზრისით და არც საერთო არასახარბიელო მდგომარეობის გათვალისწინებით იქნება მართებული, ბრძოლის გადამწყვეტ მომენტში დიდ ბრიტანეთს შეუწყდეს სტაბილური მომარაგება, რასაც... ჩვენი სრული „გაშიშვლება“ მოჰყვება. ეს არც ჩვენი მორალის და არც ჩვენი ქვეყნების ინტერესებიდან გამომდინარე იქნება სწორი“.

შეყოვნება დაუშვებელი იყო. 17 დეკემბერს რუზველტმა მოიწვია პრესკონფერენცია და მსოფლიოს წინაშე წამოჭრილ საფრთხეებზე საუბრისას ძალზე მოხდენილად გამოიყენა ყოფითი მაგალითი, რომელიც ყოველ ადამიანს გულზე უნდა მოხვედროდა. პრეზიდენტმა თქვა: წარმოვიდგინოთ, რომ ჩემი მეზობლის სახლში ხანძარია; ცეცხლი გიზგიზებს და მან შლანგის სათხოვნელად მომაკითხა; როგორ უნდა მოვიქცე შექმნილ კრიტიკულ სიტუაციაში? გასაჭირში ჩავარდნილ მეზობელს ხომ არ ვეტყვი — მეგობარო, ეს შლანგი 15

დოლარი ღირს, გადამიხადე და წაიღე-მეთქი! სჯობს ვუთხრა: ეს 15 დოლარი არ მჭირდება, მაგრამ მსურს, ჩემი შლანგი დამიბრუნო მას შემდეგ, რაც შენს სახლში გაჩენილ ხანძარს ჩააქრობო...

პრეზიდენტმა ზუსტად შეარჩია სამიზნეცა და „იარაღიც". ამ შედარებით მოსახლეობასაც და პოლიტიკურ წრეებსაც ნათლად დაანახვა მოკავშირეებისთვის უსწრაფესი და ქმედითი დახმარების აუცილებლობა, თუკი სურდათ, დაეცვათ საკუთარი უსაფრთხოება. ბუნებრივია, მხოლოდ ეს საკმარისი არ იყო, ამიტომ მთელი იმ პერიოდის განმავლობაში პრეზიდენტი ყოველ შესაძლებლობას მიმართავდა იმის ასახსნელად, რომ შეერთებულ შტატებს დედამიწის სხვა მხარეს აგიზგიზებული ხანძრისგან ოკეანე ვეღარ დაიცავდა, რადგან აფროსანი გემების დრო შორეულ წარსულს ჩაჰბარდა.

თავი XXVII

„ლენდ-ლიზი"

მესამე ვადით არჩევის შემდეგ პირველ „საუბარს ბუხართან", რომელიც 1940 წლის 29 დეკემბერს გაიმართა, ფრანკლინ რუზველტმა განსხვავებული სახე მისცა — საუბრისას თავისთან მიიწვია სარა რუზველტი, სახელმწიფო მდივანი კორდელ ჰალი და პოპულარული მსახიობი კლარკ გეიბლი მეუღლითურთ. ამგვარად, პრეზიდენტთან ერთად იყვნენ: დედა — ოჯახის ბურჯის სიმბოლო, მსახიობი — კულტურის ელიტის წარმომადგენელი, და სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც საერთაშორისო საკითხებს განაგებდა. საუბრის თემა — ქვეყნის წინაშე არსებული სამხედრო საფრთხე და აგრესიის მსხვერპლი ერებისთვის დახმარების აუცილებლობა — და მონაწილეთა ეს წრე საზოგადოებას მიანიშნებდა სახელმწიფოს მეთაურის მთავარ გზავნილს: „ჩვენი ოჯახების გადარჩენა სხვებისთვის ხელის გაწვდენის გარეშე შეუძლებელი იქნება. დაუშვებელია, შორიდან ვუყუროთ, როგორ იცავენ თავს აგრესორი ქვეყნებისგან სხვა ხალხები; დაუშვებელია შევეგუოთ მათ დამარცხებას და ვისხდეთ იმის მოლოდინში, თუ როდის დადგება ჩვენზე თავდასხმის დღე".

ამ გამოსვლისას რუზველტმა ახალი ცნება — „დემოკრატიის არსენალი" შემოიღო: „შეერთებული შტატები მთელი მსოფლიოს დემოკრატიის სამხედრო არსენალად უნდა იქცეს, — განაცხადა მან. — ჩვენთვის ეს გადაუდებელი და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამ საქმეს ისევე გაბედულად და უნარიანად უნდა მოვკიდოთ ხელი, ისეთივე პატრიოტიზმით და თავგამოდებით, როგორც იმ შემთხვევაში, თავადვე რომ ვყოფილიყავით ომში ჩაბმულნი".

„დემოკრატიის არსენალის" ცნება შემდგომში „დემოკრატიების არსენალით" შეიცვალა, რაც გულისხმობდა, რომ შეერთებული შტატები არა რაღაც აბსტრაქტულ დემოკრატიულ ძალებს ეხმარებოდა, არამედ დემოკრატიულ ქვეყნებს, რომლებიც აგრესიულ კავშირს — ბერლინი-რომი-ტოკიოს — უპირისპირდებოდა, თანაც დახმარება ოდენ შეიარაღებით კი არ შემოიფარგლებოდა, არამედ სასიცოცხლო მნიშვნელობის საქონელს — სურსათსა თუ პირველი მოხმარების საგნებსაც მოიცავდა. ამ ეტაპზე, ეს მიდგომა იმასაც ითვალისწინებდა, რომ აშშ სხვა კონტინენტებზე საბრძოლველად ამერიკელ ბიჭებს არ გაგზავნიდა, რაც მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ასევე უმნიშვნელოვანესი იყო, რადგან ის თანაუგრძნობდა აგრესიის მსხვერპლ ერებს, მაგრამ ომში პირდაპირ ჩაბმას უფრთხოდა. დაბოლოს, წამოყენებული ამოცანა ბიზნესწრეებისთვისაც ხელსაყრელი იყო, რადგან წარ-

მოების გაფართოებისთვის ხელსაყრელ სახელმწიფო შეკვეთებს უქადდა.

დახმარება, უპირველესად, ბრიტანეთისთვის იყო გათვალისწინებული. ყურადღების ცენტრში ატლანტის ოკეანე იყო, რადგან ამერიკა სწორედ იქ ელოდა გერმანულ ფლოტთან პირდაპირი შეტაკების შესაძლებლობას და ეეჭვებოდა, რომ იაპონიასთან წყნარ ოკეანეში ომი მოუწევდა, მიუხედავად იმისა, რომ ის წარმატებით ეპატრონებოდა აზიის კონტინენტსა და კუნძულებზე გაბნეულ ევროპული ქვეყნების კოლონიებს ყალბი ლოზუნგით — „საყოველთაო აყვავების დიადი აღმოსავლეთაზიური სფერო".

იაპონელთა ექსპანსიის გაძლიერების გამო, ამერიკულმა ადმინისტრაციამ ამ რეგიონზე დაკვირვებაც გააძლიერა. სპეცსამსახურებმა იაპონიის საიდუმლო კოდების გაშიფვრა მოახერხეს და რუზველტს მისი პოლიტიკური და სამხედრო წრეების გეგმების ამსახველ დოკუმენტებს აწვდიდნენ. აზიელი აგრესორის გეგმებში, უპირველესად, აშშ-ის ყოფილი კოლონია და 1934 წლიდან ავტონომიური მმართველობის მქონე ფილიპინები იყო მოქცეული; ამას მოჰყვებოდა წარსულში ასევე „ამერიკული" ჰავაის არქიპელაგი, რომლის ერთ-ერთ კუნძულზე — პერლ-ჰარბორზე („მარგალიტის უბე") ამერიკული სამხედრო ბაზა იყო განლაგებული. იაპონიისთვის ასევე მადის აღმძვრელი იყო იმ დროს ჰოლანდიურ

ოსტ-ინდოეთად წოდებული დღევანდელი ინდონეზიის ტერიტორია, რომელიც გერმანელების მიერ ჰოლანდიის დაპყრობის შემდეგ „უპატრონოდ“ დარჩენილიყო, და ჩინეთი.

და მაინც, მთავარი მიმართულება და „დემოკრატიის არსენალის“ პრინციპის რეალიზების არეალი ევროპა და უპირველესად, დიდი ბრიტანეთი იყო. „ბრიტანელებს დიდ მატერიალურ დახმარებას გავუწევთ... — განაცხადა ერთ-ერთი გამოსვლისას პრეზიდენტმა. — ვერანაირი დაბრკოლება ამაზე ხელს ვერ აგვაღებინებს. დაე, დიქტატორები ჩვენი პოზიციის რაგინდარა მრუდედ შეფასებით დაგვემუქრონ, ვერაფერი შეაჩერებს ჩვენს ურყევ ნებას, მხარში ამოვუდგეთ დიდ ბრიტანეთს“.

რუზველტს კანონმდებელთა გადმობირება ესაჭიროებოდა. ამ მიზნით მან გამოაცხადა, რომ ბრიტანეთისთვის სამხედრო გემების სანაცვლოდ, აშშ ატლანტიკაში 8 ბრიტანულ სამხედრო-საზღვაო ბაზას მიიღებდა (ბერმუდის კუნძულებზე, ბაჰამის კუნძულებზე და ა.შ.). არსებითად, ეს ფორმალური დათმობა ჯერ კიდევ მოქმედი კანონის „საპატიო მიზეზით“ გვერდის ავლა იყო, მაგრამ ხერხმა გაჭრა — კონგრესი დიდი ბრიტანეთისთვის 50 საესკადრო ნაღმოსნის გადაცემას დათანხმდა.

1941 წლის გაზაფხულზე კონგრესმა მიიღო კანონი „შეერთებული შტატების თავდაცვის უზრუნველყოფის შესახებ“, რომელსაც მეორენაირად მოიხსენიებდნენ,

როგორც კანონს შეიარაღების, საბრძოლო მასალების, სურსათისა და ნებისმიერი სხვა მასალის იჯარით ან ვალად გადაცემის შესახებ ქვეყნებისთვის, რომელთა თავდაცვა აშშ-ისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო.

1941 წლის გაზაფხულზე, გერმანიისა და იტალიის მიერ იუგოსლავიისა და საბერძნეთის დაპყრობის შემდეგ, რუზველტმა კონგრესს მოსთხოვა დამატებითი დაფინანსება ნახევარმილიონიანი არმიის დასაკომპლექტებლად, 31 მაისს თეთრ სახლში გამოსვლისას კი განაცხადა, რომ ხელი მოაწერა მიმართვას ქვეყანაში შეუზღუდავი საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს „ჩვენი თავდაცვისუნარიანობის იმ ზომამდე გაზრდას, რასაც ჩვენი სიძლიერე და ძალაუფლება გვაძლევს“.

რაც შეეხება მომავალი მოკავშირეებისთვის დახმარების გაწევას, თავდაპირველად ის 7 მილიარდი დოლარით განისაზღვრა. ამ დროს ომში ჯერ კიდევ არ იყო ჩაბმული საბჭოთა კავშირი და მისთვის დახმარება გათვალისწინებული არ იყო, მაგრამ შემდგომ წლებში მხოლოდ მისთვის აშშ-მა 11 მლრდ დოლარი გაიღო. ეს უკვე ე.წ. ლენდ-ლიზის (lend — სესხად გაცემა, lease — მიქირავება) პროგრამის ნაწილი იყო, რომელმაც საერთო ჯამში, 50 მლრდ დოლარი შეადგინა და ომის წლებში ამერიკის მიერ აგრესორებთან მეომარი ქვეყნებისთვის სხვადასხვა პროდუქციის მიწოდება უზრუნველყო; აქედან 31

მლრდ დიდ ბრიტანეთს ერგო, დანარჩენი 8 მლრდ კი — ჩინეთს და, დასკვნით ეტაპზე, საფრანგეთს.

კანონს ლენდ-ლიზის შესახებ თავდაპირველად ახორციელებდნენ მოქმედი სახელისუფლებო უწყებები ჰარი ჰოპკინსის საერთო ზედამხედველობით, მოგვიანებით კი მის აღსასრულებლად საგანგებო უწყება შეიქმნა.

ამ კანონის მიღებით აშშ, ფაქტობრივად, ომში უშუალო ჩაბმას მიუახლოვდა. ამას მოასწავებდა პრეზიდენტის მიერ ხუთკაციანი ორგანოს შექმნაც, რომელიც კონსტიტუციით გათვალისწინებული არ იყო — სამხედრო კაბინეტისა; მისი წევრები იყვნენ: სამხედრო მინისტრი სტიმსონი, სამხედრო-საზღვაო მინისტრი ნოკსი, სახელმწიფო მდივანი ჰალი და ლენდ-ლიზის პროგრამის ხელმძღვანელი ჰოპკინსი.

თავი XXVIII

დაახლოება ჰიტლერის მოკავშირე სტალინთან

რუზველტი ყურადღებით აკვირდებოდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკას. მისთვის საიდუმლოს აღარ წარმოადგენდა, რომ ორ ტოტალიტარულ რეჟიმს შორის არსებობდა შეთანხმება, რომელიც დაკავშირებული იყო პოლონეთის ტერიტორიის გაყოფასთან, საბჭოთა რეჟიმის მხრიდან ბალტიის ქვეყნების, ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის მიტაცებასთან, საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის გაჩაღებულ ომთან. ამასთანავე, აშშ-ის პრეზიდენტი იმასაც ჭვრეტდა, რომ ბერლინსა და მოსკოვს შორის კავშირი შეიძლებოდა, ძალზე მყიფე ყოფილიყო.

პროგნოზი ლენდ-ლიზის კანონის გამოცემიდან ცოტა ხანში გამართლდა. 22 ივნისის ღამეს რადიოთი მოლოტოვის გამოსვლიდან ამერიკელებმა საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის შესახებ შეიტყვეს. დილით, როცა ეს ცნობა პრეზიდენტს მოახსენეს, ის განმარტოვდა და რამდენიმე საათის განმავლობაში ფიქრობდა, როგორ უნდა მოქცეულიყო.

საბჭოთა კავშირთან ბოლოდროინდელი დაძაბული ურთიერთობის გათვალისწინებით, რუზველტს თითქმის ორი დღე არ გამოუთქვამს საკუთარი პოზიცია მომ-

ხდართან დაკავშირებით. ის დაძაბულად ადევნებდა თვალყურს აღმოსავლეთის ფრონტზე მიმდინარე შემაშფოთებელ მოვლენებს, რომლებიც იძლეოდა საფუძველს მოლოდინისთვის, რომ ჰიტლერი მართლაც მიაღწევდა ბლიცკრიგს, ანუ, საფრანგეთის მსგავსად, საბჭოთა კავშირსაც იოლად დაიპყრობდა.

როგორც ჩანს, ყველა ამ ფაქტორიდან გამომდინარე, რუზველტმა გადაწყვიტა, არა რადიოთი გამოსვლისას, არამედ თეთრ სახლში მიწვეულ ჟურნალისტებთან შეხვედრისას გამოეთქვა საკუთარი დამოკიდებულება. 24 ივნისს გამართულ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: „რასაკვირველია, რუსეთს ყველანაირ დახმარებას გავუწევთ“, თუმცა შეკითხვას — გავრცლდებოდა თუ არა საბჭოთა კავშირზე ლენდ-ლიზი? — პრეზიდენტმა პირდაპირ არ უპასუხა. ერთ-ერთმა კორესპონდენტმა რუზველტს გადასცა გაზეთი თავისი სტატიით — „ეშმაკს წაუღია კომუნიზმი“, რაზეც მან მიუგო: „თქვენს საწერ მაგიდასთან რომ ვიჯდე, დავწერდი სტატიას, სადაც ერთნაირად დაგვმობდი როგორც რუსულ, ისე გერმანულ დიქტატურას, ოღონდ იქვე მკითხველს იმასაც ნათლად დავანახებდი, რომ დღეს აშშ-ისთვის ნამდვილი საფრთხე ჰიტლერის ჯარებისგან მომდინარეობს“.

ცოტა ხნის შემდეგ, ივლისის დასაწყისში, ჰაიდ-პარკში საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის გახსნაზე სიტყვით

გამოსვლისას ფრანკლინ რუზველტმა ქვეყანას, ფაქტობრივად, აცნობა, რომ უახლოეს მომავალში ომში ჩასაბმელად უნდა მომზადებულიყო. „ყველა ჩემი მცდელობა, თავი დავაღწიოთ ძალის გამოყენებას, როგორც ჩანს, ამაოა. მაგრამ ჩვენი ეროვნული თავდაცვა ჯერჯერობით შორსაა სასურველი დონისგან. აშკარაა — თუ ჩვენი ძალისხმევის მაქსიმუმს ვერ მივაღწევთ... თუ არ შევმატებთ ჩვენს ძალისხმევას იმ ერების ძალისხმევას, რომლებიც მსოფლიოში მშვიდობისთვის იბრძვიან, ისეთ სიტუაციაში აღმოვჩნდებით, როცა განმარტოებით ბრძოლა მოგვიწევს და მაშინ გაცილებით დიდი საფრთხის წინაშე დავდგებით, ვიდრე ახლა ვდგავართ".

ასე აუწყა პრეზიდენტმა მოსახლეობას საკუთარი მზადყოფნის შესახებ, მხარში ამოსდგომოდა ფაშიზმთან მებრძოლ ქვეყნებს და მათ შორის, საბჭოთა კავშირს.

უკვე იმავე თვის ბოლოს, მისი საგანგებო დესპანის რანგში, მოსკოვში ჰარი ჰოპკინსი გაემგზავრა. მისი ხელით სტალინისთვის გაგზავნილ წერილში ფრანკლინ რუზველტი წერდა: „მისტერ ჰოპკინსი მოსკოვში ჩემი თხოვნით იმ მიზნით იმყოფება, რათა გესაუბროთ თქვენ და იმ ოფიცილურ პირებს, რომლებსაც თქვენ დანიშნავთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად — როგორ შეუძლია შეერთებულ შტატებს, ყველაზე აუცილებელი და ეფექტიანი დახმარება გაუწიოს საბჭოთა კავშირს".

იოსებ სტალინთან 30 და 31 ივლისს გამართული შეხვედრების შემდეგ, ჰოპკინსმა პრეზიდენტს მოახსენა, რომ სტალინს წარმოუდგენლად ესახებოდა ამერიკის დახმარების გარეშე გერმანიის შეჩერება, რომლის ხელშიც მთელი ოკუპირებული ევროპის რესურსები იყო მოქცეული. ამასთანავე, პრეზიდენტის საგანგებო წარმომადგენელი აღნიშნავდა, რომ სამხედროებთან საუბრებისა და ფრონტის ხაზთან ხანმოკლე მგზავრობის შედეგად, მას შეექმნა შთაბეჭდილება, რომ გერმანელები ვერც მოსკოვს და ვერც ლენინგრადს ვერ დაიკავებდნენ, თუმცა ეს საბჭოთა კავშირს უდიდესი მატერიალური და ადამიანური რესურსების მობილიზების ფასად დაუჯდებოდა.

საბჭოთა კავშირისთვის დახმარების გასაწევად რუზველტს პოლიტიკური წრეებისა და მოსახლეობის შემზადება სჭირდებოდა. მან უჩვეულო ხერხს მიმართა — ჯართის, უპირველესად კი ალუმინის შეგროვების ინიციატივით გამოვიდა, რომელიც აღმოსავლეთის ფრონტზე გასაგზავნი თვითმფრინავების წარმოებას უნდა მოხმარებოდა. რასაკვირველია, ჰაიდ-პარკის მამულის მდელოზე მოქალაქეების მიერ მოტანილი ჩაიდნებითა თუ სხვა საოჯახო ჭურჭლეულით, რომელსაც რუზველტები აგროვებდნენ, ან თუნდაც ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში დაწყებული მსგავსი აქციებით მოგროვილი მასალით ბევრ სამხედრო თვითმფრინავს ვერ ააგებდი,

მაგრამ თვით „სარეკლამო კამპანიას“ უდავოდ, კარგი მაგალითის ძალა ჰქონდა — მას ამერიკელებისთვის უნდა დაენახვებინა, რომ ჰიტლერიზმის დასამარცხებლად იდეოლოგიური მოწინააღმდეგის როლში მყოფი სახელმწიფოც ახალ მოკავშირედ უნდა აღექვათ.

ამ და სხვა ქმედითი ნაბიჯების შედეგად, ფრანკლინ რუზველტმა მიაღწია იმას, რომ უკვე 1941 წლის ოქტომბრიდან ლენდ-ლიზის კანონი საბჭოთა კავშირზეც გავრცელდა.

თავი XXIX

მთავარი მოკავშირე და ატლანტიკური ქარტია

1941 წლის აგვისტოში შეერთებული შტატების პრეზიდენტი ნიუფაუნდლენდის კუნძულისკენ გაემგზავრა. მის ნაპირებთან ხან ამერიკულ გემზე, ხან ბრიტანულ ხომალდზე ფრანკლინ რუზველტისა და უინსტონ ჩერჩილის შეხვედრები მიმდინარეობდა.

პირველი მოლაპარაკებები ძირითადად წარმატებით დასრულდა, თუმცა ერთ მნიშვნელოვან საკითხში ვერ შეთანხმდნენ: ჩერჩილი ყველა ღონეს ხმარობდა, რომ რუზველტი ომში დაუყოვნებლივ ჩაბმაზე დაეყოლიებინა, მაგრამ ამაოდ. სამაგიეროდ, მხარეებმა საიდუმლოდ ჩატარებული მოლაპარაკებების შედეგი ამცნეს მსოფლიოს: 14 აგვისტოს გამოქვეყნდა აშშ-ის პრეზიდენტისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მიერ ხელმოწერილი დეკლარაცია, რომელიც ატლანტიკური ქარტიის სახელით დარჩა ისტორიაში.

ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტში მხარეები შეეცადნენ, განეჭვრიტათ ხვალინდელი დღე — იმ ომის შემდგომი მომავალი, რომელიც მხოლოდ საწყის ეტაპზე იყო და კაცობრიობას მილიონობით ადამიანის მსხვერპლს უქადდა. ქარტიაში დეკლარირებული იყო

ტოტალიტარიზმისგან თავისუფალი მსოფლიოს წესწყობილება, რომელიც დედამიწაზე ომის შემდგომ უნდა დამყარებულიყო. მის ძირითად დებულებებს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა: აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მხრიდან ნებისმიერი სახელმწიფოს მიმართ ტერიტორიული პრეტენზიების გამორიცხვა; სახელმწიფოებს შორის ტერიტორიული დავების მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოგვარება; ერების თვითგამორკვევის უფლება; მსოფლიო ვაჭრობაში საბაჟო და სხვა ბარიერების შემცირება; საყოველთაო ეკონომიკური თანამშრომლობა ხალხთა კეთილდღეობის ამაღლების მიზნით; სიღატაკისა და შიშისგან თავისუფლება; აგრესორი სახემწიფოების განიარაღება და საყოველთაო განიარაღება ომის დასრულების შემდგომ.

ნათელია — ორმა შორსმჭვრეტელმა მოღვაწემ სააშკარაოზე გამოიტანა კაცობრიობის ყველაზე მტკივნეული პრობლემები, რომელთა დიდი უმეტესობა დღესაც გადაუჭრელია, უფრო მეტიც — ზოგი უფრო მწვავედაც დგას, მაგრამ ამით საკუთარი რაციონალური ოცნება გამოხატა და, თუ გნებავთ, კაცობრიობას პოლიტიკური ანდერძიც კი დაუტოვა...

ბუნებრივია, ქარტიაში წამყვანი ადგილი იმდღევანდელ საზრუნავს ეკავა: მხარეები აცხადებდნენ, რომ მათი უმთავრესი ამოცანა აგრესორი ქვეყნების სამხედრო განადგურება იყო.

აღსანიშნავია, რომ ორივე სახელმწიფოს მოსკოველ ელჩებს დაევალათ, ეცნობებინათ სტალინისთვის მათი შეხვედრის თაობაზე, გადაეცათ მისთვის ატლანტიკური ქარტიის ტექსტი და წინადადება სამი ქვეყნის ხელმძღვანელის შეხვედრის შესახებ. თვე-ნახევრის შემდეგ საბჭოთა კავშირმა ატლანტიკურ ქარტიასთან მიერთების შესახებ გამოაცხადა. იმავე დღეს ანალოგიური განცხადება დაპყრობილი ქვეყნების — ბელგიის, ჰოლანდიის, საბერძნეთის, ლუქსემბურგის, ნორვეგიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის ემიგრანტულმა მთავრობებმა და ასევე, ფრანგი გენერლის, შარლ დე გოლის მიერ ლონდონში შექმნილი ორგანიზაცია „თავისუფალი საფრანგეთის" მესვეურებმაც გააკეთეს.

შეერთებული შტატები უფრო მიუახლოვდა ომში ჩაბმის მომენტს, თუმცა წინ კიდევ წელიწადზე მეტი რჩებოდა, რომელიც პრეზიდენტმა რუზველტმა მაქსიმალურად გამოიყენა სახელმწიფოს გასაძლიერებლად.

თავი XXX

პერლ-ჰარბორი – „სირცხვილის დღე“

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელ მზვერავებს იაპონელთა ცნობილი დასაშიფრი მანქანა „ენიგმის“ მეშვეობით გადაცემული მიმოწერის გაშიფვრის შესაძლებლობა მიეცათ და მათი გეგმების თაობაზე დიდძალ ინფორმაციას იღებდნენ, შეერთებულმა შტატებმა მოულოდნელ, გამანადგურებელ თავდასხმას თავი ვერ აარიდა.

უორმ-სპრინგსში ცოტა ხნით დასასვენებლად წასულმა პრეზიდენტმა მესამე დღეს სახელმწიფო მდივან ჰალისგან შემაშფოთებელი ცნობა მიიღო: იაპონიის პრემიერ-მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას თავხედურად გაილაშქრა აშშ-ის წინააღმდეგ და პირდაპირ განაცხადა, რომ დროა დასრულდეს ბრიტანელთა და ამერიკელთა ბატონობა შორეულ აღმოსავლეთში, ხოლო იმ დროს ვაშინგტონში დაწყებულ იაპონურ-ამერიკულ მოლაპარაკებაზე, რომელშიც იაპონია მხოლოდ ამერიკელთა სიფხიზლის მოსადუნებლად ჩაება, მათი დელეგაცია აშკარად განზრახ ძაბავდა სიტუაციას. ჰალის ვარაუდით, იაპონიის მხრიდან თავდასხმა მოახლოებული იყო, თუმცა დაზვერვა რაიმე კონკრეტულ ინფორმაციას ამის თაობაზე ხელმძღვანელობას ვერ აწვდიდა.

რუზველტი სასწრაფოდ დაბრუნდა ვაშინგტონში. რამდენიმე დღის შემდეგ, 7 დეკემბერს კი, მას მიაწოდეს

გაშიფრული იაპონური დოკუმენტების ტექსტი, რომლის გაცნობისას პრეზიდენტმა თქვა: „როგორც ჩანს, იაპონელები ურთიერთობის გაწყვეტას აპირებენ". მაგრამ საქმე სულ სხვაგვარად იყო. იმავე დღეს იაპონურმა ბომბდამშენებმა ორ ნაკადად (პირველ იერიშს 183 თვითმფრინავი ახორციელებდა, მეორეს — 170), უმძიმესი დარტყმა მიაყენეს ჰავაის კუნძულ პერლ-ჰარბორზე მდებარე უდიდეს ამერიკულ სამხედრო-საზღვაო ბაზას.

მასირებული დაბომბვის შედეგად აშშ-მა წყნარ ოკეანეში განლაგებული თითქმის მთელი თავისი ფლოტი დაკარგა, განადგურდა 349 თვითმფრინავი; ამას დაემატა ზარალი, რომელიც შეერთებულ შტატებს პარალელურად ჩატარებული ოპერაციების შედეგად მიაყენეს გუამის, მიდუეის, უეიკის კუნძულებზე, ფილიპინებსა და ბრიტანულ მალაიაში. ბედად, განადგურებას გადაურჩა ოთხი ავიამზიდი, რომლებიც ოკეანეში იყო გასული, და კიდევ — ჰავაის კუნძულებზე განთავსებული ნავთობპროდუქტების საცავები, რომლებიც თითქმის მთელ იაპონურ მარაგს უტოლდებოდა და უცნაური გარემოების გამო, იაპონელთა თავდასხმის ობიექტად არ ქცეულა.

შესაძლოა, ფრანკლინ რუზველტის პოლიტიკურ ბიოგრაფიაში ეს დღე ყველაზე თავზარდამცემი იყო, იმდენად გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე პერლ-ჰარბორზე განხორციელებულმა თავდასხმამ. ინფორმაცია მომხდარის შესახებ პრეზიდენტს სამხედრო-საზღვაო მინისტრმა ნოკსმა მოახსენა. თავიდან პრე-

ზიდენტმა უბრალოდ არ დაიჯერა ეს. მან რამდენიმეჯერ გაიმეორა: „ეს ალბათ შეცდომაა“...

ცოტა ხანში უინსტონ ჩერჩილმა დაურეკა. „ბატონო პრეზიდენტო, რაღაც მართლა მოხდა იაპონისთან დაკავშირებით?“ — იკითხა მან. — „დიახ, — უპასუხა რუზველტმა, — პერლ-ჰარბორში შემოგვიტიეს. ახლა უკვე ერთ ნავში ვართ“.

პირველი საათები პრეზიდენტი სრულიად დაბნეული იყო, ძალაგამოლეულ კაცს ჰგავდა და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, შეურაცხყოფილად და შერცხვენილად გრძნობდა თავს: მისთვის, როგორც წარსულში სამხედრო მეზღვაურისა და პირველი ომის დროინდელი ფლოტის ერთ-ერთი ხელმძღვანელისთვის, ფლოტისთვის მიყენებული დარტყმა განსაკუთრებულად მტკივნეული აღმოჩნდა. გარდა ამისა, ის გახდა პირველი პრეზიდენტი ჯეიმს მედისონის (1751-1836) შემდეგ, რომლის მმართველობის დროსაც სახელმწიფომ ყველაზე დიდი სამხედრო მარცხი განიცადა — მანამდე ეს შეერთებულმა შტატებმა ინგლის-ამერიკული ომის დროს (1812-1814) განიცადა, როდესაც ინგლისელებმა ვაშინგტონი გადაწვეს...

და მაინც, როგორც დიდ სახელმწიფო მოღვაწეს შეჰფერის, ფრანკლინ რუზველტი მალე გამოერკვა. საინტერესოა მისი მეუღლის, ელინორის მოგონება, რომელიც აღნიშნავდა, რომ ფრანკლინი „განწირული სიმშვიდის“ შენარჩუნებას ახერხებდა: „გარშემო აგზნებული

ჩინოვნიკები დარბოდნენ, ის კი, თუმცა გადაქანცული იერი ჰქონდა, იჯდა მაგიდასთან და გარშემო გაბატონებული ემოციებისადმი სრულიად გულგრილი გეგონებოდათ. ყოველი მომდევნო ცნობა წინაზე უარესი ჩანდა, მაგრამ ის სიმშვიდეს ინარჩუნებდა. ეს მისთვის საკმაოდ ჩვეულებრივი გახდა. როცა ძალიან ცუდი რაღაც ხდებოდა, ის ლამის აისბერგად იქცეოდა, რომელიც თითქმის არანაირ ემოციას არ ამჟღავნებდა".

მეორე დღეს პრეზიდენტი კონგრესის ორივე პალატის ერთობლივი საგანგებო სხდომის წინაშე წარდგა და განაცხადა, რომ მომხდარი „სამუდამოდ დარჩება სირცხვილის დღედ". ის მოკლე, ცულის დარტყმებივით მოსხეპილი ფრაზებით ჰყვებოდა 7 დეკემბრის თავზარდამცემი მოვლენების შესახებ, რომელიც ამერიკელთა გულებში ტკივილისა და სირცხვილის გრძნობების ნაზავს იწვევდა:

„...გუშინ იაპონური მთავრობა თავს დაესხა აგრეთვე მალაიას. წუხელ ღამით იაპონურმა ჯარებმა იერიში მიიტანეს ჰონკონგზე. წუხელ ღამით იაპონურმა ჯარებმა იერიში მიიტანეს გუამზე. წუხელ ღამით იაპონურმა ჯარებმა იერიში მიიტანეს ფილიპინების კუნძულებზე. წუხელ ღამით იაპონური ჯარები თავს დაესხნენ უეიკის კუნძულს. ამ დილით კი იაპონურმა ჯარებმა იერიში მიიტანეს მიდუეის კუნძულზე".

შემდეგ რუზველტმა განაცხადა, რომ, როგორც უმაღლესმა მთავარსარდალმა, გასცა განკარგულება

ქვეყნის თავდაცვისთვის საჭირო ყველა აუცილებელი ზომის მიღების თაობაზე და დასძინა: „რა დროც უნდა დაგვჭირდეს მტრის შემოტევის მოსაგერიებლად, საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული ამერიკელები საბოლოო გამარჯვებამდე იბრძოლებენ“. მისი წინადადებით, კონგრესმა კენჭი უყარა დეკლარაციას იაპონიისთვის ომის გამოცხადების შესახებ, რომელსაც ორივე პალატამ ერთხმად დაუჭირა მხარი. სამი დღის შემდეგ აშშ-ს ომი გამოუცხადა გერმანიამ. უპირველესი აგრესორი სახელმწიფოს მეთაური ადოლფ ჰიტლერი იმ დღეს რაიხსტაგში გამოსვლისას რუზველტზე ქილიკს მოჰყვა და ომის გაჩაღებაში სწორედ აშშ-ის პრეზიდენტი დაადანაშაულა: ფიურერის თქმით, სწორედ „ამ კაცს, მილიონერებისა და ებრაელების მხარდაჭერით“, აწვა მხრებზე პასუხისმგებლობა მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთვის.

გერმანიის კვალდაკვალ, შეერთებულ შტატებს ომი გამოუცხადეს მისმა დაპყრობილმა სატელიტებმა — რუმინეთმა, უნგრეთმა და ბულგარეთმა. ასე, უკვე ოფიციალურად, დასრულდა აშშ-ის ნეიტრალიტეტი, რომელიც მანამდე კარგა ხნით ადრე, ფაქტობრივად, უკვე დარღვეული იყო.

ამ მოვლენასთან დაკავშირებით „ბუხართან საუბრის“ ფორმატით მორიგი გამოსვლისას ფრანკლინ რუზველტმა თქვა:

„ახლა ჩვენც ომის მონაწილეები ვართ. მეომარ ქვეყნად ვიქეციით ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ჩვენი ყველა მოქალაქე — მამაკაცები, ქალები, ბავშვები — ამერიკულ ისტორიაში ყველაზე დიდი კამპანიის მონაწილეა. ჩვენ ყველას ერთად მოგვიწევს ცუდი და კარგი ცნობების, მარცხისა და გამარჯვების, ომის დროის ყოველგვარი ავ-კარგის ურთიერთგაზიარება. ჯერჯერობით, ცუდი ცნობები ჭარბობს... — დაუფარავად უთხრა თანამემამულეებს რუზველტმა და ამასთანავე გააფრთხილა, რომ არასდროს აჰყოლოდნენ მოარულ ხმებს: — ომიანობის დროს ნებისმიერ მარცხს უამრავი მონაჭორი სდევს, რომელმაც შეიძლება, სრული კატასტროფის შთაბეჭდილება შექმნას. ყველანაირ ცნობას კრიტიკული თვალით უნდა შეხედოთ და შესაფერისი შეფასება მისცეთ, — გააფრთხილა მან მოქალაქეები და, ბოლოს, კვლავ ამერიკელთა ოპტიმიზმს მოუხმო: — ჩვენი მიზანია, გავიმარჯვოთ არა მარტო ამ ომში, არამედ მშვიდობიანობის დროს, რომელიც მას მოჰყვება. ამ ძნელბედობის ჟამს — და იმ პირქუშ დღეებშიც, რომლებიც ჯერ კიდევ წინ გვიდევს, — ჩვენ გვეცოდინება, რომ დედამიწაზე მცხოვრებ ადამიანთა უმრავლესობა ჩვენს მხარესაა. ბევრი მათგანი ჩვენთან ერთად იბრძვის და ყველა ჩვენთვის ლოცულობს, რადგან ჩვენ ვიბრძვით არა მარტო ჩვენთვის, არამედ მათთვისაც, ვიცავთ ჩვენს საერთო იმედს, რომ ღვთის მფარველობით, თავისუფალი ცხოვრების დამკვიდრებას შევძლებთ“.

თავი XXXI

ურთიერთობა მოკავშირეებთან, გაეროს კონტურები და ეკონომიკური პოლიტიკა ომის პირობებში

ჯერ კიდევ ომში პირდაპირ ჩაბმამდე, ფრანკლინ რუზველტი განსაკუთრებული ზრუნვის საგნად მოკავშირეებთან ურთიერთობების განმტკიცებას მიიჩნევდა. ბუნებრივია, ეს, პირველ რიგში, დიდ ბრიტანეთსა და მის ლიდერ უინსტონ ჩერჩილს შეეხებოდა, რომელიც პრეზიდენტის მიწვევით, ვაშინგტონში 1941 წლის დეკემბრის დამლევს ჩავიდა და 1942 წლის იანვრის დამლევამდე დაყო. უკვე მაშინ დადგა კოორდინირებული მოქმედებისთვის საჭირო ერთობლივი ორგანოს შექმნის საკითხი, რა დროსაც რუზველტმა მიაღწია მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ წარმატებას, როცა ჩერჩილთან არცთუ ისე იოლი პაექრობა დააგვირგვინა გადაწყვეტილებით, რომ შტაბების გაერთიანებულ კომიტეტს ვაშინგტონში უნდა დაედო ბინა, ამასთანავე, მის ხელმძღვანელად ამერიკელი გენერალი მარშალი დაინიშნა. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა მოკავშირეებს შორის ძალთა ბალანსის შეცვლისა, რომელიც თანდათანობით, შეერთებული შტატების სასარგებლოდ იხრებოდა: საერთო მიზნებისა და ძირითადად გულწრფელი ურთიერთობების მიუ-

ხედავად, ამერიკისა და ბრიტანეთის ლიდერებს შორის აზრთა სხვადასხვაობაც და ზოგ საკითხში ურთიერთსაპირისპირო ინტერესებიც იჩენდა თავს და ამ დროს პრეზიდენტი, იშვიათი დიპლომატიური ნიჭისა და პარტნიორის დარწმუნების საუცხოო უნარის წყალობით, საკუთარ გადაწყვეტილებაზე თვით ჩერჩილის დაყოლიებასაც ახერხებდა.

ფრანკლინ რუზველტმა სრულიად უნიკალური როლი შეასრულა არა მარტო ანტიჰიტლერული კოალიციის გამტკიცებაში, არამედ ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში, რომელსაც მაშინ პირობითად „გაერთიანებულ ერებს" ეძახდნენ. საინტერესოა, რომ თვით ამ ტერმინს რუზველტი დაესესხა ჯორჯ ბაირონს, რომელმაც ის გამოიყენა პოემაში „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა". ცხადია, მოკავშირის ინიციატივას ჩერჩილმა უყოყმანოდ დაუჭირა მხარი. ამერიკის პრეზიდენტის ინიციატივით, ისინი შეთანხმდნენ დოკუმენტის შინაარსსა და იმაზე, რომ მისი ხელმოწერა აგრესიული ბლოკის მოწინააღმდეგე სახელმწიფოებისთვის შეეთავაზებინათ.

მართლაც, 1942 წლის 1-ელ იანვარს ვაშინგტონში გაერთიანებული ერების დეკლარაციას ხელი მოაწერეს: პრეზიდენტმა რუზველტმა, პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა, საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრმა ლიტვინოვმა და ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სუნ

ძი-ვენმა, როგორც „დიდი ოთხეულის“ წარმომადგენლებმა. ცოტა ხანში დეკლარაციას შეუერთდნენ: ბრიტანეთის დომინიონების — ავსტრალიის, კანადის, ახალი ზელანდიის, სამხრეთაფრიკული კავშირის და იმ დროს კოლონიური ინდოეთის (ამ უკანასკნელის მონაწილეობაზე ჩერჩილი რუზველტმა დაიყოლია), ცენტრალური ამერიკისა და კარიბის აუზის ცხრა ქვეყნისა და ევროპის რვა ოკუპირებული ქვეყნის დევნილი მთავრობების წარმომადგენლებმა. 1942-დან 1945 წლამდე დეკლარაციას კიდევ 21 სახელმწიფო შეუერთდა.

საერთაშორისო არენაზე შეერთებული შტატების წამყვანი პოზიციის დაკავებასთან პირდაპირი კავშირი ჰქონდა პრეზიდენტის საშინაო პოლიტიკის უახლეს პროგრამას, რომელიც მან 1942 წლის 6 იანვარს კონგრესის ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე წარმოადგინა მიმართვაში — „ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ“.

ომში ჩაბმიდან თავის პირველ ოფიციალურ მოხსენებაში რუზველტმა ყურადღება გაამახვილა კაცობრიობის წინაშე წამოჭრილი პრობლემის მორალურ-ეთიკურ მხარეზე და შეეცადა, არა მხოლოდ პოლიტიკოსებისთვის, არამედ მთელი მოსახლეობისთვის დაენახვებინა, თუ რა საფრთხის წინაშე იდგა მსოფლიო:

„ეს კონფლიქტი არ შეიძლება დასრულდეს კომპრომისით. სიკეთესა და ბოროტებას შორის დამაკმაყოფი-

ლებელი კომპრომისი ხომ საერთოდ წარმოუდგენელია. მხოლოდ სრული გამარჯვება შეიძლება იყოს საკმარისი მათთვის, ვინც შემწყნარებლობას, ღირსებას, თავისუფლებასა და რწმენას ქადაგებს". ამ ეთიკური პრინციპების დასაცავად და სარეალიზაციოდ კი უდიდესი საყოველთაო ძალისხმევა, სამხედრო ძლიერების არნახული დონის მიღწევა იყო საჭირო. ამიტომაც პრეზიდენტი ქვეყნის წინაშე სახავდა სამხედრო ეკონომიკის განვითარების გეგმას, რომელსაც „გამარჯვების პროგრამა" უწოდა. თუ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ მის მიერ გამოცხადებული ამოცანა — წელიწადში 50 ათასი სამხედრო თვითმფრინავის წარმოება — ბევრს უტოპიურად ეჩვენებოდა, ახლა რუზველტმა ეს ციფრი 60 ათასამდე გაზარდა, მომავალი წლის გეგმით კი აშშ-ს 125-ათასიანი ნიშნულისთვის უნდა მიეღწია. მსგავსი დინამიკა დაისახა ტანკების და, განსაკუთრებით, სამხედრო ხომალდების წარმოების სფეროშიც. „დიდი იმედი მაქვს, — დასძინა რუზველტმა, — რომ ეს ციფრები სათანადო შთაბეჭდილებას მოახდენს გერმანიისა და იაპონიის მოსახლეობაზე".

პროგრამის სარეალიზაციოდ ჩამოყალიბდა სამხედრო წარმოების საბჭო, რომლის გადაწყვეტილებათა შესრულება არა მარტო სახელმწიფო, არამედ კერძო ორგანიზაციებისთვისაც სავალდებულო იყო. ჯერ კიდევ ომში ჩაბმამდე ხელისუფლებისა და პირველ რიგში,

პრეზიდენტის მიერ გადადგმული ქმედითი ნაბიჯების შედეგად, მხოლოდ 1941-1942 წლებში აშშ-ში 1 600 ახალი სამხედრო ქარხანა აშენდა.

ასეთივე ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა ომის პირობებში ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების მოსაწესრიგებლად, რაც მოსახლეობისთვის გაუთვალისწინებელი სირთულეების თავიდან აცილებას ემსახურებოდა. 1942 წლის აპრილში პრეზიდენტმა გამოსცა დადგენილება სასიცოცხლო პროდუქტების ნორმირებული გაცემისა და ფასების კონტროლის შესახებ. თავდაპირველად, მსგავს შეზღუდვებს მიუჩვეველ ამერიკელებში ამ ზომამ გარკვეული შფოთვა გამოიწვია, თუმცა მას სერიოზული წინააღმდეგობა არ მოჰყოლია. რუზველტმაც, ჩვეულებისამებრ, არ დააყოვნა მოსახლეობისთვის აუცილებელი ახსნა-განმარტება და კონგრესში დოკუმენტის შეტანის წინადღეს, რადიოთი გამოსვლისას აუხსნა „შვიდი პუნქტის“ პროგრამის არსი, რომელიც ძირითადად, ფასების ხელოვნური ზრდის აღსაკვეთად იყო მიმართული.

დადგენილებით გათვალისწინებული იყო: კომპანიების მოგების შეჩერება „გონივრულად დაბალ დონეზე“, ფასების „ჭერის“ განსაზღვრა, ხელფასებისა და საკვები პროდუქტების ფასების სტაბილიზაცია, სამხედრო სესხის ახალი ობლიგაციების გამოშვება, დეფიციტური საქონლის მოხმარების ნორმირება, ნისიად ვაჭრო-

ბის შემცირება და ვალებისა და გირავნობის დაფარვის სტიმულირება.

„ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ხელი შეგვიშალონ ისეთმა ადამიანებმა, რომლებიც საკუთარ ინტერესებს ქვეყნის ინტერესებზე მაღლა აყენებენ, — განაცხადა პრეზიდენტმა. — ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ხელი შეგვიშალონ მათ, ვინც ობიექტური კრიტიკის ნაცვლად ფაქტების ფალსიფიცირებით გვიპირისპირდება... მაგრამ ყველაზე მეტად შევეწინააღმდეგებით იმას, რომ ჩვენს მართალ საქმეს დაემუქროს მყვირალა მოღალატეების — ამერიკის მოღალატეების და თვით ქრისტიანობის მგმობელთა მოქმედებები, რომლებიც საკუთარ თავს მომავალ დიქტატორებად ხედავენ, გულში უკვე დანებდნენ ჰიტლერიზმს და მიისწრაფვიან, რომ ჩვენი რესპუბლიკაც მათ ნაკარნახევ გზას დაადგეს“.

ასეთი იყო რუზველტის პასუხი მსხვილი კაპიტალის იმ წარმომადგენლებისთვის, რომლებიც შემოღებული ნორმირების გამო რუზველტს კვლავ სოციალისტობაში ადანაშაულებდნენ.

თავი XXXII

სუპერსახელმწიფოს ნიშნები და „გაუგებარი" იარაღის ჩანასახი

იმავე წლის სექტემბერში რუზველტი ელინორთან ერთად, ქვეყნის რამდენიმე კუთხეში განლაგებულ სამხედრო-სამრეწველო ობიექტებს ეწვია. ორკვირიანი მოგზაურობის დროს ის ტანკების, თვითმფრინავების, ხომალდების წარმოებას გაეცნო. პრეზიდენტსა და მის გარემოცვაზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ფორდის ქარხნის თვითმფრინავების საამქრომ, სადაც პრეზიდენტი ავტომანქანით გადაადგილებისას, ფაქტობრივად, მთელ პროცესს — ალუმინის ფურცლების გადმოტვირთვიდან, აწყობილი თვითმფრინავის კონვეიერიდან გადმოსვლამდე — გაეცნო. ჰენრი ფორდმა წარმოუდგენელ შედეგს მიაღწია — მისი ქარხნები დღეში 100 თვითმფრინავს აწარმოებდა. მოგვიანებით იმავე საწარმოს დათვალიერების შემდეგ უინსტონ ჩერჩილს ფორდისთვის უთქვამს: ეს რომ ჰიტლერმა ნახოს, უმალ საკუთარი ხელით ყელს გამოიჭრიდაო.

ამასობაში ამერიკულმა და ინგლისურმა ჯარებმა გენერალ ეიზენჰაუერის სარდლობით, ჩრდილოეთ აფრიკაში გადმოსხმის ოპერაცია „ჩირაღდანი" დაიწყეს,

რომლის მიზანიც აფრიკულ კონტინენტზე ფრანგული კოლონიების გათავისუფლება, ხმელთაშუა ზღვაზე კონტროლის დაწესება და მომდევნო წლისთვის ევროპაში გადმოსხმის მომზადება იყო.

ამ დროს უკვე მთელი მასშტაბით ამოქმედებული იყო ლენდ-ლიზის პროგრამები, რომლებიც დიდ დახმარებას უწევდა მოკავშირეებს, საბჭოთა კავშირის ჩათვლით, და ამასთანავე, ამერიკის ეკონომიკაში არნახული ზრდის საფუძვლადაც იქცა. საკუთრივ წარმოების გარდა, გაჩნდა ახალი ტექნოლოგიების შემუშავების საჭიროება, რასაც პრეზიდენტმა მყის უპასუხა: 1942 წლის გაზაფხულზე მან ხელი მოაწერა განკარგულებას შეიარაღებისა და აღჭურვილობის ახალი სახეობების გაერთანებული კომიტეტის ჩამოყალიბების შესახებ, რომელსაც სამეცნიერო ლაბორატორიებისა თუ პოლიგონების მოწყობისთვის საჭირო ყველა ზომის მიღება ეკისრებოდა. იმ დროს შემუშავებული სიახლეების ყველაზე მარტივ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ საკვები პროდუქტების სუბლიმირების (გაუწყლოების) ტექნოლოგია, რომელიც მათი კვებითი ღირებულების შენარჩუნებას ითვალისწინებდა; ასე გაჩნდა კვერცხისა და რძის ფხვნილები, გამხმარი ბოსტნეული.

რაც შეეხება საკუთრივ სამხედრო ტექნიკის ახალ სახეობებს, ჩვეულებრივი შეიარაღების მოდერნიზებას-

თან ერთად, საგანგებო ადგილი ჰქონდა მიჩენილი ატომური ენერგიის კვლევას, რომელიც ჯერ კიდევ ომში აშშ-ის ჩაბმამდე დაიწყო და თანდათან, სულ უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა.

ეს პროცესი 1939 წელს დაიწყო, როდესაც რუზველტს მოახსენეს, რომ ნაცისტურ გერმანიაში ფიზიკოსები ჯერჯერობით სრულიად გაურკვეველი, საშინელი იარაღის შექმნას შესდგომოდნენ, რომელიც ატომის ბირთვის დაშლასთან იყო დაკავშირებული. უნგრეთიდან ჩამოსულმა გამოჩენილმა მეცნიერმა ლეო სცილარდმა, მის თანამემამულე ეუგენ ვიგნერთან ერთად, ეს ამბავი ასევე აშშ-ში ემიგრირებულ ალბერტ აინშტაინს აცნობა. სცილარდის მონაწილეობით აინშტაინმა მოამზადა წერილი სახელმწიფო დეპარტამენტისთვის, მაგრამ მერე მათ მიიჩნიეს, რომ წერილს მეტი გულისყურით მოეკიდებოდნენ, თუკი რომელიმე სახელმწიფო მოღვაწეს პირადად გადასცემდნენ.

შუამავლის შერჩევისას, რუსეთიდან ემიგრირებულ მსხვილ ფინანსისტ ალექსანდრ საქსზე შეჩერდნენ, რომელსაც თეთრ სახლში სტუმრობის შესაძლებლობა ჰქონდა. ერთობლივად შეადგინეს ახალი წერილი, სადაც უფრო ლაკონიურად და ნათლად იყო ჩამოყალიბებული საკითხის არსი, ამასთანავე გადაწყვიტეს, რომ ის არა სახელმწიფო დეპარტამენტისთვის, არამედ უშუალოდ

პრეზიდენტისთვის მიეწოდებინათ, რადგან მისგან გაცილებით ქმედით რეაგირებას ელოდნენ. წერილში განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დათმობილი ურანის საბადოებზე წვდომის აუცილებლობას, რომელიც ბელგიის კოლონია კონგოში მდებარეობდა, ამდენად, ბელგიასთან შეთანხმებაზე იქნებოდა დამოკიდებული. ამასთანავე, პრეზიდენტს ატყობინებდნენ, რომ გერმანიამ შეწყვიტა მის მიერ დაპყრობილი ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე არსებული ურანის საბადოებიდან ამ ნივთიერების გაყიდვა, რაც ბირთვულ პროექტზე მუშაობის ფაქტს ადასტურებდა.

წერილს, ერთობლივი გადაწყვეტილებით, როგორც მსოფლიოში აღიარებულმა მეცნიერმა, მხოლოდ ალბერტ აინშტაინმა მოაწერა ხელი.

თავიდან რუზველტი ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა აინშტაინის წერილის მთავარი პასაჟი: „ფერმისა და სცილარდის ზოგიერთი ბოლოდროინდელი ნამუშევარი, რომლებიც ხელნაწერის სახით მიჩვენეს, მაფიქრებინებს, რომ უახლოეს მომავალში ურანი ენერგიის ახალ და უაღრესად მნიშვნელოვან წყაროდ შეიძლება იქცეს". დამატებითი განმარტებების მოსმენის შემდეგ რუზველტმა საქსს პირდაპირ ჰკითხა: „ხომ არ გინდა თქვა, რომ ნაცისტებს შეეძლებათ აგვაფეთქონ?.. — და დასძინა: ეს ჩვენგან ქმედით ზომებს მოითხოვს".

შემდეგ ფიზიკოსებმა ვრცელი მემორანდუმი და თანდართული მასალები შეადგინეს და ფაქტობრივად, დაიწყო ე.წ. მანჰეტენის პროექტი. იმ დროს თავად მკვლევრებსაც ვერ წარმოედგინათ, თუ რა მასშტაბის სამუშაო ედოთ წინ, და მის დასაფინანსებლად, ანუ მხოლოდ ფორმულების სამხედრო-ტექნიკურ ენაზე „გადასათარგმნად“, სასაცილო თანხა — 2.000 დოლარი მოითხოვეს. დღეს წარმოუდგენელია იმის დაჯერება, რომ სამხედროები ამ ნაბიჯსაც შეეწინააღმდეგნენ: ერთ-ერთმა მათგანმა განაცხადა, — ვიდრე ახალი იარაღი შეიქმნება, კიდევ არაერთი ომი ჩაივლისო...

რუზველტმა დაფინანსების უზრუნველყოფა ბრძანა და აინშტაინსაც მადლობა შეუთვალა, ხოლო ცოტა ხანში თავადაც გაუგზავნა წერილი, სადაც მის საპასუხოდ მიღებული ზომების შესახებ „ანგარიში ჩააბარა“. პროექტს მხოლოდ მისი პირადი ჩარევის შედეგად აენთო მწვანე შუქი, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ მისმა დაფინანსებამ, ფაქტობრივად, შეუზღუდავი ხასიათი მიიღო. ბუნებრივია, აშშ-ის ომში ჩაბმის შემდეგ სამუშაოს ტემპს გადახედეს და მისი დაჩქარების ზომები მიიღეს. ამასთან, საგანგებო ზრუნვის საგანი იყო ყველანაირი ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვა, რადგან გერმანიაშიც ანალოგიური კვლევები მიმდინარეობდა და ნაცისტების დაწინაურება მოკავშირეებს მომაკვდინებელ დარტყმას მიაყენებდა.

რუზველტმა საკმაოდ ადრე გაიაზრა, რომ ატომური იარაღი არა მხოლოდ სამხედრო პრობლემების გადაჭრის, არამედ ომის შემდგომ მსოფლიოში წონასწორობის შენარჩუნების ეფექტიანი საშუალებაც იქნებოდა. იმასაც შიშობდა, რომ სტალინის ხელში, საბჭოთა კავშირის „თარგზე" მისი მეზობელი ევროპული თუ აზიური სახელმწიფოების მოწყობის იარაღად შეიძლებოდა ქცეულიყო, ამიტომ მხოლოდ ჩერჩილს უზიარებდა ინფორმაციას პროექტის შესახებ.

რუზველტი ჰიტლერზე გაცილებით შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა: ფიურერმა სათანადოდ ვერ შეაფასა საქმის გრანდიოზული მასშტაბი, უკმაყოფილო იყო სამუშაოს ტემპით და, როცა 1942 წლის ივნისში შეიარაღების მინისტრმა შპეერმა მოახსენა, რომ პროექტის დასრულებას კიდევ 3-4 წელი ესაჭიროებოდა, მკვეთრად შეამცირა მისი დაფინანსება და სახსრები ტანკებისა და წყალქვეშა ნავებისთვის ახალი ტიპის ძრავების შემუშავებაზე გადაისროლა. სწორედ ამ დროს, რუზველტის უშუალო ჩარევის წყალობით, ატომურ იარაღზე მუშაობის დაჩქარება დაიწყო და, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა დაზვერვამ მანჰეტენის პროექტში შეღწევაც მოახერხა, ამ სფეროში შეერთებული შტატების პირველობას ვეღარაფერმა შეუშალა ხელი.

აქვე მოკლედ უნდა ვთქვათ რუზველტის წვლილზე ამ იარაღის გამოყენებაში, რომელიც მისი ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ მოხდა.

1944 წლის დამლევს, როცა გრანდიოზული სამუშაო ლოგიკურ დასასრულს უახლოვდებოდა, როგორც პრაქტიკული, ასევე, ნაწილობრივ, ემოციური მოტივებით, ფრანკლინ რუზველტმა გადაწყვიტა, ატომური ბომბი პირველად იაპონიის თავზე გამოეცადათ. 30 დეკემბერს გაიმართა თათბირი ვიწრო წრეში, რომელზეც ატომური ბომბის გამოსაყენებლად ბომბდამშენთა მფრინავი ჯგუფის მომზადების საკითხი განიხილეს. პრეზიდენტს შეგნებული ჰქონდა, რომ ეს მომზადება არა მარტო ზედმიწევნით სამხედრო, არამედ ფსიქოლოგიურიც უნდა ყოფილიყო.

შემოიხაზა ქალაქების წრე, რომელიც დაბომბვის ობიექტად უნდა ქცეულიყო. თავდაპირველად სიაში შედიოდა: ხიროსიმა, ნიიგატუ, ნაგასაკი, კოკურა და კიოტო. მრჩევლების რეკომენდაციით, ძველი დედაქალაქი, მსოფლიო მნიშვნელობის კულტურულ-რელიგიური ცენტრი კიოტო გამორიცხეს.

ამგვარად, ატომური ბომბის მშვიდობიან იაპონელ მოსახლეობაზე გამოცდისა და მასობრივი განადგურებისთვის პასუხისმგებლობის წილი, — მიუხედავად იმისა, რომ ბრძანება მისმა მემკვიდრემ, ჰარი ტრუმენ-

მა გასცა, — ფრანკლინ რუზველტსაც აწევს. თუმცა, იმ დრომდე რომ ეცოცხლა, შესაძლოა, მოვლენები სხვაგვარად განვითარებულიყო — მაგალითად, ისე, როგორც მეცნიერები ურჩევდნენ.

1944 წლის დეკემბერში ალექსანდრ საქსმა პრეზიდენტს გააცნო ფიზიკოსთა ჯგუფის წინადადებები: ატომური იარაღის საბოლოო გამოცდის შემდეგ, მეცნიერები მოკავშირე და ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენელთა თანდასწრებით, ახალი იარაღის დემონსტრირებას მოახდენდნენ; შემდგომ, საკუთარი და აშშ-ის მთავრობის სახელით, გამოაქვეყნებდნენ კომუნიკეს ამ მეცნიერული მიღწევის არსის შესახებ; აშშ-ის მთავრობა მიმართავდა გერმანიის (თუკი მასთან ომი დასრულებული არ იქნებოდა) და იაპონიის მთავრობებს კაპიტულაციის მოთხოვნით; უარის შემთხვევაში, წინასწარ აცნობებდა მათ დაბომბვის დროსა და ადგილს, ტერიტორიიდან მოსახლეობისა და ცხოველების ევაკუაციის მიზნით.

თუმცა საქსი აღნიშნავდა, რომ რუზველტი ამ წინადადებას დადებითად შეხვდა, მას ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯები არ გადაუდგამს. ამიტომ რამდენიმე თვის შემდეგ სცილარდმა მოამზადა ახალი წერილი, რომელსაც კვლავ აინშტაინმა მოაწერა ხელი. 25 მარტით დათარიღებულ ამ დოკუმენტში მეცნიერი პრეზიდენტს შეახსენებდა პირველ წერილს, რომელსაც პროექტის

შექმნა მოჰყვა, საკითხის საიდუმლო ხასიათის გამო, არსებითად მას არ შეხებია და მხოლოდ სცილარდის მიღებას სთხოვდა, რათა პროექტის პოლიტიკურ ასპექტებთან დაკავშირებით მისი წუხილი მოესმინა.

როგორც ვარაუდობენ, ამ წერილმა ადრესატამდე დროულად ვერ მიაღწია და პრეზიდენტი მას არ გასცნობია...

12 აპრილს ფრანკლინ რუზველტი რომ არ გარდაცვლილიყო, მეცნიერთა რჩევებს ყურად იღებდაო, ამას დანამდვილებით ვერავინ იტყვის, — ჩვენ მხოლოდ ვარაუდი შეგვიძლია, რომ მასობრივი განადგურების იარაღის მშვიდობიან მოსახლეობაზე გამოცდის პირვანდელ გეგმაზე ხელს აიღებდა და იაპონელ ხალხს ამ საშინელ ტრაგედიას არ დაატეხდა თავს.

თავი XXXIII

„დიდი სამეული" თეირანში

შეერთებული შტატების ომში ჩაბმის შემდეგ გაგრძელდა და უფრო გახშირდა კიდეც ორი დიდი მოკავშირის — რუზველტისა და ჩერჩილის შეხვედრები. ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოლაპარაკება მაროკოს ქალაქ კასაბლანკის მახლობლად 1943 წლის იანვარში შედგა. ამ შეხვედრაზე სტალინიც მიიწვიეს, მაგრამ მან მოუცლელობის გამო უარი თქვა: ამით უნდოდა, ხაზი გაესვა საკუთარი გადამწყვეტი წვლილისთვის, რომელიც საბჭოთა ჯარების გამარჯვებებში ედო, ამასთანავე, არ ისურვა ჩასულიყო ქვეყანაში, რომელიც ცოტა ხნით ადრე ამერიკულ-ბრიტანულ ჯარებს გაეთავისუფლებინათ.

მოლაპარაკების პირველსავე დღეს ჩერჩილმა წარმოადგინა საკუთარი გეგმა — ჩრდილოეთაფრიკული სანაპიროს მტრისგან გათავისუფლება და იქ სამხედრო ბაზების შექმნა, ევროპის სამხრეთზე შემდგომი იერიშის მიტანის მიზნით. პრემიერისგან განსხვავებით, რუზველტს მიაჩნდა, რომ მოკავშირეებს მთავარი დარტყმა მოწინააღმდეგისთვის ჩრდილოეთ საფრანგეთის სანაპიროდან უნდა მიეყენებინათ, რაც ევროპაში ომის დასრულებას დააჩქარებდა.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ თავდაპირველად აფრიკაში, ტუნისის ტერიტორიას დაიკავებდნენ, ხოლო ევროპაში ფართომასშტაბიან ოპერაციას მომდევნო, 1944 წელს დაიწყებდნენ.

ოთხი თვის შემდეგ ჩერჩილი ვაშინგტონში ჩავიდა, რათა რუზველტთან უახლოესი თვეების გეგმები განეხილა. პრემიერ-მინისტრი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცდილობდა დაეყოლიებინა პრეზიდენტი, მეორე ფრონტი ევროპაში გაეხსნათ არა ჩრდილოეთ საფრანგეთში, არამედ ბალკანეთში და ამ საკითხში ჩერჩილი რუზველტზე უფრო შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა: მისი გეგმის მთავარი მიზანი ის გახლდათ, რომ ბალკანეთში ინგლისურ-ამერიკული ჯარების გადმოსხმით, შეექმნათ ერთგვარი „მეგობრული კედელი“ საბჭოთა არმიისთვის და შესაძლებლობა არ მიეცათ, საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან მეტისმეტად შორს წასულიყო: ჩერჩილს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ევროპის შუაგულში შეღწევით სტალინი რეგიონის ქვეყნების საკუთარ ნებაზე მოწყობას შეეცდებოდა.

მისგან განსხვავებით, რუზველტს მიაჩნდა, რომ საბჭოთა კავშირის მიმართ ისეთი პოლიტიკა უნდა გაეტარებინათ, რომელიც გერმანიის წინააღმდეგ აღმოსავლეთ ფრონტის მაქსიმალურ გამოყენებას შეუწყობდა ხელს, ხოლო მეორე ფრონტი მაშინ გაეხსნათ, როცა

აშშ და ბრიტანეთი ამისთვის ბოლომდე მომზადებული იქნებოდნენ.

1943 წლის მაისში, ვაშინგტონში გამართული მოლაპარაკების შედეგად, მხარეები კომპრომისულ გადაწყვეტილებაზე შეთანხმდნენ და ერთობლივ კომუნიკეში ჩაწერეს, რომ აუცილებელი იყო „მოწინააღმდეგე ქვეყნების ციტადელში შეღწევა“, ოღონდ საკუთრივ რომელი მიმართულებით მოხდებოდა ეს შეღწევა, არ დაუზუსტებიათ. სიტყვიერად შეთანხმდნენ, რომ მეორე ფრონტი ევროპაში 1944 წლის გაზაფხულამდე ვერ გაიხსნებოდა, თუმცა სტალინი გამუდმებით მოითხოვდა ამ ოპერაციის რაც შეიძლება მოკლე ხანში ჩატარებას.

საბჭოთა ლიდერისთვის ამ ცნობის მიწოდების სიმძიმის აღება რუზველტმა იკისრა. მას თურმე რამდენჯერმე დაუწყია წერილის შედგენა, მაგრამ საქმე ბოლომდე არ მიუყვანია: ტექსტი ხან მეტისმეტად რბილი ეჩვენებოდა, ხან მეტისმეტად ხისტი. ბოლოს ეს მისია გენერალ მარშალს გადააბარა, რომელმაც ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, ზედმიწევნით ინფორმაციული ვარიანტი აირჩია — შემოიფარგლა მოკლე ცნობით, რომ ბრიტანეთის კუნძულებზე განხორციელდებოდა ამერიკული და ინგლისური ჯარების კონცენტრირება, რომლებიც საფრანგეთის ტერიტორიაზე გადმოსხმას 1944 წლის გაზაფხულზე დაიწყებდნენ. პრეზიდენტმა გენერლის ტექსტი მიიღო და უმალ ხელი მოაწერა.

ბუნებრივია, რუზველტის ამ წერილმა მოსკოვში არათუ უკმაყოფილება, არამედ ლამის განრისხება გამოიწვია. საპასუხო წერილში სტალინმა აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება „უკიდურეს სიძნელეს უქმნის საბჭოთა კავშირს, რომელიც აგერ უკვე ორი წელია, მარტოდმარტო ეომება გერმანიისა და მისი სატელიტების ძირითად ძალებს და რომ ის კვლავაც მხოლოდ საკუთარ იმედად ტოვებს საბჭოთა არმიას, რომელიც არა მარტო თავისი ქვეყნისთვის, არამედ მოკავშირეთათვის ებრძვის ჯერ კიდევ ძალზე ძლიერ და საშიშ მტერს“.

ნათელია, რომ სამი ლიდერის პირისპირ შეხვედრისას, რომელიც უკვე დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა, მეორე ფრონტის საკითხი ცენტრალური იქნებოდა. მის ადგილად ირანის დედაქალაქი თეირანი განისაზღვრა. „დიდი სამეული“ იქ 1943 წლის 28 ნოემბრიდან 1-ელ დეკემბრამდე მუშაობდა.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ კონფერენციის გახსნამდე, სტალინმა რუზველტს აცნობა შეთქმულების შესახებ, რომელსაც, საბჭოთა დაზვერვის ცნობით, ნაცისტები მათ წინააღმდეგ ამზადებდნენ, და საბჭოთა რეზიდენციაში დაბინავება შესთავაზა; ჩერჩილისთვის ამ წინადადებით არ მიუმართავს, რადგან, ამერიკულისგან განსხვავებით, ბრიტანული საელჩო საბჭოთა კავშირის საელჩოს მახლობლად მდებარეობდა. პრეზიდენტმა წინადადება მიიღო.

ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ კონფერენცია თანამშრომლობის სულისკვეთებით, თუმცა მწვავე დიპლომატიური პოლემიკის თანხლებით მიმდინარეობდა. მათივე აზრით, ცხარე კამათის დროს მედიატორის როლს სწორედ ამერიკელი პრეზიდენტი კისრულობდა. პირველსავე სხდომაზე მან ფრონტებზე არსებული სიტუაციის მიმოხილვა გააკეთა და შემდეგ საბჭოთა მოკავშირეს მიანოდა ინფორმაცია ჩრდილოეთ საფრანგეთში აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ჯარების გადმოსხმის თაობაზე, რომელიც 1944 წლის მაისისთვის იყო დაგეგმილი.

სტალინმა იკითხა — ვინ უსარდლებდა გადმოსხმას? — და როცა უპასუხეს, რომ სარდალი ჯერჯეროზით დანიშნული არ იყო, ოპერაციის წარმატებაში ეჭვი გამოთქვა. მოკავშირეებმა ამ შენიშვნას წაუყრუეს, რის შემდეგაც სტალინმა თქვა, რომ საბჭოთა კავშირი იაპონიასთან ომს შეუერთდებოდა ევროპაში საბრძოლო მოქმედებების დასრულებიდან არაუგვიანეს სამი თვისა.

ჩერჩილი თეირანში არაერთხელ უბრუნდებოდა მეორე ფრონტის „ბალკანურ ვარიანტს", მაგრამ ამაოდ. სტალინმა მოახერხა, მოკავშირეების სიფხიზლე მოედუნებინა იმის მტკიცებით, რომ ევროპის დაუფლებას არ აპირებდა, თუნდაც იმიტომ, რომ „რუსებს საკუთარ სახლშიც ბევრი საქმე აქვთ"... როგორც ისტორიამ გვიჩვენა, ჩერჩილის პროგნოზი აბსოლუტურად ზუსტი აღმოჩნდა:

ბრძოლების დასრულების შემდგომ შექმნილმა ვითარებამ შესაძლებლობა მისცა სტალინს, მთელ აღმოსავლეთ ევროპას დაჰპატრონებოდა და ამ ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფოები რამდენიმე ათეული წლით საბჭოთა კავშირის სატელიტებად ექცია.

თეირანის კონფერენცია კი ორი ძირითადი შედეგით დასრულდა: მოკავშირეებმა მიიღეს გადაწყვეტილებები ევროპაში მეორე ფრონტის გახსნისა და იაპონიის წინააღმდეგ ომში საბჭოთა კავშირის მონაწილეობის თაობაზე.

დასკვნით დეკლარაციაში სამი სახელმწიფოს მეთაური აცხადებდა: „ჩვენი იერიში შეუვალი და მზარდი იქნება. ჩვენი მეგობრული თათბირის დასრულების მომენტიდან, მოთმინებით დაველოდებით დღეს, როდესაც მსოფლიოს ხალხები იცხოვრებენ თავისუფლებაში, ტირანიისგან დაცულები და თავიანთი განსხვავებული მისწრაფებებისა და საკუთარი სინდისის შესაბამისად. აქ იმედითა და მტკიცე ნებით შევიკრიბეთ. აქედან ერთიანი სულისკვეთებითა და მიზნებით შეკავშირებულ მეგობრებად მივემგზავრებით“.

ბუნებრივია, რუზველტს კარგად ესმოდა, რომ „ტირანიისგან თავისუფალი“ ხალხების თაობაზე სიტყვებზე ხელმოწერა სტალინის მხრიდან გულწრფელობის გამოვლინებად ვერ შეფასდებოდა, მაგრამ მზად იყო, თვით ეშმაკს გარიგებოდა, თუკი ის აგრესორებთან გამარჯვების

საქმეში დაეხმარებოდა. მან ისიც კი საჭიროდ ჩათვალა, რომ გზად, კაიროში შეჩერებისას, საბჭოთა ბელადისთვის გაეგზავნა წერილი, სადაც სწერდა: „ვფიქრობ, კონფერენცია წარმატებული იყო და დარწმუნებული ვარ, რომ ეს გახლდათ ისტორიული მოვლენა, რომელიც ადასტურებს არა მარტო ჩვენს უნარს, ერთობლივად წარვმართოთ ომი, არამედ იმასაც, რომ შეგვიძლია, სრული თანხმობით ვიშრომოთ მომავალი მშვიდობიანი მსოფლიოს დამკვიდრებისთვის. დიდი სიამოვნება მომანიჭა თქვენთან პირადმა საუბრებმა, განსაკუთრებით, პირისპირ შეხვედრის შესაძლებლობამ. ვიმედოვნებ, კვლავაც შევხვდებით ერთმანეთს მომავალში, მანამდე კი თქვენც და თქვენს არმიებსაც დიდ წარმატებას გისურვებთ“.

თავი XXXIV

მთავარსარდალი პარისკაცების ინტერესების სადარაჯოზე

ჯერ კიდევ 1943 წლის შემოდგომაზე, როდესაც მეორე მსოფლიო ომში საკვანძო გარდატეხის ნიშნები გამოიკვეთა, ფრანკლინ რუზველტმა სამხედრო მოსამსახურეთა მომავალზე ფიქრი დაიწყო. მთავარსარდლის ურყევი რწმენით, ქვეყანა, რომლის გამარჯვებისთვისაც ისინი იბრძოდნენ, ვალდებული იყო, მათ ღირსეულ მომავალზე ეზრუნა. ამის რეალიზების მიზნით, ოქტომბერში პრეზიდენტმა კონგრესს წარუდგინა კანონპროექტი ჯარისკაცების უფლებების შესახებ.

მანამდე ცოტა ხნით ადრე პრეზიდენტს შეტანილი ჰქონდა კანონპროექტი არჩევნებში სამხედრო მოსამსახურეთა მონაწილეობის შესახებ, რომელსაც ომის გამო ქვეყნის მიღმა მყოფი 11 მილიონი ოფიცრისა და ჯარისკაცისთვის კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება უნდა მიეცა. ახლოვდებოდა მორიგი, 1944 წლის საპრეზიდენტო არჩევნები და ამ კანონპროექტის შემოტანა სენატორებმა რუზველტს ხრიკად ჩაუთვალეს — პრეზიდენტი თადარიგს იჭერს და ხმების მოსპოვებლად ურნებთან ჯარისკაცების მთელ ქვედანაყოფებს მირეკავსო...

სწორედ ამიტომ პრეზიდენტის ინიციატივა პირველ ცდაზე ჩავარდა და მისი გუნდი კანონპროექტს ნაომარი ადამიანების უფლებების შესახებ მოგვიანებით მიუბრუნდა. რუზველტმა და მისმა თანაშემწეებმა ახალი ვარიანტი მოამზადეს, თუმცა ცხარე დებატებს მაინც ვერ აარიდეს თავი: ზოგიერთ კონგრესმენს კანონპროექტით გათვალისწინებული შეღავათები მაინც მეტისმეტად გულუხვი ეჩვენებოდა. რუზველტი ჩვეულ სიჯიუტეს იჩენდა: მან თვით პროგრამის არაოფიციალური დასახელებაც კი საგულდაგულოდ შეარჩია: „ჯი-აი“ (ინგლისური აბრევიატურა GI, რომელიც ნიშნავს მთავრობის პრობლემას/ამოცანას).

„ჯი-აი-ს უფლებების კანონი“, რომლის ოფიციალური სახელწოდება იყო „სამხედრო მოსამსახურეთა რეადაპტაციის აქტი“, ბოლოს და ბოლოს, 1944 წლის ივნისს დამტკიცდა და პირველ კანონპროექტზე უფრო კარგ პირობებს ითვალისწინებდა, კერძოდ: არმიიდან დემობილიზებული ჯარისკაცებისა და სერჟანტებისთვის განათლებისა თუ პროფესიული მომზადების დაფინანსებას, პროფესიული გადამზადებისთვის სახსრების უზრუნველყოფას, საცხოვრებლის შესაძენად ან ასაშენებლად უპროცენტო სესხების გაცემას პირველადი დაბალი შენატანით, სამსახურის დაწყებამდე 52 კვირის განმავლობაში ყოველკვირეული 20-დოლარიანი შემწეობის გაცემას, ყველა საფეხურის სასწავლებელში უფა-

სო სწავლას; კანონის ცალკეული მუხლები სამხედროებს უფასო მკურნალობითაც უზრუნველყოფდა.

საბოლოო ჯამში, ამ კანონმა 8 მილიონ კაცს განათლების მიღებისა თუ პროფესიული მომზადების შესაძლებლობა მისცა, ხოლო საკუთარი საცხოვრებლის შეძენა მისი წყალობით 2,5 მილიონმა ადამიანმა შეძლო.

ფრანკლინ რუზველტი ასევე, მთელი მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებაზეც ზრუნავდა. სამხედრო მრეწველობის არნახული მასშტაბითა და ტემპით განვითარებამ თავისთავადაც მოახდინა დიდი ზეგავლენა ეკონომიკურ ზრდასა და შესაბამისად, უბრალო ადამიანების კეთილდღეობის ამაღლებაზე, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო უკვე 1943 წლის მეორე ნახევრიდან გახდა. შექმნილ ვითარებაში არათუ უმუშევრობამ დაიხია უკან, არამედ ზოგიერთი სამხედრო საწარმო მუშახელის ნაკლებობასაც კი განიცდიდა. გაიზარდა არა მარტო სამხედრო, არამედ მსუბუქი და სასოფლო პროდუქციის წარმოება და ამ დროისთვის, საკვები პროდუქტების ნორმირებული განაწილების საჭიროებაც, ფაქტობრივად, მოიხსნა. მშრომელ ადამიანებს სამუშაო ადგილის, სტაბილური შემოსავლის შენარჩუნების, ხვალინდელი დღის რწმენა განუმტკიცდათ და ისინი ჯერჯერობით იმაზეც არ ფიქრობდნენ, რომ მშვიდობის დამყარების შემდეგ, სამხედრო საწარმოთა ნაწილი შეიძლებოდა დახურულიყო.

სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის საჭიროებებმა დიდი ბიძგი მისცა სამეცნიერო კვლევებს: რომ არაფერი ვთქვათ ბირთვული ენერგიის სფეროზე, საკმარისია აღვნიშნოთ ახალი მიღწევები მედიცინასა და ფარმაკოლოგიაში, რომლებიც ბევრი ამოცანის გადაჭრის საშუალებას აძლევდა ომში ჩაბმულ ქვეყანას.

ფრანკლინ რუზველტს ეამაყებოდა ქვეყნის წარმატებები, საკუთარი წვლილი შეერთებული შტატების აღორძინებაში, რომლის ეკონომიკა სულ რაღაც ათი წლით ადრე სულს ღაფავდა. შესაბამისად, აწმყოსა და ახლო წარსულის ერთმანეთთან შედარებაც თამამად შეეძლო.

27 დეკემბერს მან ჩაატარა პრესკონფერენცია, რომელიც საგანგებოდ ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას მიუძღვნა: „ორი წლის წინ, მას შემდეგ, რაც ავადმყოფი გონზე მოვიდა, აღმოჩნდა, რომ ის თურმე მძიმე ავარიაშიც მოყოლილა... 7 დეკემბერს ის კატასტროფაში მოხვდა — ბარძაყების მოტეხილობა, ფეხების დაჟეჟილობა მიიღო, მკლავი იღრძო, ხელის მტევანი იღრძო. ზოგს ეგონა, რომ აღსასრული დაუდგა. მოხუცმა ექიმმა, რომელსაც „ახალი კურის“ ერქვა, არ იცოდა, როგორ უნდა ემკურნალა მისი ხელ-ფეხისთვის. მან ბევრი რამ იცოდა შინაგანი ორგანოების დაავადებებზე, მაგრამ ახალი სნეულების შესახებ არაფერი უწყოდა. ამიტომაც უხმო სხვა ექიმს — ორთოპედს, რომლის სახელია „მოვიგოთ ომი“,

— რათა პაციენტზე მას ეზრუნა. შედეგად, ავადმყოფი კვლავ ფეხზე დადგა. მან გვერდზე გადადო თავისი ყავარჯნები და შეტევაზეც გადავიდა“.

პრეზიდენტმა კვლავ გაიხსენა ისიც, თუ ბევრისთვის რაოდენ წარმოუდგენელი ჩანდა მის მიერ რამდენიმე წლით ადრე დასახული ამოცანა — წელიწადში 50 ათასი თვითმფრინავის წარმოება. მაშინ ზოგისთვის სასაცილო უტოპია რეალობად იქცა, მერე გეგმას გადააჭარბა კიდეც, მომდევნო, 1944 წელს კი შეერთებულმა შტატებმა 100 ათასი თვიმფრინავი გამოუშვა. არანაკლებ შთამბეჭდავია 5 წლის განმავლობაში მიღწეული შედეგები: 300 ათასი თვითმფრინავი, 100 ათასამდე ტანკი, 2,5 მილიონი სატვირთო ავტომანქანა; 1940-1945 წლებში აშშ-ის მრეწველობა სულ ორჯერ, ანუ 100%-ით გაიზარდა.

თავი XXXV

საგანგაშო სიგნალები და ლიუსი მერსერის „დაბრუნება“

საკმაოდ სუსტი ჯანმრთელობის მქონე კაცისთვის წლობით უმძიმესი სამუშაო რეჟიმით ცხოვრებას, შეუძლებელი იყო, უკვალოდ ჩაევლო. მართალია, ფრანკლინ რუზველტი წელიწადში რამდენიმეჯერ ხანმოკლე შვებულებას იღებდა და ხან ჰაიდ-პარკის მამულში, ხანაც უორმ-სპრინგსის კურორტზე ჩადიოდა, მუშაობას, ფაქტობრივად, იქაც არ წყვეტდა — მართავდა შეხვედრებს მაღალი რანგის მოხელეებთან, ეცნობოდა დოკუმენტებს, ამზადებდა სიტყვით გამოსვლას, მნიშვნელოვან ბრძანებულებებსა და საკანონმდებლო ინიციატივებს.

1944 წელს დაძაბული მუშაობით გადაღლის ნიშნები განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა. პრეზიდენტის პირად ექიმ როს მაკინტაირს ომის პერიოდში კარდიოლოგი ჰოვარდ ბრუენი შეემატა. ის მაკინტაირზე უფრო პესიმისტურად იყო განწყობილი, მაგრამ რამდენადმე შეზღუდული იყო უფროსი კოლეგის ავტორიტეტის გამო, რომელიც შესაძლოა, ეთანხმებოდა კიდეც, მაგრამ ერთხელ პირდაპირ უთხრა: „ამ პაციენტს ვერ უბრძანებთ, ყველაფერი მიატოვოს და ლოგინში ჩაწვეს. ვერ ეტყვით — ესა და ეს უნდა შეასრულოო. ის ხომ შეერთებული შტატების პრეზიდენტია“.

ბრუენი, რომელსაც რუზველტი უფრო მეტად უგდებდა ყურს, შემდგომ იხსენებდა: „ლანჩისა თუ სადილის დროს ის გაცხოველებული საუბრობდა, საოცარ ამბებს ჰყვებოდა, წარსულს იგონებდა. ლაპარაკობდა აგრეთვე მიმდინარე პრობლემებზე და საუბარში ყველა გარშემო მყოფს ითრევდა. უბრწყინვალესი მთხრობელი გახლდათ".

1944 წლის გაზაფხულზე პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა შესამჩნევად გაუარესდა. უძილობა, თავის ტკივილი დასჩემდა, სწრაფად იღლებოდა, იოლად ღიზიანდებოდა, ხშირად ემართებოდა ბრონქიტი, რომლის წყაროსაც ექიმები ვერ ადგენდნენ. ბუნებრივია, საერთო სისუსტე არათუ სიარულს, არამედ ხელჯოხითა და თანაშემწის დახმარებით ფეხზე დადგომასაც უშლიდა, ეტლიდან ჩვეულებრივ სავარძელში გადაჯდომაც უძნელდებოდა.

მარტში მაღალი ტემპერატურითა და დიაგნოზით — „მწვავე ბრონქიტი, გულის უკმარისობა" — პრეზიდენტი ვაშინგტონის მახლობლად მდებარე სამხედრო-საზღვაო ჰოსპიტალში დააწვინეს. ერთი კვირის შემდეგ იქიდან გამოსვლისას თან გააყოლეს რეკომენდაციები: საქმიანი აქტივობის შემცირება, დღის ძილის აუცილებლობა, ღამის ძილის მოსაწესრიგებლად დამამშვიდებელი პრეპარატების მიღება. ბუნებრივია, ექიმების რეკომენდაციები მხოლოდ ნაწილობრივ სრულდებოდა — სახელმწიფო საქმეები მისგან კვლავაც დიდ გარჯას მოითხოვდა.

სნეულებათა მეორე შემოტევა ივლისში მოხდა, როცა სახელმწიფოს მეთაური საინსპექციო მოგზაურობაში იმყოფებოდა: რუზველტს გულის შეტევა მოუვიდა, მან კინაღამ გრძნობა დაკარგა, კრუნჩხვები დაეწყო... ამ დროს გვერდით მხოლოდ შვილი — ჯეიმსი — ჰყავდა. ექიმებმა პირველადი დახმარება გაუწიეს და მან მნიშვნელოვანი ობიექტების გაცნობის მიზნით დაწყებული მოგზაურობა გააგრძელა.

ჩვეულ სამუშაო რეჟიმში დაბრუნების შემდეგ ჩატარებულმა გამოკვლევამ გულის გაფართოება უჩვენა, ასევე, ჰიპერტონია და გულის უკმარისობაც დაადასტურა. ექიმების მოთხოვნით, რუზველტმა თავს ცოტათი მეტად მიხედა — მოუკლო მოწევას, დრო გამონახა დღისით ხანმოკლე მოსვენებისთვის, დიეტის დაცვაც სცადა. ყველაზე დიდ „სასჯელად" აუზით სარგებლობაზე უარის თქმას აღიქვამდა.

ბუნებრივია, საქმის რეალური ვითარება საზოგადოებისთვის დაფარული იყო. მაკინტაირი სისტემატურად აწვდიდა პრესას ცნობებს სახელმწიფოს მეთაურის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, სადაც იუწყებოდა, რომ მას ყველაფერი ნორმაში ჰქონდა.

მიღებულმა ზომებმა შედეგი გამოიღო — რუზველტს გამოკეთება დაეტყო და მაკინტაირმა თავისი მკაცრი დანიშნულების ნაწილიც კი გააუქმა. ექიმებიც და ოჯახის წევრებიც, რომლებიც შეჩვეულნი იყვნენ რუზველტის წარმოუდგენელ შრომისუნარიანობას და

უდრეკ ნებისყოფას, თითქოს ვერც იჯერებდნენ, რომ ის შეიძლებოდა, რაიმე სნეულებას დანებებოდა. ეს ალბათ განსაკუთრებით ელინორზე ითქმოდა, რომელიც უხინჯო ჯანმრთელობით გამოირჩეოდა და, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გაუძნელდებოდა მთელი სისრულით ქმრის მდგომარეობის გაზიარება.

აქვე უპრიანი იქნება ფრანკლინ რუზველტის პირადი ცხოვრების ერთ საინტერესო მხარესაც შევეხოთ, რომლითაც მის უკანასკნელ წლებსა და ახალგაზრდობას შორის კავშირი შეიკრა.

1941 წლის ზაფხულიდან თეთრ სახლში მკითხველისთვის უკვე ნაცნობი ლიუსი მერსერი გამოჩნდა. პრეზიდენტთან პაემნებზე ის კონსპირაციული სახელით — მისის ჯონსონი — მოდიოდა. ქალთან საუბრები, წარსული წლების, ფარული შეხვედრების მოგონება ფრანკლინს ძალას მატებდა...

მანამდეც და შემდგომშიც, წლების განმავლობაში, ფრანკლინი და ლიუსი ერთმანეთს წერილებს სწერდნენ. თავის დროზე პრეზიდენტი ქალს უორმ-სპრინგსზე, სნეული ბავშვებისთვის დახმარების მიზნით გადადგმულ ნაბიჯებზე უყვებოდა, პოლიომიელიტისგან განკურნების იმედს უზიარებდა; დროდადრო, წერილებში მისი საქმიანი მოგზაურობის მარშრუტებიც ჩნდებოდა, რაც ბიოგრაფებს აფიქრებინებს, რომ ეს პაემნების დანიშვნის ირიბი ფორმა იყო.

ბოლო წლებში კი ლიუსისთან შეხვედრები, ფაქტობრივად, დაუფარავად ხდებოდა, რასაც ამ საკითხისადმი ელინორის ლოიალურმა დამოკიდებულებამ შეუწყო ხელი. ერთხელ პრეზიდენტმა თავის ქალიშვილს ჰკითხა, ხომ არ იქნებოდა წინააღმდეგი, თუკი სადილად მის „ძველ მეგობარ ქალბატონს“ მოიპატიჟებდა? ანა, რომელიც უკანასკნელ ხანს მამას გვერდიდან არ შორდებოდა, წამით შეყოყმანდა და მერსერის მიწვევას დათანხმდა. ამის შემდეგ, თეთრ სახლში ლიუსის რეგულარულმა სტუმრობამ „კანონიერი ხასიათი“ მიიღო.

ფრანკლინს მიაჩნდა, რომ ლიუსი კვლავაც ისეთივე მიმზიდველი იყო, როგორიც 25 წლის წინ, როცა მათი ბობოქარი რომანი დაიწყო. ნიშანდობლივია, რომ ამ შეხვედრებს გულწრფელობას ისიც მატებდა, რომ ქალს, გარდა პირადი შეხვედრებისა და წარსული წლების მოგონებისა, სხვა არაფერი აინტერესებდა და პრეზიდენტის საქმიანობასთან რაიმე სახით შეხება არასდროს უცდია.

ერთხელ კი თეთრ სახლში მერსერის ერთადერთი ქალიშვილი ბარბარაც მიიწვიეს. სადილობისას მასთან საუბრით კმაყოფილ პრეზიდენტს ლიუსისთვის მიუწერია, რომ აღფრთოვანებული იყო მისი შვილით და რომ სწორედ ისეთი წარმოედგინა, როგორიც აღმოჩნდა. ზოგ ავტორს ნართაულად ნათქვამი ეს სიტყვები აფიქრებინებს, რომ შესაძლოა, რუზველტს ბარბარა საკუთარ ქალიშვილად მიაჩნდა...

თავი XXXVI

მეორე ფრონტის გახსნა და მზადება „დიდი სამეულის" ახალი შეხვედრისთვის

1944 წლის 6 ივნისს ნორმანდიაში მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების გადმოსხმით, დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის ოპერაცია „ოვერლორდი" დაიწყო. ამერიკელი, ბრიტანელი და კანადელი ჯარისკაცების მასირებული იერიშების შედეგად, საფრანგეთის ჩრდილოეთ სანაპიროზე 150-ათასკაციანი არმია გამაგრდა და დაკავებული პლაცდარმის გასაფართოებლად, ქვეყნის სიღრმისკენ დაიძრა.

ერთი თვის შემდეგ რუზველტი, რომელიც საჭიროდ მიიჩნევდა „დიდი სამეულის" მორიგ შეხვედრას და მისი მოწყობისთვის საჭირო ნაბიჯებს დგამდა, გამოჩნდა პატარ ქალაქ ბრეტონ-ვუდსში (ნიუ-ჰემპშირის შტატი) საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ომის შემდგომ სავალუტო-საფინანსო პრობლემების გადაჭრის გზებზე მსჯელობდა. ამერიკის პრეზიდენტი კმაყოფილი იყო ამ კონფერენციაში საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა მონაწილეობით და მისთვის მოულოდნელი იყო, როცა მათ განაცხადეს, რომ იქ ჩამოყალიბებულ საფინანსო ინსტიტუტებში შესვლას არ აპირებდნენ. ამან კიდევ ერთი ბიძგი მისცა სტალინთან პირისპირ შეხვედრის

წადილს, იმ მიზნით, რათა „თეირანის სულისკვეთება“ გაეცოცხლებინათ.

ამასობაში, ბრეტონ-ვუდსში შეკრებილებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის შექმნის თაობაზე. ფონდის ძირითად მიზნად მონაწილე ქვეყნების ვალუტების სტაბილურობისთვის საჭირო სახსრებით დახმარება იყო განსაზღვრული, ხოლო ბანკის დანიშნულებად — ამ ქვეყნების ეკონომიკების აღდგენისთვის მხარდაჭერის გაწევა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის საწესდებო კაპიტალი 8 მილიარდ 800 მილიონით განისაზღვრა, ხოლო ყველაზე დიდი კვოტები შეერთებული შტატების (31,25%) და დიდი ბრიტანეთის (14,8%) წილად მოვიდა.

არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა რუზველტი საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნას, მით უფრო იმისთვის, რომ საბოლოო წერტილი დაესვა ტრადიციული ამერიკული იზოლაციონიზმისთვის. ამ მიზნით, ვაშინგტონის გარეუბანში, დუმარტონ-ოქსის მამულში, გაიმართა კონფერენცია, რომლის მონაწილენიც დღევანდელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურაზე მსჯელობდნენ, ხოლო კამათი ხშირად ძალზე ცხარედ მიმდინარეობდა.

ჯერ კიდევ კონფერენციამდე მხარეები შეთანხმდნენ, რომ გაეროს მთავარი ორგანო უშიშროების საბჭო

იქნებოდა, მაგრამ სამი მთავარი მოკავშირე სახელმწიფოს გარდა, კიდევ ვის უნდა ჰყოლოდა იქ წარმომადგენელი, ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ ჰქონდათ. ამერიკელებს მიაჩნდათ, რომ ეს ჩინეთი უნდა ყოფილიყო, საბჭოთა მხარე საფრანგეთს ანიჭებდა უპირატესობას.

უთანხმოების საგანი იყო კენჭისყრის წესი უშიშროების საბჭოში: საბჭოთა მხარე კონსენსუსისა და ვეტოს უფლების შემოღებას მოითხოვდა, დასავლეთის ქვეყნები მიიჩნევდნენ, რომ საბჭოში კენჭისყრაში მონაწილეობა არ უნდა მიეღო სახელმწიფოს, რომელსაც განსახილველი საკითხი შეეხებოდა. დუმარტონ-ოქსში ეს საკითხი ღიად დარჩა.

მაგრამ სიურპრიზი ჯერ კიდევ წინ იყო. სტალინის დავალებით, საბჭოთა დიპლომატმა ანდრეი გრომიკომ მოითხოვა, რომ გაეროში 15-ვე საბჭოთა რესპუბლიკა გაწევრებულიყო. როცა რუზველტს ამის შესახებ აცნობეს, ის ჯერ განრისხდა, მერე ახარხარდა, ბოლოს კი ხუმრობით თქვა: მოდი, ჩვენც ყველა შტატის გაწევრება მოვითხოვოთო. სერიოზულად კი დაასკვნა, რომ ამ საკითხის გამო მძიმე ჭიდილი მოუწევდა, რაც, მისი აზრით, „დიდი სამეულის“ შეხვედრის დაჩქარებას მოითხოვდა. კონფერენციის მიმდინარეობისას, მან ორჯერ მიიწვია გრომიკო და ცდილობდა დაერწმუნებინა — უფრო სწორად, მისი პირით სტალინი დაერწმუნებინა — მოთხოვნის უსაფუძვლობაში, მაგრამ საბჭოთა დიპლომატი (რომელსაც, სხვა-

თა შორის, მისი საგარეო საქმეთა მინისტრობისას ამერიკელებმა „მისტერ არა“ შეარქვეს) სრულიად შეუვალი იყო. ბოლოს პრეზიდენტმა საბჭოთა ბელადს მისწერა: „... მთელი პროექტი... ნამდვილად საფრთხის ქვეშ დადგება, თუ ეს საკითხი წამოიჭრება რომელიმე სტადიაზე საერთაშორისო ორგანიზაციის საბოლოო დაფუძნებამდე და მანამდე, ვიდრე ის საკუთარი ფუნქციების აღსრულებას შეუდგება. იმედს გამოვთქვამ, რომ თქვენ შესაძლებლად მიიჩნევთ, ამ საკითხში დამამშვიდოთ“.

რუზველტის იმედი არ გამართლდა. თუმცა საბოლოოდ, კომპრომისზე შეთანხმდნენ და საბჭოთა კავშირს გაეროში სამი ადგილი ერგო — ორი უმსხვილესი და ომისგან ყველაზე დაზარალებული რესპუბლიკის — უკრაინისა და ბელორუსის გაწევრებით.

რაც შეეხება ლიდერთა მეორე შეხვედრას, მის თარიღად, ბოლოს და ბოლოს, 1945 წლის დასაწყისი დათქვეს. სტალინის კატეგორიული მოთხოვნით, კონფერენციის ადგილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე უნდა შეერჩიათ — მოტივად ექიმების მიერ მისთვის დიდ მანძილზე ფრენის აკრძალვა დაასახელა. სნეული რუზველტი იძულებული გახდა, ამ დაჟინებას დასთანხმებოდა, რაც უმთავრესად, იაპონიასთან ომში საბჭოთა ჯარების ჩაბმის წადილით იყო განპირობებული. მისთვის ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, რადგან იაპონური შეიარაღებული ძალები, ფაქტობრივად, სისხლისგან იცლე-

ბოდა, მაგრამ მაინც მედგარ წინააღმდეგობას უწევდა მოკავშირეებს. რუზველტის სამხედრო მრჩევლების აზრით, საბჭოთა ჩარევის გარეშე იაპონიასთან ომი კიდევ წელიწად-ნახევარი შეიძლებოდა გაგრძელებულიყო და შესაბამისად, დამატებით ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს შეიწირავდა. საბჭოთა ჯარების მძლავრი იერიშები ომის დასრულებასაც დააჩქარებდა და მის მოკავშირეებსაც ძალებს დაუზოგავდა.

კონფერენციისთვის მზადებისას რუზველტი საკუთარი საგარეო პოლიტიკის გატარების შესაძლებლობასა და მოკავშირეთა ინტერესების გადაკვეთის გაანალიზებას ცდილობდა: ისინი სულ უფრო ხშირად ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს და სერიოზული განხეთქილების საფუძველი შეიძლებოდა გამხდარიყო.

პრეზიდენტს განსაკუთრებით აღელვებდა სტალინის დამოკიდებულება 1944 წლის ვარშავის აჯანყების მიმართ, რომელიც აგვისტოში წამოიწყო ლონდონში დაბინავებულმა პოლონურმა ემიგრანტულმა მთავრობამ და შედეგად, გერმანელების მიერ ვარშავის სრული დანგრევა მოიტანა. რუზველტისა და ჩერჩილის დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, საბჭოთა ბელადი არ დათანხმდა მათი სატრანსპორტო ავიაციის საბჭოთა ტერიტორიაზე დაჯდომას მას შემდეგ, რაც აჯანყებულებს ჰაერიდან საბრძოლო მასალებსა და სურსათს მიაწვდიდნენ. „ადრე თუ გვიან, — სწერდა მათ სტალინი, — სიმართლე

დამნაშავეთა ჯგუფის შესახებ, რომელმაც ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ვარშავული ავანტიურა წამოიწყო, ყველასთვის ცნობილი გახდება. ამ ადამიანებმა ბოროტად გამოიყენეს ვარშაველთა ნდობა და უიარაღო ხალხი გერმანელთა ზარბაზნების, ტანკებისა და ავიაციის მსხვერპლად აქციეს. შეიქმნა მდგომარეობა, როდესაც ყოველი დღე ხმარდებოდა არა პოლონელთა განზრახვას, გაეთავისუფლებინათ ვარშავა, არამედ ჰიტლერელთა ამოცანას, დაეხოცათ ვარშავის მოქალაქეები".

ამ სტრიქონების ავტორი ამ დროს, თურმე, ქალაქ ლიუბლინში დაბანაკებულ პროსაბჭოურ ორგანიზაციას — პოლონეთის ეროვნული გათავისუფლების კომიტეტს — ქვეყნის სადავეების ასაღებად ამზადებდა...

აზრთა სხვადასხვაობა რუზველტსა და ჩერჩილს შორისაც არსებობდა. ჩერჩილი ბრიტანეთის ოდინდელი დიდების „ნარჩენებს" ებღაუჭებოდა, ომის შემდგომი პერიოდის ევროპაში გავლენის სფეროებზე წუხილის გამო, რუზველტისგან განცალკევებით, სტალინთან გარიგება სცადა, რისთვისაც მოულოდნელად, 1944 წლის ოქტომბერში მოსკოვს სტუმრობდა. სწორედ მაშინ, ფაქტობრივად, მოილაპარაკეს ბულგარეთისა და რუმინეთის სტალინისთვის, ხოლო საბერძნეთის — ჩერჩილისთვის „დათმობაზე", ხოლო იუგოსლავიას „საშუალედო" მდგომარეობა განუსაზღვრეს...

ამგვარად, „დიდი სამეულის" იალტის კონფერენცია ერთობ დაძაბულ ვითარებაში იწყებოდა.

თავი XXXVII

პაექრობა იალტაში

ქართველი მკითხველისთვის განსაკუთრებით საინტერესო იქნება ის ფაქტი, რომ „დიდი სამეულის" ამ შეხვედრას, რომელიც ყირიმში, იალტაში იმართებოდა, უინსტონ ჩერჩილის წინადადებით, კოდური სახელწოდება „არგონავტი" დაარქვეს — კოლხეთში ძველი ბერძნების მოგზაურობის შესახებ არსებული ლეგენდის აღსანიშნავად. ამერიკის პრეზიდენტმა პარტნიორის წინადადება ენთუზიაზმით მიიღო და ჩერჩილს უთხრა: „თქვენ და მე არგონავტების შთამომავლები ვართ".

1945 წლის 4 თებერვალს იალტაში კონფერენციის გახსნაზე სტალინმა წამოაყენა წინადადება, თეირანის მსგავსად, სხდომები კვლავ რუზველტის თავმჯდომარეობით ჩატარებულიყო. შესავალი სიტყვით გამოსვლისას, აშშ-ის პრეზიდენტმა მთავარი განსახილველი საკითხები მიმოიხილა: საბჭოთა კავშირის მონაწილეობა წყნარ ოკეანეზე საბრძოლო მოქმედებებში, თანამშრომლობისა და უსაფრთხოების საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნა, ევროპის მოწყობა ომის შემდგომ. თუმცა ჯერ კიდევ კვლავაც სისხლისმღვრელი ომი გრძელდებოდა, რუზველტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა გაეროს ფორმირებას და ცდილობდა, ისეთი ორგანი-

ზაცია შექმნილიყო, რომელსაც, ერთა ლიგისგან განსხვავებით, მსოფლიო პოლიტიკაზე რეალური გავლენის მოხდენა შეეძლებოდა.

მხარეები უშიშროების საბჭოში კენჭისყრის პრინციპზე უნდა შეთანხმებულიყვნენ. რუზველტი და ჩერჩილი ოთხი წევრით დაკომპლექტებულ საბჭოში უბრალო უმრავლესობის წესს ემხრობოდნენ, სტალინისთვის ეს მიუღებელი იყო, რადგან ჭვრეტდა, რომ გადამწყვეტი საკითხების განხილვისას საბჭოთა კავშირი მარტო დარჩებოდა, ამიტომ პარიტეტის (ამდენად, ყველა წევრისთვის ვეტოს უფლების) წესზე იდგა. საბოლოოდ მან თავისი გაიტანა. რუზველტმა მიიჩნია, რომ ერთსულოვნების პრინციპზე დათანხმებით, მოკავშირეები კიდევ ერთხელ დაადასტურებდნენ საბჭოთა კავშირის მიმართ საკუთარ კეთილ ნებას და საპასუხო რეაქციასაც მიიღებდნენ, თუმცა ისიც და ჩერჩილიც ხვდებოდნენ, — ეს უშიშროების საბჭოს ქმედუნარიანობისთვის საზიანო იქნებოდა.

საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის პრეზიდენტმა მთელი სისრულით ვერ შეაფასა სტალინის იმპერიული ზრახვები და აღმოსავლეთ ევროპაზე გაბატონების წადილი.

გერმანიის ოკუპაციის საკითხი იალტაში არ განუხილავთ, რადგან ჯერ კიდევ წინა წლის სექტემბერში მიღწეული ჰქონდათ შეთანხმება ზონებად ქვეყნისა და ბერლინის დაყოფის თაობაზე, რომელმაც ორმოცდა-

ხუთი წლით გახლიჩა გერმანია. მხარეებს სრული თანხმობა ჰქონდათ აგრესორი სახელმწიფოს ომის შემდგომ მოწყობასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, მილიტარიზმისა და ნაციზმის სრული ამოძირკვა უნდა განხორციელებულიყო, რათა გერმანიას აღარასოდეს მისცემოდა მშვიდობის დარღვევის შესაძლებლობა. ამ მიზნით, დაგეგმილი იყო „მთელი გერმანული შეიარაღებული ძალების დათხოვნა და გერმანული გენერალური შტაბის გაუქმება“, „გერმანული სამხედრო აღჭურვილობის ამოღება და განადგურება, გერმანული მრეწველობის იმ ნაწილის ლიკვიდაცია ან სრული კონტროლის ქვეშ მოქცევა, რომელიც შეიძლებოდა, კვლავ გამოეყენებინათ სამხედრო წარმოების მიზნით; განეხორციელებინათ ყველა სამხედრო ბოროტმოქმედის სამართლიანი და უსწრაფესი დასჯა; აღეგავათ პირისაგან მიწისა ნაცისტური პარტია, ნაცისტური კანონები, ორგანიზაციები და დაწესებულებები; ამოეშალათ ყოველგვარი ნაცისტური და მილიტარისტული ზეგავლენა საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, გერმანელი ხალხის კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე“.

იალტაში მოკავშირეებმა მიიღეს დეკლარაცია გათავისუფლებული ევროპის შესახებ, რომელიც ამერიკულმა დელეგაციამ შეადგინა და პარტნიორებს რუზველტმა შესთავაზა. მასში გაცხადებული იყო ევროპელი ერების სუვერენული უფლება, თავად გადაეწყვიტათ საკუთა-

რი ტერიტორიების მართვის საკითხი და მოკავშირეთა ვალდებულება, დახმარებოდნენ ამ უფლების ასრულებაში. „ევროპაში წესრიგის დამყარება, — ნათქვამი იყო დეკლარაციაში, — და სახელმწიფოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების მოწყობა იმგვარი გზით უნდა იქნას მიღწეული, რომელიც გათავისუფლებულ ერებს შესაძლებლობას მისცემს, წაშალოს ნაციზმისა და ფაშიზმის უკანასკნელი ნარჩენები და საკუთარი არჩევანით ჩამოაყალიბოს დემოკრატიული ინსტიტუტები“.

საბოლოოდ, რუზველტი კმაყოფილი დარჩა იალტის კონფერენციის შედეგებით. როგორც პრაგმატიკოს პოლიტიკოსს სჩვევია, მას მიაჩნდა, რომ შეერთებული შტატების ინტერესებისა და მსოფლიოს დემოკრატიული განვითარების საფუძვლის ჩასაყრელად მაქსიმუმს მიაღწია. დასკვნითი შეხვედრის დროს, არაოფიციალურ გარემოში ისიც კი თქვა, ჩვენი შეხვედრა ოჯახურ სადილს მაგონებსო...

მართლაც, ერთი შეხედვით, კონფერენციაზე, მნიშვნელოვან საკითხებზე ისეთ გადაწყვეტილებებს მიაღწიეს, რომლებიც გზას უხსნიდა დასავლური დემოკრატიების თანამშრომლობას საბჭოთა რეჟიმთან, მაგრამ, როგორც ცოტა ხანში გამოიკვეთა, იალტაშივე საფუძველი ჩაეყარა ომის შემდგომ ორპოლუსიან სამყაროს, რომელიც 80-იანი წლების ბოლომდე გაგრძელდა. მწვავე წინააღმდეგობასა და „ცივ ომს“ ვერც გაერთიანებული

ერების ორგანიზაცია აღუდგა წინ, რომლის დამფუძნებელი კონფერენცია, ასევე იალტაში მიღწეული შეთანხმებით, 25 აპრილისთვის დაინიშნა და ამერიკულ ქალაქ სან-ფრანცისკოში უნდა გამართულიყო.

ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ ფრანკლინ რუზველტი იალტის კონფერენციის თაობაზე ანგარიშით კონგრესის ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე წარდგა. ეს მისი უკანასკნელი საჯარო გამოსვლა აღმოჩნდა.

როგორც პრეზიდენტის ბიოგრაფები აღნიშნავენ, იმ დღეს რუზველტის გამოსვლამ დამსწრეებზე დამთრგუნველი შთაბეჭდილება მოახდინა: მის ხმას ჩვეული ჟღერადობა დაჰკარგოდა, საუბარს — ინტონაციების მრავალფეროვნება; სახე დაწვრილებოდა, როცა წყლით სავსე ჭიქას დასწვდა, ხელი აუკანკალდა. სიტყვა, როგორც ყოველთვის, შინაარსიანი, ანალიტიკური, მახვილგონივრულიცა და ამასთანავე, უბრალო და ხელმისაწვდომიც იყო, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ პრეზიდენტს ლაპარაკი უჭირდა, დროდადრო კი ხმა იმდენად უსუსტდებოდა, ლამის ჩურჩულივით ისმოდა.

„ყირიმის კონფერენციის მისიაა, წერტილი დაუსვას ცალმხრივ მოქმედებებს, განსაკუთრებულ ალიანსებს, გავლენის სფეროებს, ძალების ბალანსსა და ყოველგვარ სხვა საშუალებას, რომლებსაც კაცობრიობა საუკუნეების განმავლობაში ცდიდა და ყოველ ცდაზე მარცხდებოდა, — განაცხადა პრეზიდენტმა. — ამის ნაცვლად

ჩვენ მსოფლიოს ვთავაზობთ ორგანიზაციას, რომელშიც საბოლოოდ, ყველა მშვიდობისმოყვარე ერს შეეძლება შესვლა. მსოფლიო, რომელსაც ვაშენებთ, არ შეიძლება იყოს ამერიკული, ბრიტანული, რუსული, ფრანგული თუ ჩინური. არ შეიძლება იყოს დიდი თუ პატარა ქვეყნების მსოფლიო. ის ყველა ქვეყნის საერთო ძალისხმევაზე აგებულ სამყაროდ უნდა იქცეს".

ბუნებრივია, რუზველტს ესმოდა, რომ ეს იმედი უფრო იყო, ვიდრე კაცობრიობის უახლესი პერსპექტივა. ამასთანავე, გარემოცვასთან, ახლობლებთან გამოთქმული შეხედულებების მიხედვით, მას გულწრფელად სწამდა, რომ ყირიმში მიღწეული შეთანხმებები ომის სწრაფი დასრულებისა და ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგის დასამყარებლად საჭირო კარგ საფუძველს ქმნიდა. ცხადია, ეჭვი ეპარებოდა იმაში, რომ ეს წესრიგი მყარი და უცვლელი იქნებოდა, მაგრამ იალტის კონფერენციის შედეგებზე საუბრისას თურმე ხშირად იმეორებდა ლათინურ გამონათქვამს: Feci quod potui, faciant meiiora potentes — „მე რაც შემეძლო, ყველაფერი ვიღონე, დაე, უკეთესად სხვები გაისარჯონ".

თავი XXXVIII

მეოთხე საპრეზიდენტო კამპანია და „გაუჯრელი" მეხუთე ტორტი

იალტის კონფერენციაზე ფრანკლინ რუზველტი უკვე პრეზიდენტად მეოთხედ არჩევის შემდეგ, ინაუგურაციიდან ერთი თვის შემდეგ ჩავიდა.

1944 წლის წინასაარჩევნო კამპანია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ყველა სხვა საპრეზიდენტო მარათონისგან, უპირველეს ყოვლისა იმით, რომ ომის მონაწილე ქვეყანა არა მხოლოდ პრეზიდენტს, არამედ მთავარსარდალს ირჩევდა; მეორე — იმით, რომ ამომრჩეველს საგულდაგულოდ უმალავდნენ რუზველტის ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზულ გაუარესებას.

თავისი თითქოსდა კარგი ფიზიკური ფორმის დასადასტურებლად პრეზიდენტმა უჩვეულო და ერთობ სარისკო სვლა გააკეთა — 21 ოქტომბერს ღია ავტომობილით კოკისპირულ წვიმაში ოთხი საათის განმავლობაში მოძრაობდა ნიუ-იორკის ქუჩებში. სრულიად გაწუწული პრეზიდენტი, სველი პენსნეთი მხოლოდ ადამიანთა კონტურებს არჩევდა, მაგრამ მაინც გულღიად უღიმოდა და შლაპის ქნევით ესალმებოდა საწვიმრებში შემოსილ და ქოლგებით შეიარაღებულ ხალხს, რომელიც გზის პირას ჩამწკრივებულიყო.

ხანმოკლე შესვენებისა და სირჩა ვისკის გადაკვრის შემდეგ რუზველტი საგარეო პოლიტიკის ასოციაციისა და ჟურნალისტების წინაშე ვრცელი სიტყვით გამოვიდა და ომის შემდგომ მსოფლიო წესრიგზე ილაპარაკა. ყველას გასაოცრად, რუზველტი არათუ სერიოზული დაავადებით, არამედ ბოლო დროს მოძალებული ბრონქიტითაც კი არ დასნეულებულა. მართალია, ნიუ-იორკიდან პირდაპირ ჰაიდ-პარკში გაემგზავრა და თავს რამდენიმე დღით დასვენების უფლება მისცა.

ცოტა ხანში კი იგივე გაიმეორა ფილადელფიაში, სადაც ასევე წვიმიანი დღე ელოდა, და „ექსპერიმენტმა“ კვლავ მშვიდობიანად ჩაიარა.

და მაინც, სულ უფრო სუსტად გრძნობდა თავს. გამარჯვებაშიც იმდენად მტკიცედ არ იყო დარწმუნებული, როგორც ზაფხულში, კამპანიის დაწყების დროს. 27 ოქტომბერს ფილადელფიაში სიტყვით გამოსვლისთვის მზადებისას სცადა, რკინის კონსტრუქციისა და ყავარჯნების მეშვეობით გაევლო, მაგრამ ძალებმა უმტყუნა. იძულებული გახდა, განზრახვაზე უარი ეთქვა და პირველად წარდგა მსმენელთა წინაშე სავარძელში ჩამჯდარი.

გუნდი და ოჯახის წევრები შიშობდნენ, რომ ეს ამომრჩეველზე უარყოფით გავლენას მოახდენდა, მაგრამ მათი პესიმიზმი არ გამართლდა — თავისმა ორატორულმა ოსტატობამ პრეზიდენტს ისეთი სვლები აპოვნინა, რომლებმაც მისი ფიზიკური უმწეობა ლამის უპირატესობად აქცია: სიტყვა არა ჯანმრთელობის, არამედ ასაკის მა-

ტების გამო ჩივილით დაიწყო და შემდეგ, დროის სწრაფ მდინარებასა და ადამიანის ხანმოკლე ცხოვრებაზე მსჯელობით განავრცო...

რაც შეეხება საკუთრივ საარჩევნო პროგრამას, ის, ფაქტობრივად, ჯერ კიდევ იანვარში წარმოადგინა, კონგრესის წინაშე ყოველწლიური ანგარიშით, რომელსაც ტევადი და მარტივი სახელწოდება — „ქვეყნის მდგომარეობის შესახებ“ — ერქვა.

ახალი რეფორმების წარდგენას პრეზიდენტმა სენსაციური ელფერი მიანიჭა და დაგეგმილი ღონისძიებები აშშ-ის კონსტიტუციაში 1791 წელს შეტანილ პირველ ათ შესწორებას — ამერიკელი მოქალაქის სტატუსის განსაზღვრას, მისთვის დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების მინიჭებასა და ამ უფლებების აღსრულების გარანტიას — შეადარა.

ამჯერად, რუზველტის თქმით, საფუძველი ეყრებოდა ამერიკელთა კთილდღეობის უზრუნველყოფას „განურჩევლად მდგომარეობისა, რასობრივი და რელიგიური კუთვნილებისა“; შრომის უფლების, ნორმალური არსებობისთვის საჭირო პირობების უფლების; საცხოვრებლის შეძენის, განათლების, სამედიცინო მომსახურების, მოხუცებულობაში, დასნეულებისა თუ სამსახურის დაკარგვის შემთხვევაში სოციალური უზრუნველყოფისა და სხვა ფუნდამენტური უფლებების დაცვას. არსებითად, ეს იყო საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს ანუ ე.წ. პოსტინდუსტრიული საზოგადოების პროგრა-

მა, რომელიც სოციოლოგიურ წრეებში განისაზღვრება, როგორც ისეთი სოციალური თანაცხოვრება, რომლის ეკონომიკაშიც, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და მოსახლეობის შემოსავლების ზრდის შედეგად, ნაწარმის გამოშვება ადგილს უთმობს მომსახურების გაწევას, საწარმოო რესურსად იქცევა ინფორმაცია, ხოლო ეკონომიკის მთავარ მამოძრავებელ ძალად — სამეცნიერო მიღწევები, განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს განათლების დონე და მუშაკის შემოქმედებითი შესაძლებლობები. ასეთ საზოგადოებაში, შემოსავლებსა და ცხოვრების სხვადასხვა დონეს შორის არსებული სხვაობის მიუხედავად, თითოეულ ადამიანს ეძლევა ღირსეულ პირობებში ცხოვრების შესაძლებლობა, რომელიც ყოველგვარი სიკეთით სარგებლობას მოიცავს.

ამ პროგრამის დეკლარირებით ფრანკლინ რუზველტი არცთუ ისე ახლო მომავალზე ლაპარაკობდა, თუმცა ეს მომავალი მკაფიოდ ჰქონდა წარმოდგენილი.

ზემოთ ნახსენები სიტყვით გამოსვლა ფილადელფიაში ერთ-ერთი ბოლო და არსებითად, საპროგრამო იყო, თუმცა საკუთრივ საპრეზიდენტო პროგრამა რუზველტს მსმენელთა წინაშე არ წარუდგენია. ნათქვამიდან მიმომხილველებმა ყველაზე დიდი ყურადღება მიაქციეს დაპირებას საომარი მოქმედებების დასრულებისთანავე ყველა ამერიკელი ჯარისკაცის სამშობლოში დაბრუნების შესახებ. ცხადია, რუზველტი ამჯერად ბოლომდე გულწრფელი ვერ იქნებოდა, რადგან მსოფლიო საქმე-

ებში აშშ-ის როლის ზრდის კვალობაზე, ეს არარეალური იქნებოდა, მაგრამ ასევე ბუნებრივია, რომ ამ დაპირებამ მოსახლეობაში აღფრთოვანება გამოიწვია და წინასაარჩევნოდ მის წისქვილზე დაასხა წყალი...

უნდა აღინიშნოს, რომ რუზველტი ამ კამპანიის დროს შემოქმედი ადამიანების დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა. გამოჩენილმა მეცნიერებმა და ხელოვანებმა — ალბერტ აინშტაინმა, სინკლერ ლუისმა, თომას მანმა, იეგუდი მენუხინმა, პოლ რობსონმა, ორსონ უელსმა და მრავალმა სხვამ — ამომრჩევლისადმი საგანგებო მიმართვა შეადგინეს და მოქმედი პრეზიდენტისთვის ხმის მიცემისკენ მოუწოდეს. მას აქტიურად დაუჭირეს მხარი, აგრეთვე, ერნესტ ჰემინგუეიმ და ჯონ სტაინბეკმა. რუზველტი, რომელსაც სათანადო ყურადღების გამოჩენა არასდროს ავიწყდებოდა, ვალში ამჯერადაც არ დარჩენილა, მაგალითად, როცა სტაინბეკს შვილი შეეძინა, მწერალს მისალოცი ტელეგრამა გაუგზავნა, სადაც მისწერა: „შევიტყვე შესანიშნავი ამბავი ტომის დაბადების შესახებ“.

ყოველივეს მიუხედავად, ბევრი ადამიანი არა მარტო მის გარემოცვაში, არამედ სხვადასხვა წრეში ხედავდა, რომ პრეზიდენტს თანდათან ძალა ეცლებოდა. სწორედ ამიტომ, დემოკრატიულ პარტიაში განსაკუთრებული გულმოდგინებით არჩევდნენ ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატს, რადგან ფიქრობდნენ, რომ, ფაქტობრივად, მომავალ პრეზიდენტს ირჩევდნენ. საბოლოოდ, სენა-

ტორ ჰარი ტრუმენზე შეჩერდნენ, რომელიც ამას თავადაც არ მოელოდა...

კენჭისყრის დღეს — 7 ნოემბერს ფრანკლინ რუზველტი, ტრადიციისამებრ, ჰაიდ-პარკიდან ადევნებდა თვალყურს მოვლენებს. დღის განმავლობაში ძალთა თანაფარდობა გამუდმებით იცვლებოდა. მხოლოდ გვიან საღამოს გაირკვა, რომ რუზველტი, თუმცა მინიმალური უპირატესობით, მაინც იმარჯვებდა. საბოლოოდ, 48-დან 36 შტატში უპირატესობა მოქმედ პრეზიდენტს მიანიჭეს, თუმცა ამომრჩეველთა ხმების პროცენტული მაჩვენებლით, სხვაობა გაცილებით ნაკლები იყო: 53,4% — ფრანკლინ რუზველტს, 45,9% — „რესპუბლიკელ" თომას დიუის; სამაგიეროდ, ხმოსანთა კენჭისყრა გაცილებით შთამბეჭდავი იყო: 432 ხმა 99-ის წინააღმდეგ.

ასე დასრულდა არჩევნები და რუზველტმა კიდევ ერთხელ იზეიმა ტრიუმფი, რომელმაც სრულიად გამორჩეული ადგილი დაუმკვიდრა ამერიკელი პრეზიდენტების საკმაოდ შთამბეჭდავ გალერეაში — ის ერთადერთი იყო, ვინც ამერიკელმა ხალხმა სახელმწიფოს მეთაურად ოთხჯერ აირჩია.

20 იანვარს აშშ-ის პრეზიდენტის ინაუგურაცია პირველად გაიმართა არა კაპიტოლიუმზე, არამედ თეთრი სახლის წინ გაშლილ პატარა მდელობზე — რუზველტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. პირველად არ ჩატარებულა სამხედრო აღლუმიც — ეს კი მეომარი ქვეყ-

ნის მომჭირნეობის საჭიროებით იყო ნაკარნახევი. რუზველტის სიტყვაც ჩვეულებრივზე ხანმოკლე გახლდათ — სულ რაღაც ხუთიოდე წუთს გაგრძელდა. საკვანძო სიტყვებად XIX საუკუნის ამერიკელი პოეტისა და ფილოსოფოსის, რალფ ემერსონის გამონათქვამი გამოიყენა და თქვა: „ჩვენ მსოფლიოს მოქალაქეებად, საკაცობრიო თანამეგობრობის წევრებად ყოფნა ვისწავლეთ. ჩვენ ავითვისეთ უბრალო ჭეშმარიტება, რომელიც ემერსონმა ჩამოაყალიბა: მეგობრების გაჩენის ერთადერთი გზა ის არის, რომ თავად იყო მეგობარი".

ორი დღის შემდეგ პრეზიდენტი საიდუმლო ვიზიტით ვაშინგტონიდან ჯერ ნიუპორტის ნავსადგურში, იქიდან კი სამხედრო ხომალდით, იალტაში მოკავშირეებთან შესახვედრად, გაემგზავრა.

დელეგაციის წევრი ოფიციალური პირების გარდა, მასთან ერთად ქალიშვილი ანა იმყოფებოდა: ბოლო ხანებში, ექიმების რეკომენდაციით, რუზველტის გვერდით ოჯახის წევრიც უნდა ყოფილიყო. მამასაც მასთან განსაკუთრებული სიახლოვე ჰქონდა — ის ხომ პირველი შვილი და ერთადერთი ქალიშვილი იყო, უახლოესი ადამიანების — ლუის ჰოუვისა და მისსი ლიჰენდის ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ კი ანამ, ფაქტობრივად, თანაშემწის ფუნქციაც შეითავსა.

30 იანვარს გემზე ფრანკლინ რუზველტის 63-ე დაბადების დღე აღნიშნეს. ანამ მამას თავისებური საჩუ-

ქარი მოუმზადა: სუფრაზე, სამი საპრეზიდენტო ვადის სიმბოლოდ, სამი მომცრო ტორტი შემოიტანეს, ხანმოკლე პაუზის შემდეგ — უფრო მოზრდილი, მეოთხე, ბოლო კი, ყველაზე პატარა — მეხუთე, კრემით გაკეთებული კითხვის ნიშნით დამშვენებული, როგორც მინიშნება შესაძლო მეხუთე საპრეზიდენტო ვადაზე. ეჭვგარეშეა — გონიერი ქალი ხვდებოდა, რომ მამამისს მეოთხე ვადაც შეიძლებოდა დაუსრულებელი დარჩენოდა, მაგრამ ამით მის გამხნევებას ცდილობდა.

პრეზიდენტის გაუარესებული მდგომარეობა არათუ მისი ქალიშვილისთვის, არამედ სრულიად უცხო ადამიანებისთვისაც შესამჩნევი იყო. როცა ის იალტაში კონფერენციაზე დამსწრეთა წინაშე წარდგა, ვისაც კარგა ხანს არ ენახა, მათ უმალ შენიშნეს მომხდარი ცვლილება. ამის შესახებ ათწლეულების შემდეგ თავის მოგონებებში სტალინის თარჯიმანი ვალენტინ ბერეჟკოვი წერდა: „ის დამამახსოვრდა როგორც მომხიბლავი ადამიანი, რომელიც სწრაფი რეაქციით, იუმორის გრძნობით გამოირჩეოდა. იალტაშიც კი, როცა განსაკუთრებით ეტყობოდა ჯანმრთელობის გაუარესება, ყველა გარშემო მყოფი აღნიშნავდა, რომ პრეზიდენტს ნათელი და სხარტი გონება შეენარჩუნებინა“. „დიდი სამეულის“ შეხვედრის ზოგიერთი მომსწრე კი, უყოყმანოდ, პესიმისტურ პროგნოზს აკეთებდა. მაგალითად, ჩერჩილის ექიმ ჩარლზ უილსონს თავის დღიურში პირდაპირ ჩაუწერია — როგორც ჩანს, რუზველტს სიცოცხლის სულ რამდენიმე თვეღა დარჩაო.

თავი XXXIX

უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

ფრანკლინ რუზველტი სან-ფრანცისკოში 25 აპრილისთვის დაგეგმილი გაეროს დამფუძნებელი კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობასა და სიტყვით გამოსვლას აპირებდა. მანამდე, მოსამაგრებლად, ერთი კვირით უორმ-სპრინგსში დასვენება გადაწყვიტა.

ცხადია, მუშაობასაც აგრძელებდა. 13 აპრილს, აშშ-ის მესამე პრეზიდენტ თომას ჯეფერსონის დაბადების დღეს, რადიოთი უნდა გამოსულიყო. ამ სიტყვის ტექსტი, რომელიც მისი კარნახით დაიწერა, ფრანკლინ რუზველტის შედგენილი და ჩასწორებული უკანასკნელი დოკუმენტი აღმოჩნდა. „საკმარისი არ იქნებოდა ჩვენს მტრებზე უბრალოდ გამარჯვების მოპოვება, — ნათქვამია ტექსტში. — ჩვენ ამაზე შორს უნდა წავიდეთ და ყველაფერი ვიღონოთ, რათა დავამარცხოთ ეჭვები და შიში, უცოდინარობა და სიხარბე — ყველაფერი ის, რამაც ამ საშინელებამდე მიგვიყვანა. — დაბოლოს: — ერთადერთი დაბრკოლება ხვალინდელი დღის მოახლოების გზაზე, დღევანდელობის გამო შესაძლო ჩვენი ეჭვები შეიძლება იყოს. მაშ, მოდით, მთელი ძალითა და მტკიცე რწმენით შეიარაღებულმა წინ და მხოლოდ წინ ვიაროთ".

ამ უკანასკნელ დღეებში მის გვერდით ძველი მეგობარი და სიყვარული ლიუსი მერსერი იმყოფებოდა. მან უორმ-სპრინგსში თავისი მეგობარი, მხატვარი ქალი ელიზავეტა შუმატოვა მიიწვია, რომელიც ამერიკაში რუსეთის ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ ჩავიდა და, როგორც ცნობილი და წარმატებული პორტრეტისტი, გამოჩენილი პოლიტიკოსებისა და მდიდარი ადამიანების შეკვეთებს ასრულებდა. შუმატოვას დიდი ხნის განმავლობაში სურდა რუზველტის პორტრეტის შექმნა და რამდენიმე ესკიზიც ჰქონია დახატული, რომლებიც პრეზიდენტს შეუძენია და ერთ-ერთი სამხედრო მინისტრ სტიმსონისთვის უსახსოვრებია.

მხატვარი უორმ-სპრინგსში 9 აპრილს ჩავიდა და პრეზიდენტს წარუდგინეს. სწორედ ეს ქალბატონი აღმოჩნდა ფრანკლინ რუზველტის სიცოცხლის უკანასკნელი წუთების მომსწრე და ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც მალევე უამბო ამის შესახებ პრესის წარმომადგენლებს.

...იმ დღეს ელიზავეტა პრეზიდენტის სამუშაო კაბინეტში მაშინ შევიდა, როცა ის რაღაც დოკუმენტებზე მუშაობდა. მხატვარი პორტრეტის ესკიზის ხატვას შეუდგა. რუზველტს ლურჯი კოსტიუმი ეცვა და წითელი ჰალსტუხი „პეპელა“ ეკეთა. ჩვეულებრივად გამოიყურებოდა, თუმცა სახეზე დაღლა აღბეჭდოდა. ცოტა ხანში

პრეზიდენტის მდივანი გამოცხადდა და ხელმოსაწერად დოკუმენტების დასტა მოიტანა.

მუშაობისას შუმატოვა, პრეზიდენტის ნებართვით, დროდადრო გამოელაპარაკებოდა, რათა სახე პორტრეტზე უფრო ცოცხალი გამოსულიყო. ლანჩის დროის მოახლოებისას რუზველტმა უთხრა: სამუშაოდ თხუთმეტიოდე წუთი დაგვრჩაო. სწორედ ეს აღმოჩნდა რუზველტის უკანასკნელი სიტყვები, რომლებიც მხატვარმა მოისმინა, რადგან მისი მომდევნო ნათქვამი ვეღარ გაარჩია; როგორც შემდეგ გაირკვა, პრეზიდენტს დაუჩივლია: „ძალიან მტკივა თავი... რა საშინლად მტკივა კეფა!“ — და პრეზიდენტის თავი მაგიდაზე დაემხო. მსახურმა, რომელიც სუფრას აწყობდა, ვერ იაზრა, რა მოხდა, პრეზიდენტს მივარდა და ჰკითხა: „სიგარეტი დაგივარდათ, სერ?“

რამდენიმე დღის შემდეგ ნიუ-იორკის გაზეთში „ნოვოე რუსსკოე სლოვო“ გამოქვეყნდა ელიზავეტა შუმატოვას ინტერვიუ, რომელიც ჰყვებოდა: „15 წუთის განმავლობაში პრეზიდენტი გულდასმით ეცნობოდა დოკუმენტებს. რაღაც მომენტში შევნიშნე, თითქოს მოულოდნელად გაახალგაზრდავდა — საოცრად მომაგონა მხატვარ სოლსბერის მიერ რამდენიმე წლის წინანდელ პორტრეტზე გამოსახული კაცი. უეცრად თავი ასწია და სადღაც სივრცეში გაიხედა. ხელები საფეთქლებზე მი-

იჭირა, მერე ხელი შუბლზე მოისვა... თითქმის მაშინვე თავი უკან გადააგდო (მსახურის მტკიცებით, პირიქით, სახით მაგიდაზე დაემხო) ისე, როგორც გონდაკარგულ ადამიანს მოსდის... ვიღაცამ მთხოვა, დაცვისთვის მეცნობებინა, რომ პრეზიდენტი შეუძლოდ იყო, და დაუყოვნებლივ ექიმისთვის დამეძახა. ამის შემდეგ რუზველტი აღარ მინახავს".

იმის შესახებ, რომ პრეზიდენტი, ფაქტობრივად, მის თვალწინ გარდაიცვალა, შუმატოვამ მოგვიანებით შეიტყო. მაშინ კი დაუყოვნებლივ გაემგზავრა უორმ-სპრინგსიდან. ცხადია, ინტერვიუს დროს არ უხსენებია, რომ იქაურობა მალე ლიუსი მერსერმაც დატოვა, რათა ჟურნალისტებს არ გადაჰყროდა.

ექიმი ბრუენი, რომელიც უორმ-სპრინგსში პრეზიდენტთან ერთად იმყოფებოდა, ცდილობდა, ის მოებრუნებინა — ხელოვნური სუნთქვა ჩაუტარა, გულის კუნთში ადრენალინის ინიექცია გაუკეთა, — მაგრამ ყველაფერი ამაო აღმოჩნდა და ექიმმა, გონების დაკარგვიდან ორი საათის შემდეგ, რუზველტის სიკვდილი დააფიქსირა. საბოლოო დიაგნოზის თანახმად, ფრანკლინ რუზველტს ტვინში ფართო სისხლის ჩაქცევა დაემართა.

მიზეზის დაუსახელებლად, ჰარი ტრუმენი თეთრ სახლში გამოიძახეს. მას ელინორ რუზველტი შეეგება, რომელმაც უთხრა: „ჰარი, პრეზიდენტი გარდაიცვალა".

შემდეგ აშშ-ის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მიიწვიეს, რომელმაც ტრუმენის, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების 33-ე პრეზიდენტის ფიცი მიიღო. „რა შემიძლია, თქვენთვის ვიღონო?“ — ჰკითხა ტრუმენმა ქვრივს. მუდამ მტკიცე ელინორმა კითხვითვე უპასუხა: „მე რა შემიძლია ვიღონო თქვენთვის, ბატონო პრეზიდენტო? ახლა ხომ ყველანაირი საზრუნავი თქვენს მხრებზე გადმოვიდა“. ქვეტექსტი ნათელზე ნათელი იყო: ჰარი ტრუმენს მხრებზე უდიდესი მემკვიდრეობა — გამოჩენილი ფრანკლინ რუზველტის თორმეტწლიანი ნამოღვაწარი დააწვა!

თავი LX

მემკვიდრეობა

ფრანკლინ რუზველტი, რომელსაც ასე ძლიერ უყვარდა რადიო, უკანასკნელად 1945 წლის 6 იანვარს გავიდა ეთერში. ამიტომ ამ გამოსვლას მის ერთგვარ ანდერძად მიიჩნევენ, რომელშიც მსმენელს, ძირითადად, ომის შემდგომი მსოფლიოს მოწყობასთან დაკავშირებულ საკუთარ იმედსა და მშვიდობიან ცხოვრებაზე გადასვლის სიძნელეთა დაძლევის რწმენას უზიარებდა. ამ გამოსვლაში უკანასკნელი სიტყვები იყო: „დღეს ჩვენ, ამერიკელები, ჩვენს მოკავშირეებთან ერთად, ისტორიას ვქმნით. დიდი იმედი მაქვს, რომ ეს გაცილებით ნათელი მომავალი იქნება, ვიდრე მთელი წარსულის ისტორია. ჩვენ ვლოცულობთ იმისთვის, რომ იმ უსაზღვრო შესაძლებლობის ღირსნი აღმოვჩნდეთ, რომლებიც ღმერთმა გვიბოძა“.

ფრანკლინ რუზველტმა შეუფასებელი მემკვიდრეობა დატოვა — თავის ქვეყანას დემოკრატიული განვითარების გზა და მსოფლიო საქმეებში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა უანდერძა, რომელსაც მისი მემკვიდრეები, მეტ-ნაკლები წარმატებით, იძულებული იყვნენ, გაჰყოლოდნენ. შთამომავლობის მეხსიერებაში

დარჩა, როგორც ამერიკის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე პატიოსანი და კეთილშობილი მმართველი.

რუზველტის გარდაცვალების შეტყობისას დიდმა უინსტონ ჩერჩილმა ბრძანა: „სამყარო ოდესმე მიხვდება, თუ რითაა ის დავალებული პრეზიდენტისგან". აშშ-ის ელჩის, ავერელ ჰარიმანის მოგონების თანახმად, როცა მან მომხდარის შესახებ სტალინს მოახსენა, ბელადმა ხელი ჩამოართვა და თითქმის მთელი წუთი არ უშვებდა...

რუზველტის ბიოგრაფიის ავტორი ჯეიმს ბერნსი, რომელიც პრეზიდენტის ცოცხალი და ობიექტური პორტრეტის შექმნას ცდილობდა, ასე ახასიათებდა მას: „რუზველტს შეეძლო ყოფილიყო გულადიც და ფრთხილიც, ურთიერთობისას სადაცა და მედიდურიც, ზედმიწევნით ზრდილობიანიც და ლამის უხეშიც, იმპულსურიცა და თავშეკავებულიც, მაკიაველისტურად ცინიკურიც და მორალური სისპეტაკის მქადაგებელიც".

გერმანიიდან შტატებში გადაბარგებული თომას მანი, რომელიც პრეზიდენტს 1941 წელს შეხვედრია, ასევე ცდილობდა, არ შემოფარგლულიყო მისი დადებითი თვისებებით: „ძნელია, მოკლედ გადმოსცე მისთვის დამახასიათებელი ეშმაკობის, სისპეტაკის, ნებიერი ადამიანის, კეკლუცობისა და წრფელი რწმენის ეს ნაზავი... ის რაღაც ღვთის წყალობით იყო დაჯილდოებული, და მე გულწრფელად მივეჯაჭვე, როგორც კაცს, რომელიც თითქოს დაბადებიდანვე იმ ძალის მოწინააღმდეგე იყო,

რომელიც უეჭველად უნდა დამარცხებულიყო (მწერალი ნაციზმს გულისხმობდა. — ავტ.).

სერიით — „ამერიკელი პრეზიდენტები“ გამოცემული ბიოგრაფიის ავტორი, ბრიტანელი როი ჯენკინსი მოკლედ და ტევადად განსაზღვრავს ფრანკლინ რუზველტის გავლენას თანამედროვე მსოფლიოზე:

„ხანგრძლივი პერსპექტივის თვალსაზრისით სავსებით ნათელია, რომ მეორე მსოფლიო ომის დროინდელი „დიდი სამეულის“ წევრებმა სრულიად განსხვავებული ადგილები დაიკავეს მსოფლიო ისტორიაში. მსოფლიო, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ, არ გახლავთ ჩერჩილის მსოფლიო — ბრიტანეთის იმპერია წარსულს ჩაჰბარდა; ეს არ გახლავთ სტალინისა და მხოლოდ ადამიანების მეხსიერებაში დარჩენილი მისი საბჭოთა კავშირის მსოფლიო... მსოფლიო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, — ფრანკლინ რუზველტის მსოფლიოა, უფრო დანაწევრებული, უფრო ჭარბად დასახლებული, შეიარაღებისა და კომუნიკაციის რევოლუციური საშუალებებით დატვირთული, სხვაგვარად სახიფათო, მაგრამ, ძირითადად, თვალსაჩინო თავისი დადებითი და უარყოფითი მახასიათებლებით“.

სარჩევი

პროლოგი
აყვავება და დაცემა 7
თავი I
დიდი გზა ღრმა „ორმოდან“ ამოსვლით დაიწყო 10
თავი II
ჰოლანდიელი ამერიკელი – ფესვები და
ბავშვობა 15
თავი III
სტუდენტობა და ჟურნალისტობა..... 20
თავი IV
„ბიძია ტედი“ მოწინააღმდეგე ბანაკიდან.. 23
თავი V
შეყვარებული ელინორ რუზველტი..... 26
თავი VI
კარიერის დასაწყისი და პირველი
წარმატებები 31
თავი VII
საქმიანობა სამხედრო-საზღვაო
სამინისტროში 36
თავი VIII
ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი 43
თავი IX
განრისხებული ელინორი.... 48
თავი X
მეხის გავარდნა მოწმენდილ ცაზე 52
თავი XI
ალტერ ეგო მეუღლე, შეუცვლელი ჰოუვი
და საყვარელი ქალები 58
თავი XII
„წყლის წაღებულს წყალი მოიტანს? 61
თავი XIII
ნინ – გუბერნატორის სავარძლისკენ! 67
თავი XIV
ჯიდილი ძველ გუბერნატორთან 74
თავი XV
„უსახლკაროთა თავშესაფრისკენ –
საკუთარი ავტომობილით“ 81

თავი XVI
დიდი სამგზადისი და „გონებრივი ტრესტი" 85
თავი XVII
წინასაარჩევნო მარათონი და
ლოგიკური შედეგი 91
თავი XVIII
თავდასხმით დაწყებული პრეზიდენტობა
და რუზველტის „ტყის არმია" 98
თავი XIX
ასი დღე..... 104
თავი XX
იმედისმომცემი ცვლილებები
და გადარჩენილი ხელოვანები 109
თავი XXI
მეორე საარჩევნო მარათონი 117
თავი XXII
„ჩემ თვალწინაა მილიონობით ადამიანი 123
თავი XXIII
შემაშფოთებელი სიო ევროპიდან
და ინფორმატორი ელჩები 128
თავი XXIV
ნელი სვლა ნეიტრალიტეტიდან ეესკანსიისკენ 133
თავი XXV
სანამ დენთის სუნი დატრიალდებოდა 139
თავი XXVI
მესამე და „უმთავრესი" საპრეზიდენტო ვადა 145
თავი XXVII
„ლენდ-ლიზი" 153
თავი XXVIII
დაახლოება ჰიტლერის მოკავშირე სტალინთან 159
თავი XXIX
მთავარი მოკავშირე და ატლანტიკური
ქარტია 164
თავი XXX
პერლ-ჰარბორი – „სირცხვილის დღე" 167
თავი XXXI
ურთიერთობა მოკავშირეებთან. გაეროს
კონტურები და ეკონომიკური პოლიტიკა
ომის პირობებში 173

თავი XXXII
სუპერსახელმწიფოს ნიშნები
და „გაუგებარი" იარაღის ჩანასახი 179
თავი XXXIII
„დიდი სამეული" თეირანში 188
თავი XXXIV
მთავარსარდალი ჯარისკაცების
ინტერესების სადარაჯოზე 195
თავი XXXV
საბანგაშო სიგნალები და
ლიუსი მერსერის „დაბრუნება" 200
თავი XXXVI
მეორე ფრონტის გახსნა და მზადება
„დიდი სამეულის" ახალი შეხვედრისთვის 205
თავი XXXVII
პაექრობა იალტაში... 211
თავი XXXVIII
მეოთხე საპრეზიდენტო კამპანია
და „გაუჯრელი" მეხუთე ტორტი 217
თავი XXXIX
უკანასკნელ ამოსუნთქვამდე 225
თავი LX
მემკვიდრეობა 230

გამოყენებული ლიტერატურა

Jean Edward Smith. FDR, 2007

H. W. Brands. Traitor to his Class. The Privileged Life and Radical Presidency of Franklin Delano Roosevelt, 2008

James MacGregor Burns. Roosevelt: The Lion and the Fox. 2012

Георгий Чернявский. Франклин Рузвельт. 2012

Frances Perkins. The Roosevelt I knew. 2011

Eleanor and Franklin: The Story of their Relationship, based on Eleanor Roosevelt's Private Papers by Joseph P. Lash

სერიის წიგნები

1. ქრისტეფორე კოლუმბი
2. უინსტონ ჩერჩილი
3. ალექსანდრე მაკედონელი
4. მიგელ დე სერვანტესი
5. სტალინი
6. ელვის პრესლი
7. ჩარლი ჩაპლინი
8. ჩე გევარა
9. ნაპოლეონი
10. რონალდ რეიგანი
11. ლეონარდო და ვინჩი
12. იულიუს კეისარი
13. ალბერტ აინშტაინი
14. რიჩარდ ლომგული
15. უოლტ დისნეი
16. ლენინი
17. ჟანა დ'არკი
18. ფიდელ კასტრო
19. რიშელიე
20. ჰანიბალი
21. ჯორჯ ვაშინგტონი
22. კლეოპატრა
23. სპარტაკი
24. ჰიტლერი
25. დედა ტერეზა
26. ჩინგიზ-ყაენი
27. თომას ედისონი
28. უილიამ შექსპირი
29. ნელსონ მანდელა
30. მარკო პოლო
31. ზიგმუნდ ფროიდი
32. მუსოლინი
33. ნიკოლა ტესლა
34. დავით ბენ გურიონი
35. მარგარეტ თეტჩერი
36. მაო ძედუნი
37. ჯონ კენედი
38. კოკო შანელი
39. პლატონი
40. ოიჰან გუტენბერგი
41. პაბლო პიკასო
42. ჯონ ლენონი
43. **ფრანკლინ რუზველტი**
44. იური გაგარინი

დაბეჭდილია შპს „კოლორში“